საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№39 (274)
29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

ღარიბაშვილმა ხელისუფლებაში ყოფნის ორი წელიწადი შეაფასა 2



«დღევანდელი პარლამენტი არ არის ქართველი ხალხის არჩევანი. ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიერ შეგროვებული „კამანდა". 2-3-პროცენტიანი პარტიები, რესპუბლიკელების თამადობით, სწორედ ბიძინას შეგდებულია პარლამენტში»

იური მეჩითოვი:

## ეს არის პარლამენტი?! 150 კაცს იმისთვის ვინახავთ, რომ არაფერი აკეთოს?! 5

## «თავისუფალი თაობა» რევანშისტების გვარებს ასახელებს

თავისუფალი თაობა

## როგორ და ვისი მეშვეობით აპირებს სააკაშვილის რეჟიმი ხელისუფლების სათავეში დაბრუნებას 4

8 სისტემა, რომელიც «ნაციონალურმა მოძრაობამ» შექმნა, უნდა გასამართლდეს და დანაშაულის შემკვეთმა თუ ჩამდენმა პასუხი აგოს!

«ჯერ ცოლს წაგვართმევენ, მერე — შვილებს და ბოლოს ჩვენც დაგვიმონებენ» 9



## «ოჯახშიც და ქვეყანაშიც ფსიქოზი მეფობს» 10

«90-იანი წლების მეორე ნახევარში «ავადმყოფი ერი» გვიწოდეს. მაშინ ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სამწუხაროდ, დღეს გამოაშკარავდა, რომ ვართ დაავადებული ერი, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა»

ნარკოტიკების 12 «ჩადება» ისევ დაიწყო

„ოჯახში ძალადობა უდიდესი პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა ე. წ. დემოკრატიის შუქურაში — აშშ-ში. იქ ყოველწლიურად 2-3 მილიონი ქალი ხდება ძალადობის მსხვერპლი. მეტიც, გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ეს კანონითაც იყო დაშვებული. მაგალითად, 1895 წლამდე ამერიკაში ქალს, თუკი ქმარი მასზე იძალადებდა, განქორწინების უფლება არ ჰქონდა..."

დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი): 7



## გლობალიზაცია საფუძველშივე ძირს უთხრის ქართულ ტრადიციებსა და კულტურას!

## «ჯონ ბასს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს» 6



პოლიციის განყოფილებებში ხალხს ისევ აწამებენ, 14 ცემენ და გაუპატიურებით ემუქრებიან!

კიბო სასიკვდილო განაჩენი 18 არ არის

20 მიშას და უგულავას ხუშტურებით დამახინჯებული ქალაქი

## ამერიკის კომპეტენტურობის კრახი 3

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «აეროფლოტმა» მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის მიმართულებით პირველი რეისი შეასრულა



**ექვსწლიანი ინტერვალის შემდეგ რუსული ავიაკომპანია – „აეროფლოტი“ ქართულ ავიაბაზარს დაუბრუნდა.** 27 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში „აეროფლოტის“ პირველი რეისისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც „ტავ ჯორჯიას“, „აეროფლოტისა“ და „საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ავიაკომპანია „აეროფლოტი“ პირველი რეისის ფარგლებში 100-ზე მეტ მგზავრს მოემსახურა. რუსული ავიაკომპანია „აეროფლოტი“ რეგულარულ ფრენებს მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის მიმართულებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტის მიმართულებით ყოველდღიურად შეასრულებს. ცნობისთვის: ავიაკომპანია „აეროფლოტი“ 1923 წელს დაფუძნდა. მისი სათავო ოფისი მოსკოვში მდებარეობს. „აეროფლოტი“ რომლის განკარგულებაშიც 153 ავიალაინერია, რეგულარულ და ჩარტერულ რეისებს 52 ქვეყანაში, 121 მიმართულებით სრულებს.



## «მაესტროდან» ჟურნალისტების წასვლა და ტელეკომპანია «აჭარის» თბილისის ბიუროს დახურვა — ფინანსური პრობლემები თუ ქობულეთში გამართული თათბირის გამოძახილი

**28 ოქტომბერს ტელეკომპანია „მაესტრო“ რამდენიმე ჟურნალისტმა დატოვა, მათ შორის, „სუბიექტური აზრის“ წამყვანებმა — დიანა ტრაპაიძემ და თეონა გოგელიამ, აგრეთვე, მაკა ცინცაძემ, ნინო ჟიჟილაშვილმა და საინფორმაციო გამოშვების პროდიუსერმა სოფო ზურაბიანმა. ალსანიშნავია, რომ იმავე დღეს დაიხურა ტელეკომპანია „აჭარის“ თბილისის ბიურო...**

„არსებულ მენეჯმენტთან ურთიერთობა ძალიან გამიჭირდა, ჩემი ადგილი ამ არხზე ველარ დავინახე. ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც ტელეკომპანიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის შემდეგ მივიღე, არხიდან წამოსვლა იყო... დეტალებსა და მიზეზებზე საუბარი არ მინდა. ფაქტია, რომ ამ ადამიანებთან ურთიერთობის რესურსი აღარ დამრჩა. გიდასტურებთ, რომ გოგელიასთან შეხვედრის შემდეგ მივიღე ეს გადაწყვეტილება. „მაესტროდან“ წამოსვლა რომ მომიწია, ძალიან ვწუხვარ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა... უდიდეს პატივს ვცემ მამუკა ღლონტს, მაგრამ ახლა სხვა ადამიანები იყვნენ არხის მენეჯმენტში, რომლებთან ურთიერთობის რესურსიც ვერ ვიპოვე“, — განუცხადა ერთ-ერთ ინტერნეტ გამოცემას **დიანა ტრაპაიძემ.**

არხიდან წასვლის შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა **თეონა გეგელიამაც:** „თავისუფლება არ არის საკმარისი პირობა მედიაორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ჟურნალისტებს სჭირდებათ დაცვა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისგან, არამედ უნიჭო, უცოდინარი და არაკომპეტენტური მმართველებისგანაც. ჩვენ გვინდოდა „მაესტროში“ მუშაობა. ძალიან ვწუხვარ, ძალიან!“ — დაწერა ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში.

ალსანიშნავია, რომ ტელეკომპანიის ორმა დამფუძნებელმა — მამუკა ღლონტმა და მამუკა კიკაბიძემ — კომენტარისგან თავი შეიკავა.

**P.S. ერთ-ერთი ვერსიით, „მაესტროდან“ ჟურნალისტების წასვლა ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. სხვა ვერსიით კი, ეს გამოძახილია სექტემბერში ქობულეთში, ,,ჯორჯია პალას ოტელში“ საგანგებოდ გამართული თათბირისა, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი ექსპერტებს, ჟურნალისტებსა და მისთვის საინტერესო პერსონებს შეხვდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ შეკრებაზე მედიაში არსებული საინფორმაციო პოლიტიკის ხელისუფლებისთვის მიუღებლობასა და ,,ურჩი“ ჟურნალისტებისგან ტელევიზიების ,,გაწმენდაზე“ იმსჯელეს.**

**როგორც ჩანს, „რუსთავი 2“-ისა და „იმედისგან“ გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ „წმენდა“ ტელეკომპანია „მაესტროთი“ და „აჭარით“ დაიწყო.**



# საქართველოს პრემიერმინისტრმა «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში ყოფნის 2 წლიწადი შეაჯამა

**„დღეს შესრულდა ზუსტად ორი წელი, რაც ჩვენი მთავრობა შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ამიტომ მინდა, საზოგადოებას ერთგვარი ანგარიში ჩაგაბაროთ და ჩვენი ორი წლის მუშაობის შედეგები გაგაცნოთ. ამ დარბაზში გხედავთ ყველასთვის პატივსაცემ ხალხს — ექიმებს, მასწავლებლებს, მეწარმეებს, ჟურნალისტებს, ჯარისკაცებსა და პოლიციელებს, სპორტსმენებს, ახალგაზრდებს — დოქტორანტებს, ჩვენს ძმებს — აფხაზებსა და ოსებს. ჩვენ პოლიტიკური ცხოვრება სრულიად სხვა — ნამდვილად დემოკრატიულ კალაპოტში გადავიყვანეთ. ორი წელია, ჩვენ ვახორციელებთ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება ხალხს, პირველ რიგში — ადამიანს, სწორედ ადამიანია ჩვენთვის მთავარი ღირებულება“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა გამოსვლის დასაწყისში.**



შემდეგ კი აფხაზ და ოს ხალხს მიმართა და მათ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომია და ევროპული პერსპექტივა შესთავაზა.

„საქართველომ ბევრი რამ გამოიარა. ჩვენმა ომებმა მძიმე კვალი დატოვა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ჩვენს ტერიტორიაზე გამყოფი, საოკუპაციო ხაზები არსებობს. არსებობს სოფლები, რომლებსაც ჩვენი თანამემამულეები, გადატანილი უდიდესი სტრესისა და ტრავმის მიუხედავად, არ ტოვებენ და უმძიმეს პირობებში აგრძელებენ ცხოვრებას... მინდა, კიდევ ერთხელ შევეხმიანო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს — ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ, ეს არის ჩვენი ტერიტორია, ერთი ტკივილი გვაერთიანებს და ერთად უნდა გავაგრძელოთ გზა მომავლისკენ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო აფხაზური ენის დღე ჩვენს აფხაზ ძმებს, რომლებსაც ისინი დღეს, 27 ოქტომბერს აღნიშნავენ. **დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ჩვენთან ერთად, მხოლოდ ევროპული პერსპექტივების მქონე საქართველოსთან ერთად შეძლებენ ჩვენი აფხაზი ძმები საკუთარი ენის, კულტურის შენარჩუნებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მინდა, მათ კიდევ ერთხელ კარგად გააცნობიერონ, იფიქრონ მათ შვილებზე, მომავალ თაობაზე, როგორ ხედავენ ისინი პერსპექტივას, როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს გარეშე მათ ცხოვრება, განვითარება, წინსვლა. ძალიან რთულია, როდესაც სხვის ტერიტორიაზე მოინდომებ ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას — არ მოხდება ეს, მეგობრებო, არასოდეს მოხდება**. ეს არის მიუღწეველი, უტოპიური გეგმა, რომელსაც არც ჩვენი თაობა, არც მომავალი თაობა, არასოდეს შევეგუებით, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი ძირძველი ტერიტორია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით შემოგვინახეს დღემდე. თქვენ ვერ იქნებით ბედნიერი ჩვენს გარეშე და ჩვენ ვერ ვიქნებით ბედნიერი თქვენს გარეშე. კიდევ ერთხელ მინდა, მოგიწოდოთ ყველას — ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, კიდევ ერთხელ კარგად გააანალიზეთ და დაფიქრდით, რომ ეს არის ერთიანი საქართველოს ტერიტორია. თქვენ იყავით ავტონომიური რესპუბლიკა და ჩვენ გთავაზობთ იმავეს, რომ გქონდეთ ავტონომია, მაგრამ ერთიანი, ძლიერი საქართველოს ფარგლებში და ვიცხოვროთ მშვიდად. ეს არის ჩემი კიდევ ერთი ძმური და მეგობრული შემოთავაზება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 20 წლის განმავლობაში ქვეყანაში წელს პირველად შემცირდა სიკვდილიანობა და აღინიშნა პენსიონერთა რაოდენობის ზრდა, რაც სახელმწიფო პოლიტიკის და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგია.

„როგორ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილის ხელისუფლება და მისი ჯალათები უმკურნალებდნენ პატიმრებს ციხეში და დახარჯავდნენ 6 მილიონ ლარს? მაგრამ ჩვენ ეს რეალობა შევცვალეთ. აი, ეს არის ჩვენი მიდგომა პატიმრების მიმართ და არა მათი ტანჯვა-წამება-გაუპატიურება, რაც, ფაქტობრივად, ნორმად იყო ქცეული წინა წლებში.

დღეს საქართველოში საარსებო მინიმუმი 148 ლარია. ვიცი, რომ ეს ცოტაა, მაგრამ მჯერა, ამას გავაორმაგებთ წლების შემდეგ. დევნილები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ აბსოლუტურად უღირს პირობებში, მათი მდგომარეობა დღესაც მძიმეა. 2012 წლის ოქტომბრიდან დევნილებს სოციალური პაკეტის ფარგლებში 14,5 მილიონი ლარის დახმარება გაეწიათ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის გადასაწყვეტადაც უკვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, ეხება დემოგრაფიას. დემოგრაფიული ბალანსის გაუმჯობესებისთვის საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებშიც შობადობის მაჩვენებელი დაბალია, გაიცემა ფინანსური დახმარება ყოველ მესამე და შემდგომ ბავშვზე: მთაში — 200 ლარი, ბარში კი — 150 ლარი. ეს იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდა ოჯახებისთვის“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მთავრობამ დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის, ძეგლთა აღდგენისა და დაცვის ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა მუცოს გადარჩენა, ჩაჟაშისა და დართლოს რეაბილიტაცია. „ამჟამად ვემზადებით 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ჩავატარებთ. 2015 წელს თბილისში ჩატარდება უეფას სუპერთასის ფინალური მატჩი, რომელიც ნამდვილი დღესასწაული იქნება ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

არ შევიჭრებით ტელევიზიაში და სამაგალითოდ არ დავსჯით ჟურნალისტებს მათი სიუჟეტების გამო და მაინც, ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კრიტიკის გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები.

პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული და ეს ჩვენი ხელისუფლების დიდი დამსახურებაა. ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდი ლარით და გახდა სოციალურად ორიენტირებული. ამ ორ წელიწადში ყველა სფეროში მივაღწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას და ამ სიტყვების უტყუარობას არა მხოლოდ ციფრები, არამედ ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებიც მოწმობს. დაწყებული ჯანდაცვითა და განათლებით, მეწარმეობის და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით, დამთავრებული კანონის უზენაესობის დამკვიდრებით,“ — განაცხადა პრემიერმა და დასძინა, რომ ბევრ მიღწევას ტელევიზიები არ აჩვენებენ, ვინაიდან არ უხარიათ.

# აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირაკლი ღარიბაშვილის შეთავაზებას გამოეხმაურა

**აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოს პრემიერმინისტრი არაადეკვატურად აფასებს რეალობას.**

„2014 წლის 27 ოქტომბერს ბატონი ღარიბაშვილის წინადადება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ერთიანი და ძლიერი საქართველოს შემადგენლობაში“ შენარჩუნების შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს არსებული რეალობის ადეკვატური აღქმის არ ქონას და რეგიონში რეალური მდგომარეობის იგნორირებას. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეები ისევ ახდენენ ქიმერული ინიციატივების, ტაქტიკის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია საქართველოს დასავლელი პარტნიორებისადმი, რომლებისთვისაც თბილისის ნებისმიერი ოფიციალური განცხადება მყისიერად ბიბლიური მცნების სახით წარმოჩინდება“, — ნათქვამია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.



აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ „აფხაზეთში სრულად ათვითცნობიერებენ საქართველოს სამშვიდობო პროექტების რეალურ დანიშნულებას. აფხაზეთი მყარად დადგა დამოუკიდებლობისა და განვითარების გზაზე და მომავალში საკუთარ ხაზს გაატარებს ყოველგვარი მიბმებისა და საქართველოს ხელისუფლების „ძმური და მეგობრული წინადადების“ გარეშე“, — ნათქვამია განცხადებაში.




## უკრაინის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში არსენი იაცენიუკის პარტია ლიდერობს

**უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ხმების 83,47%-ია დათვლილი. წინასწარი მონაცემებით, კვლავ ლიდერობს უკრაინის პრემიერმინისტრ არსენი იაცენიუკის პარტია „სახალხო ფრონტი" — 22,02%-ით.** მას მოსდევს ქვეყნის პრეზიდენტის — პეტრო პოროშენკოს ბლოკი 21,64%-ით, შემდეგ მოდის გაერთიანება „სამოპომიჩ" 10,98%-ით, „ოპოზიციური ბლოკი" — 9,47%-ით, „რადიკალური პარტია" — 7,46%-ით, იულია ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშჩინა" — 5,7%-ით. უკრაინული მედიის ცნობით, სხვა პარტიები, მათ შორის პარტია „სვობოდა", 5%-იან ბარიერს ვერ ლახავენ. ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისია უკრაინის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებს 10 ნოემბერს გამოაცხადებს. არჩევნები 26 ოქტომბერს გაიმართა.

**ამბები**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის კომპეტენტურობის კრახი

**ამ სტატიის ავტორი სამი წლის იყო, როდესაც იაპონიის იმპერიამ უმძლავრესად დაარტყა ჰერლ-ჰარბორს და საფუძვლიანად დაანგრია აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის სახაზო ხომალდი „როუ". 6 წლის ვიყავი, როდესაც გენერალი მაკარტერი ტოკიოში იმ კაბინეტში იჯდა, რომლის ფანჯრებიდან იმპერატორის სასახლე ჩანდა და განადგურებულ იაპონიას პირობებს კარნახობდა.**


პატრიკ ბიუკენენი

1956 წელს პრეზიდენტმა ეიზენჰაურმა, ჰიტლერულ გერმანიაში ნანახი ავტობანის შთაბეჭდილებით, განკარგულება გასცა აშშ-ში ფედერალური ჩქაროსნული ავტომაგისტრალების აშენების თაობაზე, რომლებმაც ამერიკა შეკრა. ეს იყო სამოქალაქო ისტორიაში ერთ-ერთი გრანდიოზული პროექტი სამოქალაქო მშენებლობისა.

1961 წელს ჯონ კენედიმ თქვა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მიერ კოსმოსურ რბოლაში დამარცხებული ამერიკის შეერთებული შტატები ათწლიან ვადაში დასვამდა მთვარეზე ადამიანს, შემდეგ კი უკან, დედამიწაზე დააბრუნებდა.

1969 წლის ივლისში პრეზიდენტი ნიქსონი ავიამზიდ „ჰორნეტის" გემბანიდან მიესალმა მთვარიდან დაბრუნებულ „აპოლონ 11"-ის ეკიპაჟს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: არმსტრონგი, ოლდრონი და კოლინზი.

რა დაემართა ამერიკას? რა დაემართა ერს, რომელიც ყოველთვის ამბობდა „დიახ, ჩვენ შეგვიძლია"? რა გვჭირს ჩვენ, ყველას?

ოქტომბერში დაავადებათა პროფილაქტიკისა და კონტროლის ცენტრი ზოზინებდა და არ იცოდა, როგორ დაეცვა დასავლეთი აფრიკის სამ პატარა ქვეყანაში მყოფი ამერიკელები ებოლას ვირუსისგან.

სექტემბერში დანით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თეთრი სახლის ღობეზე გადაძვრა, მინდორი გადაირბინა, პრეზიდენტის სასახლეში წინა კარიდან შევიდა, ხელიდან დაუსხლტა დაცვის წევრ ქალს და მიაღწია აღმოსავლეთით მდებარე ოთახამდე, სადაც საიდუმლო სამსახურის აგენტმა შეაჩერა. პრეზიდენტი რამდენიმე წუთის წასული იყო თეთრი სახლიდან. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღით ადრე კი საიდუმლო სამსახურმა ლიფტში ბარაკ ობამასთან ერთად კრიმინალური წარსულის მქონე შეიარაღებული მცველი შეუშვა.

გასული წლის ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცენტრალური ამერიკიდან წამოსულმა 60 ათასმა ბავშვმა და ახალგაზრდამ სასაზღვრო დაცვა გადათელა და აშშ-ის ტერიტორიაზე შემოიჭრა. გაზაფხულზე შევიტყვეთ, რომ ავადმყოფ და ჭრილობებით გატანჯულ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს აიძულებდნენ, თვეობით დალოდებოდნენ ომის ვეტერანთა სამმართველოს ექიმების კონსულტაციას. ლოდინის პერიოდში კი შეიძლებოდა, ათეულობით ვეტერანი გარდაცვლილიყო. უფრო ადრე **ობამას მიერ დაწყებული ჯანმრთელობის სისტემის რეფორმა, რომლის მომზადებასაც წლები დასჭირდა, ანეკდოტად და ხელისუფლების არაკომპეტენტურობის ნიმუშად იქცა.**

პრეზიდენტ ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში ქარიშხალმა „კატრინამ" ნიუ ორლეანის 30 ათასი მცხოვრები სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო. ვერც ქალაქმა და ვერც შტატმა ვერ შეძლო სტიქიას გამკლავებოდა. 1940 წელს კი 350 ათასი ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც დიუნკერკთან ალყაში მოაქციეს, 5 დღეში იხსნეს თანამემამულეებმა, რომლებმაც ისინი ლა მანშის სრუტეზე კატერებითა და იახტებით გადაიყვანეს ვერმახტისა და ლიუფტვაფეს ცეცხლის ქვეშ.



**«ამერიკელთა უმრავლესობა ამჟამად მიიჩნევს, რომ ქვეყანა ქვევით მიექანება, რომ მათი მომავალი ისეთივე კარგი არ იქნება, როგორიც იყო წარსული, რომ ჩვენ არასწორი მიმართულებით მივდივართ. ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია»**

ეს მოვლენები ძირს უთხრის ამერიკელთა ნდობას თავიანთი ლიდერებისა და მთავრობის კომპეტენტურობისადმი. **ამერიკელთა უმრავლესობა ამჟამად მიიჩნევს, რომ ქვეყანა ქვევით მიექანება, რომ მათი მომავალი ისეთივე კარგი არ იქნება, როგორიც იყო წარსული, რომ ჩვენ არასწორი მიმართულებით მივდივართ. ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია.**

და ამ განწყობას აქვს მნიშვნელოვანი მიზეზები.

***ავღანეთში, ერაყსა და ლიბიაში გამართული ომების გამო ყველას მდგომარეობა გაუარესდა** — მათიც და ჩვენიც. ერაყსა და სირიაში ახალი ომის დაწყებისას ჩვენ არ შეგვიმუშავებია სტრატეგია, რომელიც ნდობას იმსახურებს და არ გაგვიგზავნია მეომართა საკმარისი რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფდა ამერიკელთა გამარჯვებას „ისლამურ სახელმწიფოზე". ამერიკელები უკვე სვამენ კითხვას: რატომ გახდა ჩვენიც ეს ომი?

*1970-იანი წლებიდან მომუშავე **ამერიკელთა რეალური ხელფასი არ გაზრდილა** და ჩვენ განუწყვეტლივ გვიგროვდება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, რომელიც დღეს 10 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. ობამას პერიოდში ნაციონალური ვალის მოცულობამ მთლიან შიგა პროდუქტს გადააჭარბა. ჩვენი საწარმოო ბაზა გაჩანაგებულია, ამას ნათელი მაგალითია დეტროიტი. ჩვენ ფულს ვსესხულობთ ჩინეთისგან, რათა მისგანვე ვიყიდოთ საქონელი. ვალს ვიღებთ იაპონიისა და ევროპისგან, იმისათვის, რომ დავიცვათ იაპონია და ევროპა, თუმცა მეორე მსოფლიო ომი 70 წლის წინათ დამთავრდა.

**«ჩვენი სახელმწიფო უწყებები, არმიის გამოკლებით, წარუმატებლობას განიცდიან. კონგრესი გამოუვალ მდგომარეობაშია. პრეზიდენტს გაუბედავ და მოუხერხებელ პიროვნებად თვლიან. უზენაეს სასამართლოში განხეთქილებაა»**

*საფოსტო კომპანია FedEx-ი ყოველდღიურად ადგენს მილიონობით ამანათის მისამართს, **ამერიკის მთავრობამ კი ვერ შეძლო 12 მილიონი უკანონო იმიგრანტის მოძებნა და უკან გაგზავნა.** 30 წელიწადი გავიდა რეიგანის ამნისტიიდან, როდესაც გაისმა დაპირება ჩვენი საზღვრების დაცვის შესახებ, და აი, ობამა მრავალი მილიონი არალეგალისთვის ამზადებს საპრეზიდენტო ამნისტიას, რომელიც ძალაში არჩევნების შემდეგ შევა. საზღვრები კი არავის დაუცავს.

*თუკი სახელმწიფომ წამყვანი როლი უნდა ითამაშოს რომელიმე სფეროში, ეს არის გზების, ხიდების, ავტომაგისტრალებისა და აეროპორტების მშენებლობა, აგრეთვე, სახელმწიფო სკოლების მართვა, მაგრამ **ჩვენი ინფრასტრუქტურა ინგრევა, ამერიკელი ბავშვები სულ უფრო ქვევით ეშვებიან საერთაშორისო შეჯიბრებებში, საგანმანათლებლო სფეროში კი რასობრივი განსხვავების პრობლემა აღმოფხვრილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში განათლებაში ტრილიონები ჩაიდო.**

*ჩვენი სახელმწიფო უწყებები, არმიის გამოკლებით, ძირითადად, წარუმატებლობას განიცდიან. კონგრესი გამოუვალ მდგომარეობაშია. პრეზიდენტს გაუბედავ და მოუხერხებელ პიროვნებად თვლიან. უზენაეს სასამართლოში განხეთქილებაა.

1960-იან წლებიდან შობილი ჩვენი პოლიტიკური, რასობრივი და კულტურული წინააღმდეგობები და შეჯახებები ყოველდღიურად ძლიერდება და ღრმავდება საკაბელო ტელევიზიების, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

„ყველაფერი ინგრევა, ცენტრი ვერ უძლებს და მსოფლიოში ანარქია მძლავრობს", — წერდა პოეტი იეიტსი.

დრამატურგმა კლერ ლუისმა ამის შესახებ სხვანაირად თქვა: ამ მსოფლიოში არიან ორი ტიპის ადამიანები — ოპტიმისტები და პესიმისტები. და პესიმისტები უკეთ არიან ინფორმირებულები.

**პატრიკ ბიუკენენი,**
**ამერიკელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი**
**The American Conservative (აშშ)**



### დოლანდ ტრამპი:
## ობამამ ამერიკელებს უნდა მოუბოდიშოს და წავიდეს!

**ამერიკელი მილიარდერის აზრით, აშშ-ის ტერიტორიაზე ებოლას ვირუსის გავრცელებაში მთავარი დამნაშავე არის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.** „თუკი ექიმი, რომელიც ასე დაუდევრად ჩამოფრინდა ნიუ იორკში დასავლეთ აფრიკიდან, ინფიცირებულია ებოლას ვირუსით, ობამამ ბოდიში უნდა მოუხადოს ამერიკელ ხალხს და წავიდეს", — დაწერა ამერიკელმა მილიარდერმა დოლანლდ ტრამპმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში".

ტრამპის ეს მწვავე განცხადება გამოიწვია ცნობამ ებოლას ციებ-ცხელების სიმპტომების მქონე ქალის ნიუ იორკის საავადმყოფოში მოთავსების შესახებ. ლაპარაკია 33 წლის კრეიგ სპენსერზე, რომელიც დაბრუნდა გვინეიდან, სადაც ის ორგანიზაციის — „ექიმები საზღვრებს გარეშე" რიგებში ებოლას ვირუსის გავრცელებას ებრძოდა.

„დიდი ხანია, ვეუბნებოდი პრეზიდენტ ობამას, შეეჩერებინა ფრენები დასავლეთ აფრიკიდან, ეს ხომ ადვილია, მაგრამ მან უარი თქვა. სრული არაკომპეტენტურობა! ბარაკ ჰუსეინ ობამა ჯიმი კარტერზე გაცილებით ცუდი პრეზიდენტია", — განაცხადა დონალდ ტრამპმა, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ეჭვი შეიტანა ობამას ფსიქიკურ მდგომარეობაში.



### დევიდ კემერონი:
## ბრიტანეთი არ გადაუხდის 1.7 მლრდ გირვანქა სტერლინგს ევროკავშირს

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დევიდ კემერონმა მრისხანებით განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ გადაიხდის ევროკავშირის მიერ მოითხოვნილ 1,7 მლრდ გირვანქა სტერლინგს. ამ თანხის გადახდის ბოლო ვადა 1 დეკემბერია.** „ორგანიზაცია ასე არ უნდა მოქმედებდეს. მან მოულოდნელად არ უნდა მოითხოვოს ასეთი დიდი თანხის გადახდა მინიმალურ ვადაში. არ შეიძლება, ასე მოექცე ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის ერთ-ერთი დიდი გადამხდელია", — განაცხადა დევიდ კემერონმა 24 ოქტომბერს ევროკავშირის სამიტზე გამოსვლისას.



ექსკლუზივი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებამ არ იცის, რამხელა ძალაა შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების კონტროლს დაქვემდებარებული კადრები, რომლებიც მათი რეკომენდაციითა და პროტექციობით არიან დანიშნული ძალოვან სტრუქტურებში. დარწმუნებული ვარ, რომ მოქმედი პოლიციელების 30%-ს ისევ ეს მაღალჩინოსნები აკონტროლებენ“.**

# როგორ და ვისი მეშვეობით აპირებს სააკაშვილის რეჟიმი ხელისუფლების სათავეში დაბრუნებას

## ვინ არიან «სამართალდამცავთა დაცვის ლიგის» წევრები — უფლებათა დამცველები თუ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად მომართული «ნაციონალური მოძრაობის» დამქაშები?

**„ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი ორგანიზაციების ბოლოდროინდელი გააქტიურება იმაზე მიანიშნებს, რომ სააკაშვილის გუნდი ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად ემზადება. იმ საფრთხეზე, რომელიც, შესაძლოა, საქართველოს უახლოეს დღეებში დაემუქროს, გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ გამგეობის წევრი გიორგი ყუფარაძე, რომელმაც ფრიად შემაშფოთებელი ინფორმაცია მოგვაწოდა: „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა“, რომელიც შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნებითა და სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებით არის დაკომპლექტებული, სამართალდამცველებთან დაპირისპირების პროვოცირებასა და არეულობის მოწყობას გეგმავს. შედეგად, სააკაშვილის რეჟიმი, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ხელისუფლების სათავეში უნდა დაბრუნდეს.**



— ჩვენი ორგანიზაციის დაარსებიდან 2 თვე გავიდა და, დაპირებისამებრ, განვაგრძობთ ბრძოლას „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტი არასამთავრობოების წინააღმდეგ. არსებობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ჯერ არ აქტიურობს — რამდენიმეჯერ გამოჩნდა და გაქრა, მაგრამ მის უკან საქართველოსთვის დიდი საფრთხე დგას. ამ არასამთავრობოში მოკალათებულები არიან ყოფილი მაღალჩინოსნები შსს-დან, თავდაცვის სამინისტროდან და პროკურატურიდან, აგრეთვე, „ნაციონალებთან“ დაახლოებული პირებიც, რომელთა უმეტესობას ბრალი აქვთ წაყენებული, მაგრამ გირაოთი არიან გათავისუფლებული. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დამოკიდებულია „ნაცმოძრაობაზე“ და, კერძოდ, ვანო მერაბიშვილზე, არის „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა“.

**დამფუძნებლები კი არიან: ლევან გვაზავა** — შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ვანო მერაბიშვილის პერიოდში; **ირაკლი ქადაგიძე** — თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი; **ზაზა ჭაია** — თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის მოადგილე; **ირაკლი ფირცხალავა** — დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი. **წამყვანი წევრები: შოთა უტიაშვილი** — შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსი; **გიგი კალანდაძე** — გენერალი; **ლევან მხეიძე** — ყოფილი გამგებელი; **ზაზა ბაქრაძე** — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი; **გიორგი ონიანი** — გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ამჟამად ადვოკატი; **გურამ დონაძე** — შშს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი; **სერგი კაპანაძე** — საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონული თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე; **დავით იაშვილი** — ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, ფიგურირებდა ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში; **ალექსანდრე გვაზავა** — დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომელი, ფიგურირებდა ბუტა რობაქიძის საქმეში; **გიორგი ღვინიაშვილი** — თბილისის ყოფილი პროკურორი, ახლა პარლამენტის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“; **ოთარ კახიძე** — ადვოკატი, პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი; **დავით დათაშვილი** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **ზვიად ქოროღლიშვილი** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **ვაჟა მორგოშია** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წევრი; **გრიგოლ კვინიკაძე** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **გოჩა ბაღათრიშვილი** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი: **ზაზა კუპრავა** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი.

**ამ ორგანიზაციის წევრებთან აქტიურად თანამშრომლობენ შემდეგი პირები: ირაკლი ყიფშიძე** — მეტსახელად „პატარა ვანო“, ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, რომელიც ხშირად ატარებს საიდუმლო შეხვედრებს ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებთან; **გიორგი სოსანაშვილი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **რაჟიკო გურჩიანი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **დავით ბუზალაძე** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **სიმონ ყვავიაშვილი** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **გიორგი ბიწკინაშვილი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **ლევან ბიწკინაშვილი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **ბესო შარაშენიძე** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **მიშა ჯაფარიძე** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **ალეკო ბირთველიშვილი** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **ნათია მახარაშვილი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი; **გიორგი გიორგაძე** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ წევრი; **ირაკლი ფხაკაძე** — აქტიურად თანამშრომლობს „ნაცმოძრაობასთან“; **გია სოსელია** — შსს-ს წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი; **კახა ყურაშვილი** — პოლიციის მოქმედი თანამშრომელი;**ზურა ჯანელიძე** — მეტსახელად „ჯანელა“, პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **შაკო არაბული** — პოლიციის ყოფილი თანამშრომელი; **ერეკლე გაგუა** — ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომელი.

„სამართალდამცავთა დაცვის ლიგასთან“ მჭიდროდ თანამშრომლობენ „პიკასოს კლუბისა“ და „თავისუფალი ზონის“ წევრებიც:

**ირაკლი ჩხვირკია** — „თავისუფალი ზონა“; **ლევან კვარაცხელია** — „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრი“; **მაცაცო კუკულაძე** — „თავისუფალი ზონა“; **ირაკლი გვალია** — „პიკასოს კლუბი“: **ლექსო გოლეთიანი; ფარნაოზ ჭკადუა** — თავისუფალი ზონა; **ზურა მაისურაძე** — თბილისის მერიის თანამშრომელი; **თემურ ჯალაღონია; კახა კვეკვესკირი; კობა ნაროუშვილი; ჯანო ჟვანია; გურამ გვაზავა; პაატა კიკვიძე; ნინო კვარაცხელია; ნინა ცისკარიშვილი; მარინა მეტრეველი; ხატია ავსაჯანიშვილი; ინგა გელაშვილი; ნუნუ გიორგაძე.**

აქვე აღვნიშნავ, რომ ამ სიაში ჩამოთვლილი ქალბატონები არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და უბნების კოორდინატორები.

**— თქვენ მიერ ჩამოთვლილი გვარების უმრავლესობა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არაფრის მთქმელია...**

— დიახ, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, ამ ორგანიზაციის სიას რომ გადახედოს, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია, მაგრამ **საზოგადოებამ არ იცის, რამხელა ძალაა შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების კონტროლს დაქვემდებარებული კადრები, რომლებიც მათი რეკომენდაციითა და პროტექციობით დაინიშნენ ძალოვან სტრუქტურებში.**

დარწმუნებული ვარ, მოქმედი პოლიციელების 30%-ს ისევ ეს მაღალჩინოსნები აკონტროლებენ. როცა წამოვიდნენ სამსახურებიდან, თავიანთ კადრებს დაუბარეს, მალე დავბრუნდებით, თქვენ კი მაგრად იდექით და ყველას მოგხედავთო.

როგორ გგონიათ, **ვისი მეოხებით ჟონავს და ვისგან აქვთ „ნაციონალებს“ ინფორმაცია შსს-დან? — ეს კითხვა რატომ არავის გაუჩნდა?**

ან ე. წ. პოლიციური რეიდების მიმდინარეობისას როგორ ჩნდებიან ადგილზე „თავისუფალი ზონის“ წევრები და სხვა ვითომ ჟურნალისტები კამერებით, ვინ აძლევთ მათ ამ ინფორმაციას?

და **კიდევ უკვირს ვინმეს, რატომ მოიმატა დანაშაულის რაოდენობამ?!**

თუ ვინმეს გაათავისუფლებენ სამსახურიდან, მისი უფლებების დასაცავად მაშინვე საქმეში ერთვება „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა“, თუმცა მხოლოდ თავიანთი კადრების უფლებებს იცავენ და არა — რიგითი პოლიციელისას. თუ მათ „კაცს“ დაითხოვენ სამსახურიდან, ერთ ამბავს ტეხენ, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლესო. ხოლო თუ ისეთ ადამიანს გაათავისუფლებენ, რომელიც მათი კადრი არ არის, ხმას არ იღებენ.

**— ჩამოთვლილთაგან ვინ არის „სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ყველაზე გავლენიანი და აქტიური წევრი?**

— ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე დიდი გავლენა **აქვს ირაკლი ფირცხალავასა და ლევან გვაზავას.** სწორედ ლევან გვაზავას შს მინისტრის მოადგილეობის პერიოდში დაინიშნენ დანარჩენი პირები თანამდებობებზე და შეიკრა დიდი პოლიციური კლანი. მართალია, გვაზავა მალე წავიდა მერაბიშვილის მოადგილეობის პოსტიდან, მაგრამ, რატომ, რა მიზეზით, არ გახმაურებულა.

სანდო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. ჩარჩენილი და „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე პოლიციელების მხრიდან იგეგმება „თავისუფალი თაობის“ წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობა ჩვენი რამდენიმე ლიდერისა და აქტიური წევრის დასაკავებლად, ანუ შეეცდებიან, ჩვენი წევრები გააჩერონ ქუჩაში და მოახდინონ შელაპარაკების პროვოცირება, რათა წინააღმდეგობის გაწევის ან სხვა კიდევ უფრო მძიმე დანაშაულისთვის სამართალდამცავებმა ჩვენი წევრები დააკავონ.

### «ნაციონალური მოძრაობა» მალე დაიწყებს საპროტესტო აქციების ტალღის აგორებას, რომლის შემდეგაც მოახდენენ პოლიციასთან პროვოკაციას და შეეცდებიან, მასობრივი არეულობის მოწყობას. მიზანი კი ხელისუფლების სათავეში დაბრუნებაა!

ასევე, გვაქვს ინფორმაცია, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ მალე დაიწყებს საპროტესტო აქციების ტალღის აგორებას, რომლის შემდეგაც მოახდენენ პოლიციასთან პროვოკაციას და შეეცდებიან, მასობრივი არეულობის მოწყობას. მიზანი კი ხელისუფლების სათავეში დაბრუნებაა!**

მოვუწოდებ შსს-ს: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილ აქციებზე გამოიყვანოს არა პატრულისა და უბნის პოლიციის თანამშრომლები, არამედ სპეციალური დანაყოფი, რომელიც მზად იქნება ნებისმიერი პროვოკაციის დროულად და ადგილზევე აღსაკვეთად!

ესაუბრა **ნანა ბერიძე**

**„დღევანდელი პარლამენტი არ არის ქართველი ხალხის არჩევანი. ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიერ შეგროვებული „კამანდა“. 2-3-პროცენტიანი პარტიები, რესპუბლიკელების თამადობით, სწორედ ბიძინას შეგდებულია პარლამენტში“.**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იური მეჩითოვი:

# ეს არის პარლამენტი?! 150 კაცს იმისთვის ვინახავთ, რომ არაფერი აკეთოს?!

**ცნობილმა ფოტოგრაფმა იური მეჩითოვმა ზუსტად თვე-ნახევრის განმავლობაში იმუშავა სახელისუფლო სტრუქტურაში და ასე თუ ისე მოასწრო ხელისუფლების სამზარეულოში ჩახედვა, რამაც საშუალება მისცა, რეალურად დაენახა ის, რაც ქვეყანაში ხდება. დღეს სწორედ ფოტოგრაფის თვალით დანახულ საქართველოს წარმოგიდგენთ.**

— ხელოვნება პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. როდესაც ადამიანს პოლიტიკა არ აინტერესებს, ნიშნავს, რომ ის ცხოვრებაზე უარს ამბობს და, როდესაც ლაპარაკობენ, ხელოვნებაში პოლიტიკას არაფერი ესაქმებაო, ნიშნავს, რომ ხელოვნებამ არსებობა უნდა შეწყვიტოს. დააკვირდით, მოსკოვში წავიდნენ ჩვენი მომღერლები და ეს მყისიერად გახდა პოლიტიკური აქტი. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ მომღერლებზე ამდენი საეთერო დროის დახარჯვა საზოგადოების ყურადღების გადასატანად მოხდა, რადგან სწორედ იმხანად იყო საუბარი საქართველოში ნატოს საწვრთელი ბაზის გახნაზე და სწორედ ამ სამ მომღერალზე ლაპარაკით გადაიფარა ეს მბავი. **ჩვენი ე. წ. პოლიტოლოგების ნაბოდვარს რომ ვუსმენ, გამეცინებოდა, რომ არ ვაცნობიერებდე, როგორ აზიანებენ საზოგადოების ცნობიერებას თავიანთი უსუსური ტექსტებით. ჩემი ხედვით, საქართველოში სულ სხვა რამ ხდება და არა ის, რასაც ეს უსუსური კომენტატორ-პოლიტოლოგები ახმოვანებენ.**

**— მაინც რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?**

— პირველ რიგში, ზოგიერთის გასაგებად უნდა ვთქვა, რომ ქვეყანა, სახელმწიფო და ხელისუფლება სხვადასხვა ცნებებია და ბევრს ერევა. საქართველო არის სახელმწიფო, ოღონდ ცუდი, რომელსაც ზოგი სააქციო საზოგადოებას ადარებს, ზოგიც — რაღაც კორპორაციას.

იმაზე არავინ ლაპარაკობს, რომ **საქართველოში მიმდინარეობს ძალიან ცუდი პროცესი — დესუვერენიზაცია.** იგივე ხდება მსოფლიოში. **შეიძლება, საფრანგეთს სუვერენული სახელმწიფო ვუწოდოთ? — არა! ამერიკამ დიდი ზემოქმედების შედეგად უამრავ ევროპულ ქვეყანას მიაღებინა სანქციები და მათ თავისი ვიოლონოს ხემით დირიჟორობს. წარმოგიდგენიათ ქვეყნის პრეზიდენტებიც კი ამერიკის მიერ ინიშნება. იყო სარკოზი, შეცვლადეს უარესით — ოლანდით.**

სარკოზი ლამაზი ქალის ქმარი მაინც იყო... **როდესაც ამხელა ქვეყნები დგანან დესუვერენიზაციის გზაზე, როგორღა უნდა ვილაპარაკოთ საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე?** სახელმწიფო ბევრს დროშა და ბიუჯეტი ჰგონია. არადა, სახელმწიფოს ფუნქცია არის ის, რომ უზრუნველყოს ერის მშვიდობიანი და ადამიანური ცხოვრება. აბა, სახელმწიფოს ფუნქცია პარლამენტის შენობაზე დროშის აფრიალებაა?! ან **სახელმწიფო დროშის გვერდით ყველგან ევროსაბჭოს დროშა რატომ კიდია, არ მესმის — ვერ ვხვდები, ამით ევროპას დავცინით თუ საკუთარ თავს.** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ძალადობის მანქანა იყო. დღესაც ასეა, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება იმ დოზით ვერ ახორციელებს ძალადობას. **დღეს სახელმწოფო არის ძალადობა კანონის ფარგლებში. ერთმა ებრაელმა ცოტა ხნის წინათ თქვა, ქართველები დიდი ხნის წინათ შექმნდით სახელმწიფოს, მაგრამ რაღაცნაირად ახერხებთ სახელმწიფოს გარეშე ცხოვრებასო.**

სახელმწიფო რომ არ გვაქვს, ამიტომაც არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მესამედი საზღვარგარეთ გაქცეული, **ხოლო გლეხობა რა დღეშიცაა, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.** როდესაც ქმნი სახელმწიფოს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ქვეყანას, ერს, ეს დიდი დანაშაულია. ერი რომ გადარჩეს, უმჯობესია, ჭკვიან პატრონს ჩაბარდეს, ვიდრე გიჟების ხელში იყოს.

**— ვის გინდათ, რომ ჩაბარდეს საქართველო?**

— ახლა უკვე — არავის. რუსეთის იმპერიის ნაწილი რომ იყო, ის ხანა საუკეთესო იყო საქართველოსთვის, რადგან იმხანად რუსეთის იმპერია განვითარებული იყო.

**— წელან ახსენეთ მოსკოვში სამი ქართველი მომღერლის წასვლა...**

— ღირს კი მათზე საუბარი? მესმის, რომ ჯერ მიშას კარის მომღერლებად ვიცნობდით, შემდეგ შემოაკლდათ ფული და წავიდნენ მოსკოვში. ნინო ჩხეიძე კარგი გოგონაა, ერთხელ ფოტოსესიაც გავუკეთე, მაგრამ ამ ადამიანს როგორ უნდა მოვთხოვოთ პოლიტიკური პრინციპების დაცვა? ის შოუბიზნესის წარმომადგენელია. რა ქნან?! ჯერ მიშა უხდიდათ, შემდეგ — სხვები.

**ჩვენი უბედურება არის ის, რომ სოციალური ქსელები განწყობების ბარომეტრი გავხადეთ, რაც არ არის სწორი. „ფესიბუქში“ 5 ათასი კაცი რომ ხმაურობს, ვამბობთ, რომ საზოგადოება შეშფოთებულია. საზოგადება კი რეალურად იმითაა შეშფოთებული, რომ არ იცის, ხვალ რა აჭამოს შვილს, რა ჩააცვას და სად ასწავლოს — აი, ეს აშფოთებს საზოგადოებას და არა ის, სად იმღერებს ნინო ჩხეიძე.**

**«ჩვენ არ ვართ თავისუფალი ერი, რომელიც თავის თავს განაგებს. მესმის ბიძინა ივანიშვილის, რატომაც დაიმალა. ის ვერ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება. ივანიშვილმა მხოლოდ ერთი პიროვნება მოგვაცილა — სააკაშვილი, რეჟიმი კი დარჩა. არ შეცვლილა დამანგრეველი საგარეო კურსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველო უნდა იყოს რუსეთის მტერი, ხოლო რუსეთი მაინც კარგად უნდა მოგვეპყრას»**

ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ ჩვენი ერი რუსოფობიითაა მოწამლული. სამი მომღერლის მოსკოვში წასვლას ინგა გრიგოლია პოლიტიკურ თოქშოუს რომ მიუძღვნის, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ. ინგამ მეც მიმიწვია, მაგრამ შუა გადაცემიდან წამოვედი. მანამდე კი ვუთხარი, ისეთი ხალხი უნდა მოიწვიო, რომელთა საუბროს შემდეგ გამოსავალი მოიძებნება-მეთქი, მაგრამ რა უნდა ველაპარაკო, — **ინგა გრიგოლია მხარეა სხვა დანარჩენი ჟურნალისტებივით. ვიდრე ინგა გრიგოლია ამ სამ მომღერალს მიუძღვნიდა გადაცემას, ზუსტად იმავე თემაზე გააკეთა გადაცემა ნინო ჯანგირაშვილმა „კავკასიაში“. ხალხიც იგივე ჰყავდა, მათ შორის, არცთუ მთლად დალაგებული თეთრთმიანი ქალი რომ არის — ლიზი ვადაჭკორია, ნატოს წარმომადგენელი თუ ვიღაც — გაბიანი, რომელიც გაიძახის, მსურს, საქართველო ამერიკის ერთ-ერთი შტატი იყოსო; აგრეთვე, დეისაძეები და სხვა იდიოტები.**

**— საით მიექანება საქართველო?**

**— განადგურებისკენ, რადგან ყველაფერი დაკარგა, რაც ჰქონდა.** საქართველოში არსებობდა ინტელექტუალების ფენა, რომელიც გაქრა. ეს დაიწყო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან და ჩვენმა ინტელიგენციამ, რომელიც აყოლილი იყო ლოზუნგებს, ველარ გაარჩია ტყუილი და მართალი. დიახ, კარგია ეროვნული თავისუფლება, მაგრამ დაავიწყდათ, რომ თავისუფალი მხოლოდ გიჟია. შემდეგ შეთხელდა ეს ფენა... დაიხოცნენ. **სადღა გვყავს ისეთი მსახიობები, როგორიც იყო ხორავა — სცენაზე თითს რომ აწევდა, ბოლო იარუსზე მჯდომშიც კი თრთოლას იწვევდა. დღეს ეს ყველაფერი გაფარჩაკდა, გაფეისბუქდა. დღეს „დალაიქებისა“ და „დაშიარების“ ხანაა.**

**— ბატონო იური, ცოტა ხანს თქვენც ხომ იყავით ამ ხელისუფლებაში?**

— ეს აუცილებელია იმისთვის, რომ რეალურად მიხვდე, რა ხდება ცხოვრებაში. როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი ხდები, იცი, როგორ იცვლება სიტუაცია? მეზობლებიც კი სხვანაირად გიყურებენ, დღეში ასი კაცი გთხოვს რაღაცას, სულ სხვა სამყაროში ხვდები, რომელსაც საგიჟეთს ვუწოდებ. **როდესაც ხელისუფლებაში მოდიხარ, დიდი კაცი უნდა იყო, პატარა რომ არ გახდე, რომ ქონების განაწილებისა და პრემიების გამოწერების საქმეში არ ჩაერთო.** მართალია, თვე-ნახევარში ჩამომაშორეს ხელისუფლებას, თუმცა არ ვიცი, ამაზე მეტხანს თუ გავუძლებდი იქ მუშაობას. მე გახლდით არჩეული პარლამენტარი, მაგრამ სტატუსი მაქინაციებით შემიცვალეს. დღეს პარლამენტში არ არის ადამიანი, რომელიც გამოვა და განსხვავებულ თვალსაზრისს იტყვის. **ეს არის პარლამენტი?! 150 კაცს იმისთვის ვინახავთ, რომ არაფერი აკეთოს?!** გამიკვირდა, ზოგიერთმა ანტიდისკრიმინაციულ კანონს მხარი რომ დაუჭირა, რაც, ჯაჭვლიანისა და პაპუაშვილის განმარტებით, გუნდური თამაში იყო. **ეს გუნდური თამაში კი არა, გუნდური იმპოტენციაა.** ერთმანეთს უყურებენ და არაფერს აკეთებენ. **დღევანდელი პარლამენტი არ არის ქართველი ხალხის არჩევანი. ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიერ შეგროვებული „კამანდა“. 2-3-პროცენტიანი პარტიები, რესპუბლიკელების თამადობით, სწორედ ბიძინას შეგდებულია პარლამენტში.** მესმის, რომ ინტელექტუალთა ჯგუფია, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ყალიბიდან არიან წარმოქმნილნი. მოკლედ, დღევადელ პარლამენტში ყველა ერთი ჭკუის არის, განაკუთრებით შემაშფოთებელია მათი პოზიცია უკრაინის ტრაგედიის მიმართ. მათი მოღვაწეობა მასხარაობაა, თავიანთი დროშებითა და დაყენებული სახეებით; ან რომელ უკრაინაზე ლაპარაკობენ?! **იმ ქვეყანაში არის სამოქალაქო ომი და ვის უჭერს ჩვენი ხელისუფლება მხარს? უკრაინის გაიძვერა მთავრობას, რომელსაც ოკეანის გაღმიდან მართავენ?** ამის შემდეგ რა უნდა ვიწამო ჩემი მთავრობის? სამწუხაროდ, დღეს ტრაგიკულ ეპოქაში ვცხოვრობთ, რასაც ვერ ვაცნობიერებთ. ამის გაცნობიერებას ხომ ინტელექტი სჭირდება. როდესაც ჩვენს უბედურებას პუტინის არსებობას ვაბრალებთ, ეს არის ტრაგედია.

**მწერალი ლაშა ბუღაძე რომ გამოდის და ამაყად კითხულობს თავის შედევრს, — ხომ შეიძლება ,არ დაბადებულიყო შაჰ აბასი, ჰიტლერი და პუტინიო. როდესაც ასეთ რაღაცას წერ, სულ ცოტა, სამი წიგნი მაინც უნდა გქონდეს წაკითხული, ვიდრე თვითონ დაწერ ხუთს.**

**ჩვენ არ ვართ თავისუფალი ერი, რომელიც თავის თავს განაგებს. მესმის ბიძინა ივანიშვილის, რატომაც დაიმალა. ის ვერ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება. ივანიშვილმა მხოლოდ ერთი პიროვნება მოგვაცილა — სააკაშვილი, რეჟიმი კი დარჩა.** არ შეცვლილა დამანგრეველი საგარეო კურსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველო უნდა იყოს რუსეთის მტერი, ხოლო რუსეთი მაინც კარგად უნდა მოგვეპყრას.

ევროპაში რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც განაცხადა, არ ვთამაშობ თამაშს, რომელიც ვაშინგტონიდან მოდისო. რუსეთი რომ კარგი ლუკმაა, ბჟეზინსკით დაწყებული, კისინჯერით დამთავრებული, არავის დაუმალავს. ამიტომაც ებრძვის ამერიკა რუსეთს ხან საქართველოს, ხანაც უკრაინის ტერიტორიაზე. ვერავინ დამაჯერებს, რომ 2008 წელს სააკაშვილს ეყოფოდა გამბედაობა და რუსეთს ომს გამოუცხადებდა. ეს კაცი რომ ლაჩარია, ყველამ მშვენივრად იცის.

**— იცნობდით სააკაშვილს?**

— სამწუხაროდ, პირზე კოცნით. მასში ნიჭიერება და ამორალურობაა შერწყმული. ეს მისი ბრალი არ არის, რადგან ბავშვობაში ტრამვირებული იყო და ჯავრი საქართველოზე იყარა. **სწორედ სააკაშვილის დამსახურებაა, რომ დღეს გაბოროტებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ.**

**დღეს ყველაზე დიდი რეიტინგი ირაკლი ღარიბაშვილს აქვს და, თუ ის პოლიტიკურ ასპარეზზე მარტო დარჩება, აუცილებლად ჩაძირავენ, რადგან დღევანდელ ხელისუფლებაში გაცილებით მეტია დამცველი საკუთარი და არა — სახელმწიფოს ინტერესებისა.**

2 წელი გავიდა, რაც „ოცნება“ ხელისუფლებაში და არაფერი გაუკეთებიათ, გარდა იმისა, რომ რუსეთის ბაზარზე ასე თუ ისე შევიდა ქართული ნაწარმი. ცოტა ხნის წინათ მოსკოვში ვიყავი და ვნახე, რომ ქართული ღვინო ძალიან უყვართ რუსებს.

**— ამიტომაც გიწოდებენ რუსეთუმეს...**

— მიწოდონ. მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, 7 ოქტომბერს ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიმიწვიეს და იქიდან პუტინს დაბადების დღე მივულოცე. ვისაც რა უნდა, ის თქვას. როდესაც აფხაზეთი დავკარგეთ, პუტინი და მედვედევი ახლოსაც არ იყვნენ პოლიტიკასთან. 2008 წელს კი მოხდა იმის დაკანონება, რაც დე ფაქტო იყო. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ტერიტორიებს მივსტირით და იმ ხალხზე არ ვდარდობთ, რომლებიც დავკარგეთ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი მართლმადიდებელია და კიდევ უფრო მეტი ყველაზე სანდო ინსტიტუტად ეკლესიას აღიარებს. სწორედ ეს აღიზიანებთ აქ ამ სულგაყიდული არასამთავრობოების სახით მოქმედი მეხუთე კოლონის წარმომადგენლებს და მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ“.

ლევან ჩაჩუა:



# ჯონ ბასს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს

## «დასავლეთში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ადამიანები დაამსგავსონ პირუტყვს»

**ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ საქართველოს ბრმა და განუხრელი სწრაფვა მხოლოდ გეოპოლიტიკური არჩევანი რომ არ არის და მთელ რიგ ღირებულებით ასპექტებსაც მოიცავს, ამას ჩვენი „ბედოვლათი“ ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ჯერ კიდევ სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა მოახდინა იმ პოსტულატის დეკლარირება, რომ თურმე თანამედროვე დასავლეთი, კერძოდ, ევროპა, საქართველოს ისტორიული არჩევანია და მას წინ ვერაფერი აღუდგება. მართალია, შემდეგ „ნაცრეჟიმი“ პოლიტიკურ ბანკროტად იქცა, მაგრამ, გაშმაგებული დასავლური პროპაგანდის წყალობით, ეს იდეოლოგია აქტუალობას მაინც არ კარგავს. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სჯეროდა და დღემდე გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ქვეყნის ხსნა ევროინტეგრაციაშია, თუმცა რეალურად ცოტამ თუ იცის, ეს „ხსნა“ რა ცვლილებებს, გარდაქმნებსა და ე. წ. რეფორმებს მოითხოვს.**

**„საქართველო და მსოფლიო“ იწყებს ახალ რუბრიკას „ჰკა მაგათა“, რომლის მიზანი დასავლური ფსევდოლიბერალური ღირებულებების მხილებაა. შევეცდებით, მკითხველს კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებული საფუძვლიანი ანალიზი შევთავაზოთ იმისა, რეალურად რა ძალები არიან ამ ე. წ. ღირებულებების მედროშენი საქართველოში. ბიბლია გვეუბნება: „არა არს დამალული, რომელიც არა გაცხადდეს“. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს მწარე სიმართლე... გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პოლიტპატიმართან, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული იდეის“ ხელმძღვანელსა და დამფუძნებელთან — ლევან ჩაჩუასთან.**

**— ბატონო ლევან, ხელისუფლების პროდასავლური პოლიტიკური კურსის კვალდაკვალ საზოგადოება დღეს ორ ბანაკად იყოფა: ერთი, რომელიც ამ პროცესს ქართული სახელმწიფოსთვის საფრთხედ აღიქვამს, და მეორე, რომელიც ბრმად იღებს ყველაფერს, რაც დასავლეთიდან შემოდის, უწინარესად, ეს ეხება ფასეულობებს. თქვენი აზრით, რა არის თანამედროვე დასავლურ ღირებულებებში მთავარი ასპექტი, რომელიც ამ ცივილიზაციას მიუღებელსა და საშიშს ხდის საქართველოსთვის?**

— მივესალმები თქვენს რუბრიკას და უღრმესი მადლობა, რომ დაინტერესდით ჩემი მოსაზრებებით.

რაც შეეხება შეკითხვას, მე ასე ვერ დავყოფდი საზოგადოებას — ვინ მომხრეა დასავლეთის და ვინ — არა. უბრალოდ, **ის ხალხი, რომელიც მხარს უჭერს ე. წ. დასავლურ ლიბერალიზმს, აშკარა უმცირესობაშია, ამიტომ შეუძლებელია, მისი განხილვა რაღაც სამოქალაქო ბანაკად, მხარედ.**

ახლა რას გულისხმობს ეს დასავლური ლიბერალიზმი. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის თავისუფლება აბსოლუტურად ყველაფრისგან, ანუ აქ იგულისხმება არა ის, რომ ადამიანი იყოს საკუთარი თავის უფალი და გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი, არამედ თავისუფლებაში იგულისხმება აღვირახსნილობა და ამორალურობა. ჩვენ ვხედავთ, რა ხდება დღეს ევროპაში და რა საშინელი ხასიათი მიიღო უკვე მათმა თავისუფლებამ. ასე რომ, **როდესაც პროდასავლურობაზე ვსაუბრობთ და, მით უმეტეს, ხაზს ვუსვამთ ამ პროცესის ღირებულებით ასპექტებს, პირდაპირ უნდა ითქვას: ეს მოგვიტანს სულიერ ნგრევას და განადგურებას, ეს მოგვიტანს ღვთის უარყოფას, რომელიც საქართველოს მიიყვანს სრულ კატასტროფამდე!**

**აი, ამის გაცნობიერებისა და აწონ-დაწონვის შემდეგ ქართველი ხალხი თუ გადაწყვეტს, რომ ევროპულ ოჯახში შესვლა მაინც გვინდა, მერე ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია.** დღეს ამის თქმის უფლება არავის აქვს, მით უფრო, ამ არალეგიტიმურ ხელისუფლებას.

**— დასავლური „ლიბერალიზმის“ მეხოტბეები ხშირად ამბობენ, სკეპტიკოსებს რომ ჰგონიათ, დასავლეთი ღვთის გმობა და სულიერი სიბნელეა, შეხედეთ, იქ ხალხი როგორ ცხოვრობსო. საუბარია ეკონომიკური განვითარების დონესა და სოციალურ ფონზე, რომელიც იქ ნამდვილად კარგია. რას უპასუხებთ მათ?**

— ეს ის ხალხია, რომლისთვისაც მთავარია, მუცელი ამოიყოროს, გაძღეს, ფული იშოვოს და კარგად იცხოვროს. **აი, ამ კატეგორიის ადამიანები ამახვილებენ ყურადღებას დასავლეთში ცხოვრების მაღალ დონეზე, თორემ რეალურად ყველამ კარგად ვიცით, იქ რაც ხდება.** ევროპაში უკვე ღმერთს აღარ ახსენებენ და ადამიანები მიჰყავთ იმ მდგომარეობამდე, რომ მხოლოდ იკვებონ, მოინელონ და დაიკმაყოფილონ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. **ღმერთმა ადამიანი შექმნა სამოთხისთვის. დღეს კი დასავლეთში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ადამიანები დაამსგავსონ პირუტყვს, რომ ისინი სასუფევლის მიღმა დარჩნენ.**

**— თუ ასეა და ეს ყველამ იცის, რატომ არ გამოდის მოსახლეობა და არ ამბობს, რომ ევროპა არ არის ჩვენი არჩევანი?**

— ერთია, რატომ არ გამოდის და არ ამბობს, მაგრამ ხალხის არჩევანი მართლა არ არის ევროპა. ხალხის არჩევანია ქრისტე და ჩვენი ტრადიციები. **საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი მართლმადიდებელია და კიდევ უფრო მეტი ყველაზე სანდო ინსტიტუტად ეკლესიას აღიარებს. სწორედ ეს აღიზიანებთ აქ ამ სულგაყიდული არასამთავრობოების სახით მოქმედი მეხუთე კოლონის წარმომადგენლებს და მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ.**

**— არა მხოლოდ ქართულის, მისი დამცველების წინააღმდეგაც.**

— ცხადია. თავის დროზე, როცა „თავისუფლების ინსტიტუტის“ პროვოკაციის შედეგად დაგვაკავეს, მეორე დილით გამოვიდა საქართველოში ამერიკის იმჟამინდელი ელჩი ჯონ ბასი და განაცხადა: ეს ადამიანები დამნაშავეები არიან და მკაცრად უნდა დაისაჯონო. **ამით მან დაარღვია კანონი და ეს ადამიანი არის კრიმინალი. ჯონ ბასს, აშშ-ის ელჩს საქართველოში, უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა,** რადგან თვით ამერიკის პრეზიდენტსაც კი, თუკი ის დამნაშავეზე განაცხადებს მანამ, სანამ დაკავებულს არ აქვს დამტკიცებული ბრალი და დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, პასუხს აგებინებენ.

რაც შეეხება ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას, ესენი უკვე მიხვდნენ, რომ ეკლესიასთან პირდაპირ ბრძოლას აქვს კონტრპროდუქტიული შედეგი. ამიტომ **ახლა მიმდინარეობს შეტევა ოჯახზე, ოჯახის ინსტიტუტზე. გამუდმებით გვესმის, რომ ქმარმა ცოლი მოკლა, მამამ — შვილი და ა.შ., ანუ საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ოჯახურმა ძალადობამ იმატა. არადა, მსგავსი ფაქტი იყო სულ შვიდი, რაც თავისთავად ტრაგედიაა, მაგრამ, ამასთანავე, გვაქვს სხვა გაცილებით მძიმე სტატისტიკა. ვგულისხმობ თვითმკვლელობის შემთხვევებს, რომლებიც დაკავშირებულია იპოთეკარების პრობლემასთან და თქვენ იცით, რომ ადამიანებს უკვე მასობრივად ასახლებენ ბინებიდან. ამის გამო სუიციდის 67 შემთხვევა იყო უკვე, რა ადამიანის უფლებებზე და ძალადობის აღკვეთაზე მელაპარაკებიან ესენი?!**

**თუ ასე ადარდებთ თავიანთი მოქალაქეების ბედი, მიხედონ ამ საკითხს, მიგდებული რომ ჰყავთ ხალხი...** არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ **ეს არის ერის მიზანმიმართული გენოციდი, რომელსაც ეს ხელისუფლება ახორციელებს.** მსგავსი რამ არ გაუკეთებია შაჰ-აბასსა და აღა მაჰმად-ხანს. **შაჰ-აბასმა ქართველებს, როდესაც ფერეიდანში გადაასახლა, მიწაც მისცა და საცხოვრებელიც. ესენი ყველაფერსართმევენ ხალხს, ღვთის ანაბარა ტოვებენ.**

**— საქართველოში არსებული ე. წ. პროდასავლური პარტიები და მათი თავკაცები, პირველ რიგში — რესპუბლიკელები, ევროპულ ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას მიზანმიმართულად ემსახურებიან თუ რეალურად ვერ აცნობიერებენ, რას აკეთებენ?**

— **ესენი სულით და მენტალობით არიან პროდასავლური მიმართულების, ამიტომ თავისთავად დისკომფორტს არ განიცდიან იმ ანტიეროვნული საქმიანობის გამო, რომელსაც, აგერ უკვე წლებია, ახორციელებენ. ეს მათთვის ბუნებრივი მდგომარეობაა და ცხადია, არც ერთ რესპუბლიკელს აზრად არ მოუვა, დაფიქრდეს, იქნებ, არასწორად იქცევა...**

**— გასაგებია, რომ მათ განათლება დასავლეთში აქვთ მიღებული და დასავლურ პოლიტიკურ წრეებში არიან ჩამოყალიბებული, მაგრამ ქართველები ხომ არიან? თქვენი აზრით, ეს არაფერს ნიშნავს?**

— წმიდა ილია მართალი ბრძანებს: როდესაც ამიერკავკასიის მასშტაბით ვინმე მართლმადიდებლობას მიიღებდა, მასზე კი არ იტყოდნენ, — გაქრისტიანდაო, არამედ — გაქართველდაო. ეს რას ნიშნავს? მართლმადიდებლობა და ქართველობა ისე შეესისხლხორცა ერთმანეთს, რომ ქართველის იდენტიფიკაცია ხდებოდა სარწმუნოებით. იმის თქმა მინდა, რომ ჩემთვის ისინი — რესპუბლიკელები, არ არიან ქართველები. საერთოდ, არც ერთი მოქალაქე, რომელიც გმობს და პატივს არ სცემს მართლმადიდებლობას, არ შეიძლება, ქართველად მივიჩნიოთ.

**— რა გამოდის: დავით უსუფაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი, თამარ კორძაია და სხვები ქართველები არ არიან?**

— მე მაგათ ვერ აღვიქვამ ქართველებად, მაგრამ თქვენ თუ ეთნიკურად გულისხმობთ, ეგრე ქართველი იყო ბერბიჭაშვილიც, ყორღანაშვილიც, ფალავანდიშვილიც და რა ვიცი, კიდევ რამდენი ჩამოვთვალო.

**— ვთქვათ, მოხდა სასწაული — დავაკმაყოფილეთ ევროპული დემოკრატიის ყველა სტანდარტი და მიგვიღეს ევროკავშირში. რას მიიღებს ამით ქართული სახელმწიფო?**

— ჯერ ერთი, ჩვენ ევროპულ ოჯახში არავინ მიგვიღებს, მაგრამ, რასაც თქვენ ამბობთ, თუ ეგრე მოხდა, იმ დროს საქართველოს უკვე მიღებული ექნება მისაღები. **აი, რა იქნება: ღმერთი, ეკლესია, სარწმუნოება გახდება სასაცილო, საქილიკო თემა. ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, დაინგრევა და აღარ იარსებებს. სოდომიზმი, სახალხო სექსუალური ორგიები და სხვა მსგავსი გარყვნილება გახდება ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც ქუჩაშიც კი არავის გაუკვირდება, ხოლო ეროვნულობა, ეროვნული აზროვნების ნებისმიერი გამოვლინება გაიგივდება ნაციზმთან, ექსტრემიზმთან და სიძულვილთან და ამის გამო დაიწყება ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების ფართომასშტაბიანი დევნა. ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს აქცევენ დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების არეალად და საბოლოოდ ვიქნებით დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის მიერ მოწყობილი ქაოსის ერთი პატარა წერტილი. სხვა ამოცანა და ფუნქცია საქართველოს, ამათ გათვლებში, არ აქვს.** ამიტომ, არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ჩვენთვის მზე არც დასავლეთიდან ამოდის და არც რომელიმე პოლუსიდან, მზე ამოდის აღმოსავლეთიდან და ეს მზე არის ღმერთი — ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოება. აი, ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელმაც შეიძლება გადაარჩინოს ქართველი ერი ამ უმძიმესი და ურთულესი განსაცდელის ჟამს.

**«როდესაც პროდასავლურობაზე ვსაუბრობთ და, მით უმეტეს, ხაზს ვუსვამთ ამ პროცესის ღირებულებით ასპექტებს, პირდაპირ უნდა ითქვას: ეს მოგვიტანს სულიერ ნგრევასა და განადგურებას; ეს მოგვიტანს ღვთის უარყოფას და საქართველოს მიიყვანს სრულ კატასტროფამდე! აი, ამის გაცნობიერებისა და აწონ-დაწონვის შემდეგ ქართველი ხალხი თუ გადაწყვეტს, რომ ევროპულ ოჯახში შესვლა მაინც გვინდა, მერე ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**„აბრაამს, ანუ მამაკაცს აქვს ღვთისგან მინიჭებული ფუნქცია მისი წინამძღოლობის, მედროშეობის, მართვის; ხოლო დედაკაცს — სარას, აქვს ღვთისგან მინიჭებული ფუნქცია კერიის მფარველისა და დამცველის. თუ კაცსაც და ქალსაც ეს ფუნქციები კარგად ექნებათ გააზრებული, მათ სურვილიც კი არ გაუჩნდებათ, ერთმანეთის ფუნქციებში შეიჭრან. მხოლოდ ასეთი ოჯახი იქნება მშვიდი და ბედნიერი. სხვა შემთხვევაში, როგორც კი ერთი შეიჭრება მეორის ფუნქციებში, ბალანსი დაირღვევა და ოჯახი სიმშვიდესა და ბედნიერებას დაკარგავს“.**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი):

# გლობალიზაცია საფუძველშივე ძირს უთხრის ქართულ ტრადიციებსა და კულტურას!

**ბოლო ხანს საქართველოში ქალებზე ძალადობამ შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია. არა ერთი ოჯახური ძალადობა დასრულდა ტრაგედიით, რაშიც ზოგი ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს ადანაშაულებს, ზოგი კი პრობლემას ჩვენს მენტალიტეტსა და ტრადიციებში ხედავს, არიან ისეთებიც, რომლებიც დამნაშავედ ეკლესიას მიიჩნევენ. ოჯახური ძალადობის მიზეზებსა და მეუღლეების ურთიერთობაზე აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი) გვესაუბრება.**



— ოჯახური ძალადობის ფაქტები, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია, მაგრამ ეს არ უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვენი ჩამორჩენილობის შედეგი. ოჯახური ძალადობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, ის ყველა ერსა და ყველა თაობას ახასიათებს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ამას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ **ოჯახში ძალადობა უდიდესი პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა ე. წ. დემოკრატიის შუქურაში — აშშ-ში. იქ ყოველწლიურად 2-3 მილიონი ქალი ხდება ძალადობის მსხვერპლი. მეტიც, გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ეს კანონითაც იყო დაშვებული. მაგალითად, 1895 წლამდე ამერიკაში ქალს, თუკი ქმარი მასზე იძალადებდა, განქორწინების უფლება არ ჰქონდა.**

ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მსოფლიოში უამრავი კვლევა ტარდება. ასეთი კვლევები საქართველოში აქამდე მხოლოდ მცირე მასშტაბით ტარდებოდა და ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი 5-დან 31%-მდე მერყეობდა. **გაეროს მხარდაჭერით, 1998-2005 წლებში საქართველოში ორი კვლევა ჩატარდა და გამოკითხულ ქალთა 20%-ზე ნაკლებმა აღიარა ახლანდელი ან წინა პარტნიორის მხრიდან სიტყვიერი ძალადობის ფაქტები. 5%-ს განცდილი ჰქონდა ფიზიკური, ხოლო 2%-ს — სექსუალური ძალადობა.** „კავკასიის ქალთა კვლევისა და კონსულტაციების ქსელის“ მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით, ათასი გამოკითხული ქალიდან — 22,2 პროცენტი, სულ მცირე, ერთხელ მაინც ყოფილა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ორგანიზაცია „სახლის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ **ოჯახური პრობლემებისა და კონფლიქტების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური სირთულეები და უმუშევრობაა. ამას გარდა, კონფლიქტური ოჯახის შენარჩუნებას განაპირობებს საზოგადოებაში არსებული ნორმატიული თვალსაზრისი ოჯახის აუცილებლობაზე.**

**— მამაო, გასაგებია, რომ ძალადობა ყოველთვის და ყველა ქვეყანაში არსებობს, მაგრამ რატომ მიიღო ძალადობამ საქართველოში ასეთი მასშტაბები? რა არის ამის მიზეზი?**

— ადრე, როდესაც ქორწინდებოდნენ, სულიერადაც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულები, მზად იყვნენ თანაცხოვრებისთვის. დღეს კი სპონტანურად იღებენ დაოჯახების გადაწყვეტილებას. მაგალითად, ქუჩაში ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩერო და ჰკითხო, რატომ თხოვდება ან მოჰყავს ცოლი, ვერ გიპასუხებს. დღეს ქვენა გრძნობების გამო უფრო იქმნება ოჯახები. სულ რაღაც 4-5 თვეში, დაიკმაყოფილებენ რა ცხოველურ ინსტინქტებს, იმ რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, რომლის დანახვაც ქორწინებამდე არ სურდათ.

ჩვენთვის, **მართლმადიდებლებისთვის, ოჯახი ურთიერთთავგანწირვაზე აგებულ სიყვარულში მეცადინეობაა. ცოლი და ქმარი ერთმანეთის ჯვრის მტვირთველები უნდა იყვნენ. მათ იმიტომ ჰქვიათ მეუღლეები, რომ ცხოვრებისეული ჯვრის ზიდვა გარკვეული ჭაპანია, რომელსაც ადამიანი მარტო ვერ გაუძლევება. ცოლქმარი ერთმანეთის თანაშემწეები, საუკეთესო მეგობრები და მესაიდუმლეები უნდა იყვნენ.** ისინი ისე უნდა იყვნენ შესისხლხორცებულნი, რომ მათზე უნდა აღსრულდეს საღვთო წერილის სიტყვა, რომელშიც გვაუწყებს უფალი, რომ ჩვენ ერთი ხორცი ვართ.

ოჯახში გააზრებული უნდა ჰქონდეთ, ვის რა ადგილი უჭირავს და რა პასუხისმგებლობა აკისრია. ხშირად ეს არასწორად ესმით და ზოგი მამაკაცი, რომელსაც ქრისტიანობასა და მართლმადიდებლობაზე წარმოდგენა არ აქვს, ამბობს, მე ვარ მეფე ოჯახში და ცოლი არის მონა, რომელმაც ის უნდა გააკეთოს, რაც მე მსურს. ამ ფილოსოფიით, დედაკაცი, გარკვეულწილად, მონურ მდგომარეობაში აღმოჩნდება და თავდაცვით რეჟიმში გადადის. ირღვევა ბალანსი და, ბუნებრივია, კონფლიქტიც წარმოიშობა. აქედან იღებს სათავეს აგრესია და მკვლელობები.

«ოჯახში ძალადობა უდიდესი პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა ე. წ. დემოკრატიის შუქურაში — აშშ-ში. იქ ყოველწლიურად 2-3 მილიონი ქალი ხდება ძალადობის მსხვერპლი. მეტიც, გარკვეულ ეტაპზე ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ეს კანონითაც იყო დაშვებული. მაგალითად, 1895 წლამდე ამერიკაში ქალს, თუკი ქმარი მასზე იძალადებდა, განქორწინების უფლება არ ჰქონდა»

**— არის თუ არა ქალი და კაცი ღვთის წინაშე თანასწორი და მოეთხოვებათ თუ არა მათ თანაბრად ყველაფერზე პასუხისმგებლობა?**

— რა თქმა უნდა. ცოლქმრის კლასიკური მაგალითია აბრაამი და სარა, მათი ურთიერთობა თანასწორობის პრინციპზე იყო აგებული. სარა და აბრაამი ღვთის წინაშე თანასწორები იყვნენ, მაგრამ ფუნქციურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. **აბრაამს, ანუ მამაკაცს აქვს ღვთისგან მინიჭებული ფუნქცია მისი წინამძღოლობის, მედროშეობის, მართვის; ხოლო დედაკაცს — სარას, აქვს ღვთისგან მინიჭებული ფუნქცია კერიის მფარველისა და დამცველის. თუ კაცსაც და ქალსაც ეს ფუნქციები კარგად ექნებათ გააზრებული, მათ სურვილიც კი არ გაუჩნდებათ, ერთმანეთის ფუნქციებში შეიჭრან. მხოლოდ ასეთი ოჯახი იქნება მშვიდი და ბედნიერი. სხვა შემთხვევაში, როგორც კი ერთი შეიჭრება მეორის ფუნქციებში, ბალანსი დაირღვევა და ოჯახი სიმშვიდესა და ბედნიერებას დაკარგავს.** შემდეგ ამას ემატება ეკონომიკური თუ სხვა პრობლემები, რომლებიც ცეცხლზე ნავთის დასხმასავით მოქმედებს.

**— მამაო, დღეს ოჯახური კონფლიქტების ერთ-ერთ მიზეზად ხშირად სახელდება ღალატი, თუმცა საქართველოში კაცის ღალატი საზოგადოების მხრიდან ისეთ დიდ დანაშაულად არ აღიქმება, როგორც ქალის. არის თუ არა ცოდვა ორივე მათგანის მიერ ჩადენილი ღალატი?**

— დიახ, ორივე მათგანის ღალატი სასიკვდილო ცოდვაა, მაგრამ ერთი მცირე ნიუანსია — მამაკაცის მხრიდან ღალატი არ შეიძლება ოჯახის დანგრევის მიზეზად იქცეს, თუმცა ეს არ ამსუბუქებს მამაკაცის ცოდვის სიმძიმეს.

**— გამოდის, რომ ეკლესია უშვებს, მამაკაცს ღალატი მიეტევოს? ანუ მამაკაცი მაინც უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება, რადგან, მისი მხრიდან ღალატის შემთხვევაში, ქალს ოჯახის დანგრევის უფლება არ აქვს?**

— არა, პატიების თემა სულ სხვაა. მათ აბსოლუტურად ერთნაირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ და ერთნაირად განსიჯებიან, მაგრამ აქ საუბარია ოჯახზე, როგორც ინსტიტუტზე, რომლის დანგრევაც, მამაკაცის ღალატის შემთხვევაში, არ შეიძლება; ხოლო, **თუ მამაკაცი გაუშვებს ცოლს და ის იმრუშებს, მის ცოდვაზე პასუხი უკვე მამაკაცსაც მოეთხოვება.**

დღეს ე. წ. განვითარებული ქვეყნები გვთავაზობენ თამაშის ახალ წესებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს ტრადიციულ ფასეულობებს.

**— რა გავლენას ახდენს ეს ყველაფერი ოჯახურ ძალადობაზე, ფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი მაპროვოცირებელი ფაქტორებია?**

— არათუ მაპროვოცირებელი, **ეს არის მართლმადიდებლობის, ქართველების გახრწნისკენ მიმართული გეგმაზომიერი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს არავინ მოაწერდა. ასოცირების ხელშეკრულება ერთ-ერთი დიდი ბლეფია, რომელიც კი შემოუთავაზებიათ ახალი მსოფლიო წესრიგის მესვეურებს.** ეს ყველაფერი უპირისპირდება ოჯახურ ურთიერთობებს. წმინდა მამა იოანე ოქროპირი წერს, — იმაზე აღმატებული სიყვარული არ არსებობს, როგორიც ოჯახური სიყვარულიაო. სადაც დიდი სიყვარულია, იქ არის ღმერთი. ოჯახი კი სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია. სამწუხაროდ, ზოგიერთი თავისუფლებას სიძვა-მრუშობაში ხედავს.

**ასოცირების ხელშეკრულება არ არსებობს ერთნაირი. ის არის მორგებული ყველა ქვეყანაზე. ისევე, როგორც დემოკრატიაა მორგებული და არაერთხელ გვინახავს ორმაგი სტანდარტების დემოკრატია. იგივეა ასოცირების ხელშეკრულებაც. ჩვენ ხომ არ დაგვიწერია ეს დოკუმენტი? ვიღაცამ გარედან მოგვარგო. გლობალიზაცია საფუძველშივე ძირს უთხრის ქართულ ტრადიციებს და კულტურას!**

**— ბოლო ხანს გააქტიურდნენ ქალთა დამცველი ორგანიზაციები.**

**რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, რას ხედავს ამაში ეკლესია ცუდს?**

— სიტყვა გენდერმა ბოლო ხანს სხვა დატვირთვა შეიძინა და მივიღეთ ქალი, როგორც კაცობრიობის სუსტი წარმომადგენელი, რომელსაც დაცვა სჭირდება. **ამ მიზნით შეიქმნა სხვადასხვა გენდერული მოძრაობა, ეს მოდის ბოროტისგან, რათა დაირღვეს ბალანსი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. ქალი გაუთანასწორდა მამაკაცს არა ღვთის წინაშე, არამედ ფუნქციურად, რაც არღვევს ჰარმონიას ადამიანებში.**

ჩვენ ვართ ერთადერთი ერი მსოფლიოში, რომელსაც ჰყავდა ქალი მმართველები, ქალები წმინდანადაც კი გვყავს შერაცხილი; ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც ტრადიციად ჰქონდა, რომ ორი ვაჟკაცის ბრძოლა მაშინვე უნდა შეწყვეტილიყო, როცა მათ შორის ქალი მანდილს ჩააგდებდა; ჩვენ ვართ ერთადერთი ერი, რომელმაც დედის კულტი აღიარა. თბილისში ქართვლის დედის ძეგლიც კი დგას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა საქართველო და ღვთისმშობელი ჩვენი ქვეყნის მფარველია. დღეს უწმინდესიც ბევრს საუბრობს ამ საკითხებზე, პატრიარქმა ოჯახის დღეც კი დააწესა.

**— პატრიარქმა მოუწოდა მასმედიას, ნაკლებად გააშუქოს ძალადობა. ეს რას შეცვლის?**

— ტელევიზია ფსიქოლოგიური იარაღია. სახელგანთქმული ამერიკელი ფსიქოლოგი დეილ კარნეგი ამბობს, — თუ გინდა, რომელიმე სიტყვა დაიმახსოვრო, 63-ჯერ უნდა გაიმეორო სხვადასხვა წინადადებაშიო. **როდესაც 63-ჯერ კი არა ათი ათასჯერ აშუქებს ტელევიზია ამ ძალადობას და გარყვნილებას, ადამიანები ისე იხრწნებიან, რომ ეს ყველაფერი უკვე ნორმად ითვლება.** ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საბოლოოდ „მრუდი სარკეების“ ქვეყანა მივიღოთ, ამიტომ მასმედიას ძალიან დიდი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება.

**— ამას წინათ აღშფოთება გამოიწვია პატრიარქის მოწოდებამ ქმრებისთვის ფეხის დაბანის თაობაზე. საზოგადოების ნაწილის აზრით, ეს მოწოდება მოძალადე ქმრებს კიდევ უფრო წაახალისებს.**

— პატრიარქის ეს ფრაზა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც იყო ნათქვამი. **არავინ უნდა იფიქროს, რომ, თუ ქალი ქმარს ფეხს დაბანს, მამაკაცი მასზე აღმატებულად იგრძნობს თავს. ეს მცდარი მოსაზრებაა.** როდესაც სასულიერო პირი შეპყრობილს კვეთებულის ლოცვას უკითხავს, მას განსაკურნებლად ამზადებს. ამ დროს ბოროტი გააფთრებას იწყებს, ამიტომაც გამოიწვია უწმინდესის სიტყვებმა საზოგადოების ერთ ნაწილში ასეთი აგრესია, თორემ ვიცი, ბევრ ოჯახში, სადაც ჩვეულებრივ მიიღეს პატრიარქის ნათქვამი და აღასრულეს კიდეც, არც არავის უგრძვნია თავი დამცირებულად, პირიქით — ეს ოჯახები სიყვარულის სხვა, აღმატებულ ეტაპზე გადავიდნენ.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს არსებულ ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, შეუძლია, გახდეს ოპოზიციური ძალა. მათ აქვთ ამის მორალური უფლება. „ნაცმოძრაობას“ და მასთან დაკავშირებულ სატელიტურ ორგანიზაციებს კი უფლება არ აქვთ, ოპოზიცია ერქვათ“.**



# სანდრო ბრეგაძე: სისტემა, რომელიც «ნაციონალურმა მოძრაობამ» შექმნა, უნდა გასამართლდეს და დანაშაულის შემკვეთმა თუ ჩამდენმა პასუხი აგოს!

**დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს.**

— საქართველოში აღმოცენდა და განმტკიცდა დემოკრატიული ღირებულებები. გათავისუფლდა მასმედია, რაზეც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ვერც ვიოცნებებდით. **დღეს სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისგან.** მოგეხსენებათ, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში სასამართლო იყო სანოტარო კანტორა, რომელიც პროკურატურის ნებისმიერ მოთხოვნას ასრულებდა. დღეს კი სასამართლო ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც ხელისუფლებისთვის შეიძლება არ არის მოსაწონი, მაგრამ მის საქმიანობაში არავინ ერევა; **ასევე გათავისუფლდა ბიზნესიც ხელისუფლების ზემოქმედებისგან.** უნდა აღვნიშნო ისიც, რომ **არჩევნების გაყალბება, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ყოველთვის ხდებოდა, აღმოიფხვრა, პოლიცია აპოლიტიკურია,** ანუ პირველი ამოცანები, რომლებიც ევროპული დემოკრატიის მოთხოვნებს უპასუხებს, შესრულებულია.

მას შემდეგ კი, რაც ქვეყანაში დამყარდება დემოკრატია, უნდა დაიწყოს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლა. განსაკუთრებით ეკონომიკასა და სოციალურ მდგომარეობაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. ხელისუფლებამ, თუ ხელი არ შეუშალეს გარეშე ძალებმა, უნდა განახორციელოს ისეთი სოციალური და ეკონომიკური პროექტები, რომლებიც გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. როგორც ვიცი, ასეთი პროექტები უახლოეს მომავალში დაიწყება.

**— ანუ ამბობთ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის?**

— არა, ამას არ ვამბობ. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში, პირველ რიგში, უნდა გაძლიერდეს ოპოზიცია, თუმცა ოპოზიციაში არ ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“. **„ნაციონალური მოძრაობა“ დისკრედიტაციაა ცნებისა „ოპოზიცია“.** ვლაპარაკობ რეალურ ოპოზიციაზე, რომელიც არ არის სისხლში გასვრილი და დამნაშავე, და რომლის გაძლიერებაც უნდა იყოს ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოს მთავარი ამოცანა. **როდესაც იარსებებს ნორმალური ოპოზიცია, ხელისუფლებაც ძლიერი და ფხიზელი იქნება.** იმედია, ნორმალური ოპოზიციის ჩამოყალიბებაზე იზრუნებს ხელისუფლება და წინა პლანზე არ იქნებიან წამოწეული დანაშაულებრივი ძალები.

**— არსებობს ისეთი ოპოზიციური ძალა, რომელიც ნამდვილი ოპოზიციის ამპლუაში უნდა მოგვევლინოს?**

— ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაცია ან ძალა რომ დავასახელო, უხერხული იქნება — შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ სატელიტურ ოპოზიციურ ძალაზე ვსაუბრობ, თუმცა პირდაპირ გეტყვით: **დღეს არსებულ ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, შეუძლია, გახდეს ოპოზიციური ძალა, მათ აქვთ ამის მორალური უფლება. „ნაცმოძრაობას“ და მასთან დაკავშირებულ სატელიტურ ორგანიზაციებს კი უფლება არ აქვთ, ოპოზიცია ერქვათ.**

არსებობს კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც სინდისის ნატამალი კიდევ აქვთ შერჩენილი, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ეს ნატამალიც კი არ გააჩნიათ. ბოლო ორი წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობის“ წევრთაგან, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო, თითქმის არავინ დასჯილა და ამას დადებითად კი არ შეხვდნენ, პირიქით — სხვანაირად გაიგეს და ჰგონიათ, რომ ხელისუფლების ძალა არ შესწევს მათ დასაპატიმრებლად, ამიტომაც უწევენ დღეს ეს ადამიანები პოლიციას წინააღმდეგობას და კვლავ განაგრძობენ უტიფარ ქმედებებს. ეს ყველაფერი კოჰაბიტაციის შედეგია, რადგან სისტემა არ გასამართლდა. ამის გაკეთება არც ახლაა გვიან და **სისტემა, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა, უნდა გასამართლდეს და დანაშაულის შემკვეთმა თუ ჩამდენმა პასუხი აგოს!**

**— თუმცა ეს პროცესი იგვიანებს...**

— არ არსებობს მსოფლიოში პრეცედენტი, რომ ადამიანებს, რომლებსაც პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნისას სერიოზული დანაშაულები აქვთ ჩადენილი, პასუხი არ ეგოთ. მაგალითისთვის ჩილეს პრეზიდენტის, პინოჩეტის, გახსენებაც კი კმარა, რომელიც 80 წლისა გაასამართლეს. **მესმის, რომ საზოგადოების სამართლიანობის აღდგენა ეჩქარება, მაგრამ შევდივარ პროკურატურის მდგომარეობაში და მირჩევნია, ისეთი დასკვნებით წაუყენოს ამა თუ იმ დამნაშავეს ბრალი, რომელიც ამოწურავი იქნება და არ მოიქცევა „ნაციონალურ მოძრაობასავით“, რომელიც ჯერ იჭერდა ადამიანებს, შემდეგ კი ფიქრობდა, ბრალი როგორ დაემტკიცებინა.**

**— სააკაშვილის ბოლო გამოსვლიდან ჩანს, რომ ის არათუ დაპატიმრებისთვის, არამედ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადება...**

**«ჩვენი პატივცემული ხელოვანები და სპორტსმენები, ცნობილი სახეები, უნდა დაფიქრდნენ იმაზე, პროფესიული გზით ურჩევნიათ სიარული თუ პოლიტიკოსის ეკლიანი გზით»**

— რაც უნდა ილაპარაკოს სააკაშვილმა ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს პასუხისგება თავის დანაშაულებზე. ეს ადამიანი იმალება, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაძრწის და ამიტომ მის დაპატიმრებას დღეს ან ხვალ არ უნდა ველოდოთ. **სააკაშვილი მართალი კაცი რომ იყოს, ჩამოვიდოდა, წარდგებოდა სასამართლოს წინაშე და თავის სიმართლეს დაამტკიცებდა,** მაგრამ მართალი რომ არ არის და ყველაზე კარგად თვითონ რომ იცის იმ დანაშაულების შესახებ, რომლებიც 9 წლის განმავლობაში ჩაიდინა, სწორედ ეს არის მისი მიმალვის მიზეზი. მიმალვაა, როდესაც პროკურატურა დაკითხვაზე გიბარებს და არ მიდიხარ. **მაგრამ რადგან დადგება დრო, როდესაც მიუწევს ბევრ ბრალდებაზე პასუხის გაცემა. ყველაფერი დროის ამბავია.**

**— ხელისუფლებაც პასიურობს. რამდენიმე ადამიანის გარდა, აზრს საჯაროდ არავინ გამოხატავს — ერთი და იგივე ადამიანები დადიან ტელედებატებში.**

— ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელ პარლამენტში პოლიტიკოსების ნაკლებობაა და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს ტელედისკუსიებში. **შეიძლება იყო კარგი სპორტსმენი, კარგი მეცნიერი ან მუსიკოსი, მაგრამ პოლიტიკოსობა არ გამოგდიოდეს.** პოლიტიკოსს სჭირდება სხვა უნარები, რომლებიც მას ჩვეულებრივი მოქალაქისგან განასხვავებს. ეს არის ძალიან რთული სფერო და დღეს, როდესაც პარლამენტი არაპროფესიონალი პოლიტიკოსებით არის დაკომპლექტებული არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მხოლოდ პოლიტიკოსთა პატარა გუნდი ჩანს ეკრანზე. ვისურვებდი, რომ მომავალი პარლამენტი ასი პროცენტით დაკომპლექტდეს პოლიტიკოსებით, ეკონომისტებითა და იურისტებით, ასე ქვეყნისთვის გაცილებით უკეთესი იქნება. **ჩვენი პატივცემული ხელოვანები და სპორტსმენები, ცნობილი სახეები კი უნდა დაფიქრდნენ იმაზე, პროფესიული გზით ურჩევნიათ სიარული თუ პოლიტიკოსის ეკლიანი გზით.**

**— „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებენ ამჟამინდელი ხელისუფლების ხარჯებზე.**

— მკვლელი რომ პატიოსან ადამიანს აბრალებს მკვლელობას, ამას ჰგავს „ნაცების“ საქციელი. **რომელ ხარჯებზე ლაპარაკობენ, როდესაც ნაცლიდერებს თავიანთ ორგიებზე ჰქონდათ მომართული მთელი სახელმწიფო მანქანა და ბიუჯეტი,** მაგრამ ეს ადამიანები უსინდისოები არიან და ამიტომაც ლაპარაკობენ ამ თემაზე. **ამიტომაც ვამბობ, რომ ამ პარტიის წინააღმდეგ სამართლებრივი ნაბიჯებია გადასადგმელი და დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობა“ ძალიან მალე გაქრება პოლიტიკური ასპარეზიდან და ამის შემდეგ ჩვენც დავისვენებთ და სრულიად საქართველოც.** ესაა რეალური და ლოგიკური გამოსავალი. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ შემოდგომის ბუზივითაა და ყველაფერზე გააკეთებს აპელირებას.

**— ვიდრე ამ ხელისუფლების წარმომადგენელი გახდებოდით, ხშირად საუბრობდით „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილებზე...**

— ასეც არის. „ნაცმოძრაობას“ დღევანდელ ხელისუფლებაში ფესვები დატოვებული აქვს და ყოველთვის ეცდება, სახელმწიფოს ავნოს. **2012 წელს, როდესაც „ნაცმოძრაობა“ დამარცხდა არჩევნებში, დაბალი დონის სახელმწიფო მოხელეებს, როგორებიც არიან სხვადასხვა სამმართველოს უფროსები, უბრძანეს, რომ პოსტებზე დარჩენილიყვნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ.** არ მინდა, სახელები და გვარები დავასახელო, მაგრამ დღეს **ბევრია ადამიანი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერები იყვნენ, ახლა კი ცდილობენ, სამუშაო ადგილებიდან საბოტაჟით ავნონ ახალ ხელისუფლებას.** როდესაც ზონდერებს სამსახურიდან უშვებენ, გარბიან სასამართლოში, სადაც მოსამართლეები აძლევენ გამამართლებელ განაჩენს და თანამდებობაზე ბრუნდებიან.

**«ბევრია ადამიანი, რომლებიც «ნაციონალური მოძრაობის» ზონდერები იყვნენ, ახლა კი ცდილობენ, სამუშაო ადგილებიდან საბოტაჟით ავნონ ახალ ხელისუფლებას»**

**— სწორედ ამას ამბობენ წალკისა და ზესტაფონის გამგებლებზე...**

— არ მსურს დაკონკრეტება, თორემ მეც ბევრი რამ ვიცი. დევნილთა სამინისტროში მუშაობისას ვიცოდი, ვინ იყვნენ ასეთები და მათ წინააღმდეგ ღონისძიებები გავატარე. მართალია, ადამიანები პოლიტიკური ნიშნით არ უნდა გათავისუფლდნენ სამსახურიდან, მაგრამ ის, ვინც სამსახურის სავარძლიდან საბოტაჟს ეწევა, სამსახურიდანაც უნდა გააგდო და მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს.

**— რატომ არ აკეთებს ამას ხელისუფლება?**

— ხელისუფლება კანონის ფარგლებში იქცევა. „ნაცმოძრაობამ“, როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, ვინც არ მოსწონდა, ყველა გაყარა სამსახურიდან. მათ გზას არ უნდა დავადგეთ და ხალხი პოლიტიკური ნიშნით არ უნდა გავათავისუფლოთ სამსახურიდან, მაგრამ ადამიანები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, რა თქმა უნდა, უნდა დავითხოვოთ. არ ვიცი, ვინ და რატომ არ აკეთებს ამას, მაგრამ ის არეალი, სადაც ვმუშაობდი და სადაც ახლა ვმუშაობ, ყველანაირი ზონდერისა და მსგავსი ტიპის ადამიანებისგან გაწმენილია. კატეგორიულად ავკრძალე პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ ზონდერებისგან აუცილებლად უნდა გაიწმინდის ყველა სამსახური.

**— ბაჩო ახალაიას 7 წლითა და 6 თვით მიუსაჯეს პატიმრობა, რამაც საზოგადოების დიდი ნაწილი გააღიზიანა.**

— ერთია, ჩვენ რას ვფიქრობთ, მაგრამ სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და იძულებული ვართ, შევეგუოთ. მიკვირს ჩვენი ზოგიერთი უცხოელი პარტნიორის, რომლებიც არაადეკვატურ წერილებს წერენ, ვანო მერაბიშვილი, ახალაია და სხვები პოლიტიკური დევნილები არიანო. ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებებით ის ადამიანები დემოკრატიულ პრინციპებს აზიანებენ. **ადამიანი, რომელიც კაცის მკვლელზე იტყვის, პოლიტიკური დევნილიაო, რა თქმა უნდა, ხალხის ნდობას ვერასდროს მოიპოვებს.** რაც შეეხება ახალაიას, მასზე საუბარს აღარ აქვს აზრი, რადგან მისი სასამართლო დასრულდა. ყველა მეცოდება პატიმრობისთვის და ასევე მეცოდებიან ის ადამიანები, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ სააკაშვილის 9-წლიან რეჟიმს.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„ეს არის ოჯახის ფენომენის წინააღმდეგ მიმართული ქმედება —ოჯახის მოსპობა და განადგურება. გლობალისტების გეგმაა, ადამიანი დაამსგავსონ ცხოველს, მხეცს, რათა შემდეგ მისი მართვა იყოს იოლი და მას საკუთარი ხელით გააკეთებინონ ყველაფერი, რის გაკეთებაც სურთ.“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ავთანდილ უნგიაძე:

# ჯერ ცოლს წაგვართმევენ, მერე —შვილებს და ბოლოს ჩვენც დაგვიმონებენ...

**ხელისუფლების „ლიბერალური“ ფრთა, რომელიც ივანიშვილმა პოლიტიკური ველის მოწინავე პოზიციაზე იმიტომ გამოიყვანა, რომ „დემოკრატიული დასავლეთისგან“ მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონოდა, ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ და, საზოგადოდ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს წარმატებით განაგრძობს. სამპროცენტიანი რესპუბლიკელები საკანონმდებლო ცვლილებებს ცვლილებებზე ამზადებენ. ამით, ერთი მხრივ, ოკეანისგაღმელი მფარველების დირექტივებსაც ასრულებენ და, მეორე მხრივ, სააკაშვილის მიერ დაწყებული ე. წ. მენტალური რევოლუციაც მოჰყავთ სისრულეში.**

**ამას წინათ საქართველოს პარლამენტმა მორიგი საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა. ლაპარაკია დოკუმენტზე, რომელიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ახალი ნორმების შემოღებას ითვალისწინებს. ერთი შეხედვით, ეს უწყინარი კანონი ამთავითვე უამრავ შეკითხვას აჩენს. პირველ რიგში კი, საკითხავია, რა ინტერესი დგას ამ ცვლილების უკან და როგორ აისახება იგი ადამიანთა ცხოვრებაზე.**

**სასულიერო პირები და კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე ზოგი პოლიტიკური სუბიექტი შიშობენ, რომ აღნიშნული ცვლილება დასავლური გეგმის ნაწილია და ამას მოჰყვება ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივებისა, რომლებსაც დასავლეთი მკაცრად მოითხოვს, რადგან ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებაა.**

**კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები და რეალურად რა ამოცანა დგას უსუფაშვილის მიერ ინიცირებული პაკეტის უკან — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე გვესაუბრება.**



# «ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ისიც ისევე აგებს პასუხს ხალხის წინაშე, როგორც რესპუბლიკელები და სხვა ე.წ. ნეოლიბერალი სუბიექტები, რომლებიც საკმაოდ არიან დღევანდელ ხელისუფლებაში»

**— ბატონო ავთანდილ, რამდენიმე დღის წინათ პარლამენტმა, უსუფაშვილის ინიციატივით, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ახალი საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა. ცხადია, ძალადობა უნდა აღიკვეთოს და თავისთავად ამ კანონის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი სხვა მიზანს ემსახურება? შემდეგი ნაბიჯი ხომ არ იქნება იგივე ევროპული იუვენალური იუსტიციის მსგავსი ნორმების შემოღება, რომლებიც ქართულ მენტალიტეტსა და ტრადიციებს ეწინააღმდეგება?**

— ცხადია, ძალადობა უნდა აღიკვეთოს და სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს მოქალაქის დასაცავად, მაგრამ გააჩნია, რას დავარქმევთ დაცვას. ესენი რასაც აკეთებენ, სინამდვილეში არც ერთს ემსახურება და არც — მეორეს, აქ სულ სხვა მიზანი და ამოცანა იმალება, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების ინტერესებზე გადის...

შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის ინიციატორებიცა და მიმღებიც იქნებიან რესპუბლიკელები, საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ასევე არ მოგვიტანს სიკეთეს ამ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავებული პაკეტები; ამიტომ ამ ცვლილებების განხილვისას სამოქალაქო კონტროლი უნდა იყოს უკიდურესად გამკაცრებული. საზოგადოებას ესენი უნდა ჰყავდეს მუდმივი „როზგის“ ქვეშ, ბრჭყალების გამოჩენა რომ ვერ გაბედონ, თორემ თავიანთ ნებაზე თუ მიუშვი, ჩათვალეთ, რომ ქართული სახელმწიფო, ერი მალე აღარ იარსებებს...

**— თქვით, რომ ხელისუფლების ნაბიჯები რეალურად არ ემსახურება ძალადობისგან მოქალაქეების დაცვას. მაშინ რა მიზანი აქვს თუნდაც იმ პროპაგანდას, რომ თურმე საქართველოში ქალებს მასობრივად ხოცავენ და ამის მიზეზი ქართული მენტალიტეტია?**

— დარწმუნებული ვარ, რომ **ეს თემა, ე. წ. ქალთა უფლებების თემას ვგულისხმობ, ჩადებულია იმ ასოცირების ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელი მოაწერა საქართველომ და რომლის შინაარსიც დღემდე რატომღაც არავინ იცის.** რას ისახავს ეს ყველაფერი მიზნად? — იმას, რაც უკვე განხორციელდა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და ნელ-ნელა მოიწევს აღმოსავლეთისკენ. **ეს არის ოჯახის ფენომენის წინააღმდეგ მიმართული ქმედება — ოჯახის მოსპობა და განადგურება. გლობალისტების გეგმაა, რომ ადამიანი დაამსგავსონ ცხოველს, მხეცს, რათა შემდეგ მისი მართვა იყოს იოლი და რის გაკეთებაც სურთ მას საკუთარი ხელით გააკეთებინონ ყველაფერი.**

ამას ემსახურება სექსუალური განათლების შეტანაც სკოლებში. ეს უნდა განვიხილოთ გლობალიზაციის კონტექსტში, ანუ მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება შობადობის, მოსახლეობის შემცირებისა და პიროვნების დეგრადირების პროცესს. ამ მიმართულებით მსოფლიოს პოლიტიკა მრავალი წლით განსაზღვრა 1974 წელს აშშ-ში შემუშავებულმა საიდუმლო მემორანდუმმა, ე. წ. გეგმა NSSM-200- მა (National Security Stadiy Memorandum), რომელსაც იმ მომენტისთვის მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო იარაღის სტატუსი და რომლის ძირითადი მიზანი იყო, ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო მოსახლეობის შემცირება. **შემდეგ ამ გეგმამ ბიძგი მისცა ისეთი პროგრამების გავრცელებას, როგორიცაა ოჯახის დაგეგმარება, კონტრაცეფცია, სტერილიზაცია, სექსუალური განათლება და სხვ.** იმ მემორანდუმში ხაზგასმითაა აღნიშნული: „არ უნდა შევამციროთ ძალისხმევა მოზრდილი მოსახლეობის მიმართ. ამასთანავე, აუცილებელია, კონცენტრირება მოვახდინოთ მოზარდ თაობაზე, — მათზე, რომლებიც ახლა დაწყებით კლასში არიან“.

ახლა შეხედეთ, **რა ხდება ჩვენთან: ამ ე. წ. რეფორმატორების უპირველესი სამიზნე იმთავითვე სკოლები იყო. იქ იცდებოდა და ხორციელდებოდა ყველანაირი პროგრამები, რომლებიც შემოდის დასავლეთიდან. სააკაშვილიც ყველაზე მეტ დროს უთმობდა ახალგაზრდებს, ამაყობდა კიდეც, — შეხედეთ, რამხელა ცვლილება მოხდა მენტალიტეტშიო.** მენტალიტეტში ცვლილება მართლა მოხდა და ყოველთვის ვამბობ, რომ ამ უბედურების შედეგად ჩვენ მთელი თაობა დავკარგეთ. საქართველოს, ფაქტობრივად, უკვე გამოაცალეს ის ფუნდამენტი, რომელზეც ქართველობა იდგა, — ეს არის ქართული სული. **16-17 წლის გოგო-ბიჭებში ამას უკვე ვერ დაინახავთ ან, თუ დაინახავთ, რაღაც მახინჯი ფორმა აქვს მიღებული.** აი, ესაა ამათი ამოცანა და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ სად ვართ, ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ **იმას, რასაც 9 წლის განმავლობაში ვერ მიაღწიეს „ნაციონალებმა“, ახლა რესპუბლიკელები შეასრულებენ...**

**— ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით იზრდება სამართალდამცავი სტუქტურების უფლებებიც, ანუ პოლიციელს შეუძლია, მკაცრი მონიტორინგი გაუწიოს ოჯახს, თუკი მისი რომელიმე წევრი, ცოლი ან ქმარი ითხოვს. რეალურად რა შედეგს მოიტანს ეს?**

— ეს არის მძლავრი ინსტრუმენტი პოლიციელის ხელში და აქ უკვე საკითხავია, კეთილსინდისიერად თუ გამოიყენებს ამას სამართალდამცავი. მოკლედ, ძალიან რთული თემაა. მე ერთი რამ ვიცი: **ეს არის პირველი ნაბიჯი ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის შუღლის ჩამოსაგდებად, შემდეგი ნაბიჯი კი, დარწმუნებული ვარ, იქნება ბავშვთა უფლებების დაცვა.** მალე, ალბათ, ამათი პროპაგანდისტული არხები ერთხმად დაიწყებენ ყვირილს, რომ თურმე ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ ქვეყანაში კატასტროფული მდგომარეობაა. აი, ამ პროპაგანდით გააბრუებენ მოსახლეობას და საბოლოოდ მივალთ იმის მსგავს მოვლენამდე, როგორიცაა იუვენალური იუსტიცია დასავლეთში. **შედეგად დაინგრევა ათასობით ოჯახი და ათეულათასობით ბავშვს წაართმევენ მშობელს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მოხდება ისეთი ფორმით, რომ ბევრს პროტესტის გამოხატვის სურვილიც კი აღარ ექნება...**

**— კონკრეტულად ავუხსნათ მკითხველს, რა არის იუვენალური იუსტიცია; მით უფრო, რომ ევროინტეგრაციის კვალდაკვალ ჩვენც აუცილებლად მოგვიწევს ამ გამოცდილების გაზიარება.**

— უწინარესად, **ქალებს მივმართავ, რომ ნუ დახარბდებიან იმ ე. წ. სიკეთეებს, რომლებსაც მათი უფლებების დაცვის სახელით ვიღაცები განახორციელებენ. ეს კატასტროფულად გაზრდის განქორწინებებს და მეორეც, შობადობის მხრივ მივიღებთ უმძიმეს მდგომარეობას.**

**რაც შეეხება დასავლური იუვენალური იუსტიციის გადმონერგვას საქართველოში, ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ პირველ ნაბიჯს, რომ ქმარს ართმევენ ცოლს, შემდეგი ნაბიჯი კი იქნება ის, რომ ორივეს წაართმევენ ბავშვს. კიდევ ვიმეორებ: ამ პროცესის ავანგარდში არის რესპუბლიკური პარტია, რომელმაც ჩაანაცვლა „ნაციონალები“.** რესპუბლიკელები უფრო სერიოზული ძალაა და უკეთ აკეთებენ იმას, რასაც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმმა თავი ვერ გაართვა...

**— ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყანაში ძალადობამ იმატა. რა ბერკეტები აქვს მას იმისთვის, რომ ეს პროცესი შეაჩეროს?**

— მოდი, ასე შევხედოთ საკითხს: **რა გააკეთა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ამ ძალადობის გამომწვევი ფონი ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა? უკვე ორი წელი გავიდა პოლიტიკური ცვლილებიდან, რა მივიღეთ? გაუმჯობესდა სოციალური ფონი? — არა! აღდგა სამართალი? — არა! დაუბრუნეს ადამიანებს წართმეული ქონება? — არ დაუბრუნებიათ... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ქართველი კაცი ღირსებააყრილია, მოსახლეობა სიღატაკის ზღვარზეა...** იცით, რამდენი ადამიანია დღეს მშიერი, რამდენს ენატრება პური? ოჯახები ვიცი, ორ დღეში ერთხელ აქვთ საჭმელი. ასეთ ქვეყანაში, ძალადობა კი არა, საერთოდ, ვინმე კანონს რომ პატივს სცემს, არ გიკვირთ?

**— ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიღებული კანონის ერთ-ერთი ინიციატორი ირაკლი ღარიბაშვილიცაა და ეს ბევრისთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა; მოულოდნელი იმიტომ, რომ პრემიერი მაინც უფრო პროქართული პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევა, განსხვავებით რესპუბლიკელებისგან. თქვენი აზრით, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას მასზე გავლენას ახდენენ?**

— არ ვიცი, მასზე გავლენას ახდენენ თუ არა, მაგრამ ამ ადამიანზე ერთ რამეს ვიტყვი: მისი აზრები და რწმენა არ მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, რასაც აკეთებს... **ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ისიც ისევე აგებს პასუხს ხალხის წინაშე, როგორც რესპუბლიკელები და სხვა ე. წ. ნეოლიბერალი სუბიექტები, რომლებიც საკმაოდ არიან დღევანდელ ხელისუფლებაში.**

**— ასე თუ ისე, დასავლური ე. წ. ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდა თავის მიზანს აღწევს. დასაწყისში თვითონაც აღნიშნეთ, რომ 16-17 წლის მოზარდებს უკვე ხასიათი და მენტალიტეტი აქვთ შეცვლილი. როგორ ფიქრობთ, სად მიგვიყვანს ეს ყველაფერი?**

— ყველამ ვიცით, რომ ანტიქრისტე მოვა და ეს დრო შორს არ არის. ვიმეორებ, ჯერ ცოლს წაგვართმევენ, მერე — შვილებს და ბოლოს ჩვენც დაგვიმონებენ. ეს უკვე მოხდა დასავლეთში, რომლის ნაკვალევსაც ასე ბრმად და გაუცნობიერებლად მივყვებით.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უბედურებათა ქრონიკას“ ვეძახი „რუსთავი 2“-ს. ბოლო ხანს ტელეკომპანია აშკარად რევანშისტული მიმართულებით მიდის. გამოდიან „ნაციონალები“, რომლებსაც დაპყრობილი აქვთ ეს ეთერი, და ირმა ინაშვილისა არ იყოს (ვეთანხმები მას), უსირცხვილოდ გვმოძღვრავენ, მორალსა და წესიერებაზე ლაპარაკობენ.**

# ოჯახშიც და ქვეყანაშიც ფსიქოზი მეფობს

**არა ძალადობას! რამდენიმე დღეა, ეს მოწოდება აიტაცა ქართულმა მასმედიამ — საზოგადოებაში, უწინარეს ყოვლისა კი, ოჯახებში ძალადობის არნახულად გახშირებულმა შემთხვევებმა აიძულა ყურადღების ცენტრში ამ პრობლემის დაყენება. მოსახლეობა სერიოზულად არის შეშფოთებული — ნეგატივიზმის ასეთ ტალღას საქართველოსთვის არასოდეს გადაუვლია. რისი ბრალია, საიდან მოვიდა ეს უბედურება? „ნაცების“ უმცირესობა ხელისუფლებას აბრალებს, ხელისუფლება „თავის მართლების რეჟიმშია“. ხოლო იმათ, ვისაც შეუძლია სიმართლის თქმა, ვინც წლების განმავლობაში სწავლობდა ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზებს და შესაძლო განვითარების პერსპექტივას არავინ არაფერს ეკითხება. მეცნიერებზე ვლაპარაკობ.**
**„საქართველო და მსოფლიომ“ ამ ნაკლის დასაძლევად სასაუბროდ მოიწვია ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე.**
**საუბარი იმდენად ხანგრძლივი იყო, ერთმანეთთან დაკავშირებულ იმდენ მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო, რომ სრული მოცულობით მისი გადმოცემა ერთ ჯერზე, გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი აღმოჩნდა.**
**პუბლიკაცია, რომელსაც გთავაზობთ, ბატონ ავთანდილ სულაბერიძესთან საუბრის ფრაგმენტებია მხოლოდ.**



— ქვეყანაში დღეს ფსიქოზია, — **თქვა ბატონმა ავთანდილმა,** — ოჯახური ძალადობა დღეს და გუშინ კი არ გაჩნდა, არამედ წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, ვითარდებოდა, ძალას იკრებდა.

დავიხიოთ ოცი წლით უკან, ვნახოთ, რა გამოიარა იმ თაობამ, რომელსაც დღეს ოჯახები აქვს შექმნილი, რა ნახა და გადაიტანა — ომი, შიმშილი, პოლიტიკური ბრძოლები, არაფრის მომცემი არჩევნები, ჯიბის პარლამენტი, უნიათო მთავრობა, დასასრულ, მოძალადე ხელისუფლება, რომლის აგრესია, უწინარეს ყოვლისა, ოჯახის წინააღმდეგ იყო მიმართული — დაუსაქმებლობა, უსახსრობა და ზეობა უსამართლობის, როცა ადამიანების თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა ციხეში მოხვედრის რეალური საშიშროება.

ოჯახის ამ პრობლემებზე ვილაპარაკე ახალარჩეული პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც მეცნიერების განვითარების საკითხი განიხილებოდა. მოწმე გავხდი იმისა, რომ ფუნდამენტურ მეცნიერებებზე, მათ შორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, საუბრისას, არავის, არც ერთხელ არ გახსენებია, რომ სოციოლოგიაც არის ფუნდამენტური მეცნიერება და მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში. განვაცხადე, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, არ გვაქვს ფუნდამენტური კვლევები ამ დარგში, ხოლო ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კვლევები ვერ ჩაითვლება მეცნიერულ კვლევებად მთელი რიგი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

**არასამთავრობო ორგანიზაცია არ არის და არც შეიძლება იყოს მეცნიერული სტრუქტურა, რადგან საზოგადოებრივი დონის წარმონაქმნია.**

ყველაფერ ამის შესახებ ვილაპარაკე აღნიშნულ საკომიტეტო განხილვაზე და კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ივანე კილურაძეს ვუთხარი, რომ ჩვენი დარგის ასეთი შეუფასებლობა ქვეყანას წინ დახვდებოდა.

ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ჩემი ეს გაფრთხილება ახდა.

**— რის საფუძველზე გააკეთეთ ასეთი ნეგატიური პროგნოზი?**

## არასამთავრობო ორგანიზაცია არ არის და არც შეიძლება იყოს მეცნიერული სტრუქტურა, რადგან საზოგადოებრივი დონის წარმონაქმნია...

— ჩვენი ინსტიტუტის კვლევების საფუძველზე, რომელსაც ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი ეწოდება. წელიწად-ნახევარი ჩვენმა თანამშრომლებმა უხელფასოდ იმუშავეს და, სხვათა შორის, შრომების კრებული, რომელშიც ჩვენი უახლესი კვლევების შედეგები გამოქვეყნდა, საკუთარი ხარჯით გამოსცეს.

მოდით, სოციალური კუთხით განვიხილოთ ჩვენი საზოგადოება — მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე.

მაკრო დონეზე ჩვენ ვიყავით ჰომო სოვეტიკუსები და უზრუნველი ცხოვრება გვქონდა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას საზოგადოება მოუმზადებელი შეხვდა, რომელსაც დაემატა საყოველთაო არეულობის პერიოდი (სამოქალაქო ომის, 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით) და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ დაბნეული საზოგადოება.

თქვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ **80-იანი წლების მეორე ნახევარში „ავადმყოფი ერი“ გვიწოდეს. მაშინ ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სამწუხაროდ, დღეს გამოაშკარავდა, რომ ვართ დაავადებული ერი, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა.**

**— რა კუთხით, ბატონო ავთანდილ, რას გულისხმობთ?**

— სტიგმატი განვითარდა ოჯახის უფროსში, მამაკაცში, რომელიც დარჩა უმუშევარი, დაკარგა ოჯახის მარჩენალის ფუნქცია. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა ე. წ. პრესტიჟული პროფესიების მქონე ადამიანებში.

ეს ფუნქცია იტვირთა დედამ. ამ შემთხვევაში — სწორედ როგორც დედამ და არა ქალმა.

დედა შვილების სარჩენად წავიდა ბაზრობაზე სავაჭროდ, ზოგი — უცხოეთში მოსამსახურედ და მომვლელად. ასე გრძელდება წლების განმავლობაში და ამას ხედავენ შვილები. მამა — ავტორიტეტდაკარგულია, დედა — ოჯახის მარჩენალია. მამის სიტყვა გაუფასურდა. მამა ამას გრძნობს და ცდილობს, ძალით დაიბრუნოს დაკარგული პოზიცია. ძალადობით!

ეს მიკროდონეა.

ახლა მეზოდონეს შევეხოთ. ამდენი დევნილი, ლტოლვილი გაჩნდა — მანამდე ჩვენთვის უცნობი ფენა. ჯერ მათში განვითარებული ფსიქოზი და შემდეგ — გარკვეული ფსიქოლოგიური დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილებს შორის. ღარიბი ქვეყანა, რომელშიც პრობლემები ჯაჭვივითაა გადაბმული, ვერ მოერია დევნილობის პრობლემას. დაუმატეთ ამას უხეში შეცდომები (მეტი რომ არ ვთქვათ) სოციალურად დაუცველობის განსაზღვრისას, მაკროდონეზე ელიტური კორუფციის გალაღება, ეკონომიკის სტაგნაცია, და აშკარა გახდება, თუ საიდან აღმოცენდა სოციალური ფსიქოზი, რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას და ეროვნულ სხეულში გაჯდომას.

**ეს ფსიქოზი ოჯახშიც შემოვიდა, იძაბება ურთიერთობა ოჯახში თაობათა შორის. საბედნიეროდ, ამან საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო. ამას ხელი შეუწყო ტრადიციულმა თაობათაშორისი ურთიერთობების მდგრადობამ და, გარკვეულწილად, იმანაც, რომ ზოგიერთებმა ალღო აუღეს ველური კაპიტალიზმის პრინციპებს, მოერგნენ მათ.** მართალია, სანაცვლოდ დათმეს საკუთარი უმაღლესი განათლება, პროფესია, მეცნიერებაც კი, სამაგიეროდ შეძლეს შემოსავლის მიღება და ოჯახში შეტანა.

გაუნათლებლობა პრიორიტეტული გახდა, რადგან ჩვენი განათლებული საზოგადოება (ხომ გახსოვთ, რა დონეზე ვიყავით), ახალგაზრდა „რეფორმატორებს“ არ სჭირდებოდათ — შეუდგნენ ისეთი ტიპის ადამიანებად ჩვენს გარდაქმნას, რომელთა მართვა ადვილი იქნებოდა.

აი, ამის ღრმა მეცნიერული ანალიზი ქვეყანაში არ გაკეთებულა. ჩვენ, მეცნიერები, კი ვწერთ და ვწერდით ამის თაობაზე, მაგრამ ყოფილი ხელისუფლება არ ითვალისწინებდა ჩვენს დასკვნებს, არ აინტერესებდა, რადგან ქვეყნის მართვის მისი პრინციპები ანტიხალხური იყო.

განსაკუთრებით ცუდი როლი ითამაშა „რუსთავი 2“-მა და ახლაც იმავეს აკეთებს — მიზანმიმართულად თრგუნავს ადამიანებს. ისეთ სურათს ხატავს, ისეთ ვითარებას გვაჩვენებს, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს.

**— ხალხის ტელევიზიად წოდებული ტელემაუწყებელი...**

— ასე უწოდეს... აკეთებდა და აკეთებს კი საპირისპიროს. ყოველდღე, დილიდან გვიან ღამემდე, რეკლამასავით აქცენტირებენ თავიანთ სიუჟეტებში ძალადობის, მკვლელობის ფაქტებს, დეტალურად, მაზოხისტური სიამოვნებით. ეს პრაქტიკულად ძალადობის პროპაგანდაა.

**„უბედურებათა ქრონიკას“ ვეძახი „რუსთავი 2“-ს. ბოლო ხანს ტელეკომპანია აშკარად რევანშისტული მიმართულებით მიდის. გამოდიან „ნაციონალები“, რომლებსაც დაპყრობილი აქვთ ეს ეთერი, და ირმა ინაშვილისა არ იყოს (ვეთანხმები მას), უსირცხვილოდ გვმოძღვრავენ, მორალსა და წესიერებაზე ლაპარაკობენ.**

ამის კლასიკური მაგალითია „ჩიორა №2“ — ირმა ნადირაშვილი, ჩამოყალიბებული ინტრიგანი, რომელსაც შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი, სხვების ხელფასებსა და ნეპოტიზმზე ლაპარაკობს, როცა თვითონ რამდენიმე ხელფასს იღებდა, როგორც დამატებით გასამრჯელოს, და ნეპოტიზმში ყელამდე იყო ჩაფლული. ეს „სამაგალითო მოღვაწე“, სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ყოფილი ჟურნალისტია, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა თავის კოლეგებში.

ბაჩო ახალაიას, მისი ძმისა და საერთოდ „ნაცების“ დანაშაულთა გამართლებას რომ დაიწყებ, საზოგადოებამ ხომ ყველაფერი იცის, და ამ ცინიზმით დასცინი, ესეც ზრდის დაუსჯელობის სინდრომისა და შურისძიების განცდას ადამიანებში. ▶

მსოფლიო



## ირანში 26 წლის ქალი ჩამოახრჩვეს, რომელმაც მოძალადე დანით აკუწა

**ირანში სიკვდილით დასაჯეს ქალი, რომელმაც მამაკაცი მასზე სექსუალური ძალადობის გამო მოკლა. 26 წლის რეიჰანე ჯაბარი, მიუხედავად საერთაშორისო კამპანიისა და მოწოდებისა, შეეცვალათ მისთვის სასიკვდილო განაჩენი, თეირანის ციხეში ჩამოახრჩვეს.** რეიჰანე ჯაბარი 2007 წელს დააკავეს ირანის დაზვერვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის — მორტეზა აბდოლალი სარბანდის მკვლელობისთვის. 2009 წელს თეირანის სასამართლომ 26 წლის ქალს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. გაეროს მონაცემებით, ირანში წელს სიკვდილით 250 ადამიანი დასაჯეს.



# დააკვირდით „ნაცების“ გამოსვლებს: ბოკერიასი — პირდაპირ რევანშისტულია; გივი თარგამაძის „სულს ამოგაძრობთ!“ ხომ გახსოვთ? სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანმა განა შეიძლება ასე ილაპარაკოს?!

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხელოვნურად ძაბავენ სიტუაციას, სტრესული ვითარება შეაქვთ ოჯახებში. ამას გაუაზრებელი ძალადობისკენ მივყავართ.

**— ხალხის ტელევიზიაა...**

— უბედურებაც ესაა. სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი, ამ ტელევიზიის სიგნალი საქართველოს მთელი ტერიტორიისა და უცხოეთის ნებისმიერ კუთხეში, უწინარეს ყოვლისა, ოჯახებში ვრცელდება, მიკროდონეზე. და, გვინდა თუ არა, გავლენას ახდენს კონკრეტული ადამიანების ფსიქიკაზე. შედეგად ვიღებთ აგრესიულ საზოგადოებას, რომლისგან მოსალოდნელია დევიანტური მოქმედება.



**— რაც ნიშნავს...**

— საზოგადოდ მიღებული ნორმიდან გადახრას. დევიანტური მოქმედება სოციოლოგიის შესწავლის ცენტრში დგას. საკითხის დეტალიზაციით მკითხველი რომ არ გადავღალო, მოკლედ ვიტყვი, რომ ზოგიერთი მკვლევარის კლასიფიკაციით, დევიანტური ქცევის ბირთვია დამნაშავეობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, თვითმკვლელობა. მათ შორის მოიხსენიებენ საოჯახო კონფლიქტებსაც, აგრესიულ, ანტისოციალურ ქცევასაც და ინტელექტის დაბალ დონეს, ანუ ყველაფერს, რაც დესტრუქციულ ქმედებაში იგულისხმება. მათ შორის, კრიმინალი, რომელიც სისხლის სამართლებრივ დანაშაულში გამოიხატება და კანონით ისჯება.

ფსიქოზის განვითარებას ხელი შეუწყო საპენსიო ასაკის გაზრდამაც, რაც ყოვლად მიუღებელი იყო ღარიბ ქვეყანაში, სადაც მიზერული პენსიები ხანდაზმულ ადამიანებს წამლის საყიდლადაც არ ჰყოფნის.

საქმე იქამდის მიდის, რომ ოჯახის წევრთა ბუნებრივ მატებას (ზოგადად — დემოგრაფიულ ზრდას), შვილიშვილებს უფროსი თაობა უყურებს, როგორც ზედმეტი მჭამელის მომატებას; არადა, უწინ ახალ თაობას აღიქვამდა, როგორც მწარმოებლური ძალის მომატებას, რომელსაც უფროსები ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ.

ჩვენ ვერ გადავედით მწარმოებლურ ოჯახებზე.

**— ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრობლემაზე რას იტყვით?**

— ქალებს, რა თქმა უნდა, სჭირდება დაცვა, მაგრამ მამაკაცებმა რა დააშავეს?! მათი ინტერესების დაცვა ასევე აქტუალური და საშური საქმეა.

ჩვენთან მამაკაცებისა და ქალების მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის სხვაობა ცხრა წელიწადია, რაც შეიძლება ითქვას უპრეცენდენტოა მსოფლიოში.

**— ქალების სასარგებლოდ?**

— დიახ. ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 70,8 წელია; ქალებში — 79,4.

2013 წლის შეფასებითი მონაცემებით, ეს მაჩვენებლები უფრო დაბალია. მაგალითად, **მამაკაცის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 67,1 წელია, ქალის — 76,6 წელი, ანუ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მამაკაცს ცხოვრების 2 წელიღა რჩება, მაშინ, როცა პენსიაზე გასვლის შემდეგ ქალი კიდევ 16,5 წელი ცოცხლობს. უფრო უარესი იყო 2010 წელს, როცა, ამ შეფასების თანახმად, მამაკაცის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა საპენსიო ასაკს, მხოლოდ 0,7 წლით (ანუ 7 თვით), ხოლო ქალების 15,2 წლით აღემატებოდა. დისპროპორცია თვალშისაცემია.**

ქალთა უფლებებს რომ ვიცავთ, სწორია, მაგრამ, ხომ ხედავთ, რომ მამაკაცი უფრო დასაცავი ყოფილა! ვინმემ ამოიღო ამ საკითხზე ხმა?

მამაკაცებს კანონების გამკაცრებით, ციხით ვემუქრებით. ამით ისინი უფრო აგრესიული ხდებიან. ქალბატონებო, გაუფრთხილდით მამაკაცებს!

ბევრი სხვა საკითხიცაა გასათვალისწინებელი. ამ გართულებული ვითარებიდან გამოსვლის გზების პოვნის, პრობლემის დაძლევის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მინისტრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. რომელ მეცნიერს დაუძახეს? რომელ ფსიქოლოგს, რომელ სოციოლოგს?! ჩვენ ხომ გვაქვს კვლევები გაკეთებული, მოხსენებები, არაერთ მნიშვნელოვან კონფერენციაზე წაკითხული და მოწონებული?!

**მომზადებული გვაქვს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც ყოფილ მთავრობას დავუდეთ მაგიდაზე. თითი თითზე არავინ დააკარა. თითქოს უნდა გაეტანათ პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე განსახილველად, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, რადგან ხალხი და ოჯახი (გარდა საკუთარისა) „ნაციონალებს“ არ აინტერესებდათ.**

მეცნიერებს თუ არაფრად აგდებს, უარს თუ ამბობს ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევებზე, რომლებიც დაგვანახებს დევიაციურ მომენტებს ინდივიდისა და საზოგადოების ქცევაში და სანაცვლოდ ეყრდნობა შემთხვევითი, საეჭვოდ დაფინანსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არაპროფესიონალების კვლევებს, თუნდაც ენდიაის და არასამთავრობოების კვლევებს, ის ხელისუფლება სწორი ორიენტირის მქონედ ვერ ჩაითვლება, ხოლო სახელმწიფო ვერ მოერევა ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებს.

ასე მოხდა ჩვენ შემთხვევაშიც.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ოჯახის სოციოლოგიის მკვლევარი ალან **კარლსონი**, რომელიც ოჯახის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტია, პირდაპირ წერს, რომ ევროპის ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულმა საოჯახო პოლიტიკამ დაამახინჯა ოჯახები, რომელსაც მთლიანად საზოგადოებისთვის უარყოფითი შედეგები მოჰყვებაო.

მისი პროგნოზი გამართლდა ევროპულ ქვეყნებშიც და საქართველოშიც. ოჯახის უფროსობის განსაზღვრისას ავტორიტეტი, გამოცდილება და ტრადიციული ფენომენი უკანა პლანზე გადავიდა, ჩნდება ბზარი და იწყება ისეთივე დაპირისპირება, როგორიც სახელმწიფოშია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

**— აქედან — აგრესიულობის გამოვლენა ოჯახის შიგნით, ოჯახის წევრებს შორის.**

— რა თქმა უნდა! თავიდან — ფარული, რომელიც გარკვეულ მომენტში აგრესიული ქმედებით გამოვლინდება.

ტრაგიკული ფაქტი, რომელიც ილიას უნივერსიტეტში მოხდა, ამის დადასტურებაა. ყოფილი ქმარი, ჩვენი თანამშრომლის მკვლელი, როგორც გავიგე, დაჭერილი ყოფილა, ნარკომანი. როცა ცოლი დარწმუნდა, რომ მისი ქმარი არაფრის გამკეთებელი იყო, „წამლის“ ფულს კი სისტემატურად სთხოვდა, გაეყარა მას. ბოლოს, კვლავ უარი რომ მიიღო, აფექტში მყოფმა ყოფილმა ქმარმა გაუაზრებლად მოკლა ცოლი და თავიც მოიკლა.

ეს იყო მიზეზი, რომლითაც ამ არაადამიანური ქცევის ახსნა შეიძლება, მაგრამ არა გამართლება.

როცა ქვეყანა ნარკოტრანზიტშია ჩართული, როცა უმაღლეს ეშელონებში ვიღაც ნარკოტიკების გავრცელებითაა დაინტერესებული, იმ ხელისუფლებას ოჯახისა და საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე რა პასუხი უნდა მოეთხოვოს?!

გამოდიან ტელევიზიებით და ლამაზად ლაპარაკობენ, სხვა — არაფერი. ლამაზად რომ ლაპარაკობდნენ კიდევ, რა გვიჭირს(!). აგრესია მოდის ტელეეკრანებიდან, გინდა — ოპოზიციის, გინდა — უმრავლესობის წევრებიდან.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი ხელისუფლება „ნაციონალური“ უმცირესობის ოპოზიცია გახდა?**

— ამას ჰგავს. დააკვირდით „ნაცების“ გამოსვლებს: ბოკერიასი — პირდაპირ რევანშისტულია; გივი თარგამაძის „სულს ამოგაძრობთ!“ ხომ გახსოვთ? სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანმა განა შეიძლება ასე ილაპარაკოს?!

უბედურება, რომელიც აქედან მოდის, ჩვენს მენტალიტეტში გადადის.

მოკლედ, სულიერად გამოვიფიტეთ.

Famili soveticus -დან famili economicus-ად ჩვენი ოჯახების განვითარება ინერციით, ყოველგვარი სახელმწიფო პროგრამების გარეშე, სტიქიურად მიმდინარეობს, სახელმწიფო ამ პროცესს ხელს არ უწყობს. ასეთმა ინერციამ შეიძლება famili degradicus-მდე — დეგრადირებულ ოჯახამდე მიგვიყვანოს.

რეალურად ასეა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**80-იანი წლების მეორე ნახევარში «ავადმყოფი ერი» გვიწოდეს. მაშინ ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სამწუხაროდ, დღეს გამოაშკარავდა, რომ ვართ დაავადებული ერი, რაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა**

**ქალებს, რა თქმა უნდა, სჭირდება დაცვა, მაგრამ მამაკაცებმა რა დააშავეს?! მათი ინტერესების დაცვა ასევე აქტუალური და საშური საქმეა. ჩვენთან მამაკაცებისა და ქალების მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის სხვაობა ცხრა წელიწადია, რაც, შეიძლება ითქვას, უპრეცენდენტოა მსოფლიოში**

**P.S. პარადოქსული დასკვნა: მოწოდებაში „არა აგრესიას!“, როგორც წესი, ქალთა უფლებების დაცვას გულისხმობენ, სუსტი სქესისა ძლიერი სქესის მიერ; მაგრამ თავისთავად პრობლემის ფესვები, არანორმალური ვითარების მიზეზები უნდა ვეძებოთ მამაკაცის როლის დაკნინებაში, მისი ავტორიტეტის დაცემაში, უწინარეს ყოვლისა, მიკრო დონეზე, ოჯახში.**

**ჯენტლმენური ცალმხრივობა არსებულ ვითარებას ვერ შეცვლის.**

**მამაკაცმა ქალები რომ უნდა დაიცვას, უეჭველია! მაგრამ სახელმწიფომ ისე უნდა წარმართოს საშინაო პოლიტიკა, რომ დაცული იყოს თვით მამაკაცი.**

**რომელიც დაცული არ არის.**




## კანადის პარლამენტზე თავდასხმის დროს პრემიერ-მინისტრი კარადაში იმალებოდა

**კანადური მედია წერს, რომ ქვეყნის პრემიერმინისტრმა სტივენ ჰარპერმა, სულ ცოტა, 15 წუთი გაატარა პარლამენტის ერთ-ერთ დარბაზში მდგარ კარადაში. ტერორისტი, სხვათა შორის, ამ დარბაზში არ შესულა და გზა დერეფანში განაგრძო. ამ დროს პარლამენტარებმა კარი ავეჯით ჩახერგეს და დროშის ტარების წამახვა დაიწყეს, იარაღად რომ გამოეყენებინათ.**

შეგახსენებთ: 25 ოქტომბერს 32 წლის მიშელ ვიჰაფბიბომ სამხედრო მემორიალთან საპატიო ყარაულში მდგომი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმა, შემდეგ კი შეიჭრა პარლამენტის შენობაში, სადაც დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა მოკლეს.



## დილმა რუსეფი კვლავ პრეზიდენტია

**26 ოქტომბერს ბრაზილიაში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც დილმა რუსეფმა გაიმარჯვა და პრეზიდენტის პოსტი კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა.** ბრაზილიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, რუსეფმა ამომრჩეველთა ხმების 51,48 პროცენტი დააგროვა, მისმა მეტოქემ, ბრაზილიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ აესიუ ნევისამ კი — 48,52 პროცენტი.

ბრაზილიის პრეზიდენტმა თანამემამულეებს დიალოგისა და ერთიანობისკენ მოუწოდა და პირობა დადო, რომ ხელისუფლების ძირითადი შტოების მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად პოლიტიკურ რეფორმას ჩაატარებს.

მსოფლიო

## ვლადიმერ პუტინი: დათვი არავის არაფერს დაეკითხება

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სოჭში, „ვალდაის“ კლუბში სიტყვით გამოსვლისას, ქვეყნის ინტერესების დაცვის შესახებ სხვადასხვა გამონათქვამი გაიხსენა:**

„რაც დასაშვებია იუპიტერისთვის, დაუშვებელია ხარისთვის“; „დათვი ნებართვას არავისგან აიღებს“, „დათვი ტაიგას არავის მისცემს“, — ასეთ ფორმულირებებს ჩვენ ვერ დავეთანხმებით. შეიძლება, ხარისთვის რაღაც დაუშვებელია, მაგრამ დათვიც არავის არაფერს დაეკითხება. საერთოდაც, დათვი ჩვენთან ტაიგის პატრონად ითვლება და ვიცი, რომ მისთვის არ არის ხელსაყრელი სხვა კლიმატურ ზონაში ყოფნა. ის ტაიგას არავის დაუთმობს. ვფიქრობ, ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს“, — აღნიშნა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ რუსეთს არაფერი ჰკითხონ, ამიტომაც დაიწყეს იმის კეთება, რაც სურდათ და წესებს არავის უთანხმებდნენ.



«ოცნების» ორი წელიწადი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მერე რა, რომ კახა ასათიანმა ნარკოტიკის არსებობა კატეგორიულად უარყო... მერე რა, რომ ნარკოლოგიურ განყოფილებაში მის მიერ ნარკოტიკის მოხმარება არ დადასტურდა... მერე რა, რომ ნარკოტიკების მოხმარებაში შემჩნეული არასდროს ყოფილა და არც ნასამართლევი ყოფილა არასდროს... მერე რა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ მსგავს ფაქტებს აღარ დაუშვებდა?!“**

# ნარკოტიკების «ჩადება» ისევ დაიწყო



**ბოლო ხანს დღე არ გავა, სასტიკი მკვლელობის, ყაჩაღობისა და გაუპატიურების ფაქტების შესახებ არ მოვისმინოთ. მთავრობა ამას დივერსიას უწოდებს და „ნაცებს“ აბრალებს. ხალხმაც იცის, რისი კადრება შეუძლიათ „ნაცებს“ და რა ბერკეტები აქვთ ქვეყანაში ვითარების დასაძაბავად, მაგრამ მაინც ყველა თვლის, რომ ორი წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნა, თუ ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად — არა, პოლიციის „ნაცებისგან“ გასაწმენდად მაინც უნდა ყოფილიყო საკმარისი. ეს — რაც შეეხება კრიმინალს... ადამიანის უფლებათა დამცველები უკვე დაუფარავად საუბრობენ „წამლის ჩადების“ ფაქტების გახშირებაზე. ერთ-ერთი ასეთი საქმეა ჩვენი კოლეგის, ახალგაზრდა ჟურნალისტ თეა ასათიანის ძმის — კახა ასათიანის საქმე.**
**თეა ასათიანი, რომელიც მძიმე ავადმყოფობის შედეგად ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ძმის უდანაშაულობის დასამტკიცებლად იბრძოდა. „საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდა კახა ასათიანის ადვოკატი მაგდა კოტრიკაძე, რომელიც ემოციებს ვერ ფარავდა:**



**«მოსამართლე გიორგი არევაძე, როცა საქმის ვითარება შეიტყო, ბრალდების მხარეს, ანუ პროკურორ მარიამ სორდიას მიუბრუნდა და უთხრა, თქვენ მომმართეთ შუამდგომლობით, სადაც აღნიშნული იყო, რომ პოლიციელების მიერ ჩხრეკა ჩატარდა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებული კი ამბობს, ჩხრეკა პოლიციის შენობაში ჩატარდაო. მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა, იცოდა თუ არა მან ამის შესახებ. პროკურორმა უპასუხა, ჩემთვის ეს ცნობილია, მაგრამ მომხდარში დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავო»**

— მერე რა, რომ კახა ასათიანმა ნარკოტიკის არსებობა კატეგორიულად უარყო... მერე რა, რომ ნარკოლოგიურ განყოფილებაში მის მიერ ნარკოტიკის მოხმარება არ დადასტურდა... მერე რა, რომ ნარკოტიკების მოხმარებაში შემჩნეული არასდროს ყოფილა და არც ნასამართლევი ყოფილა არასდროს... მერე რა, რომ „ქართულმა ოცნებამ“პირობა დადო, რომ მსგავს ფაქტებს აღარ დაუშვებდა?!

**— ქალბატონო მაგდა, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ამა წლის 19 აგვისტოს კახა ასათიანი და მისი მეგობარი გოჩა მუკბანიანი გლდანის ა მიკრორაიონში მდებარე საშაურმიდან გამოდიოდნენ. მათ მიუახლოვდა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი ოთხი პიროვნება, რომლებმაც უთხრეს, რომ გლდანის პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლები იყვნენ და კახა ასათიანს სთხოვეს, გაჰყოლოდა, გოჩა მუკბანიანი კი გაუშვეს.

პოლიციელებმა ახსნა-განმარტების გარეშე ხელბორკილი დაადეს კახა ასათიანს, მანქანაში ჩასვეს და პოლიციაში წაიყვანეს. კახამ მაშინვე მოითხოვა, ადვოკატთან დარეკვის ნებართვა მიეცათ, მაგრამ პოლიციელებმა უარი უთხრეს, ამის საჭიროება არ არისო.

გოჩა მუკბანიანმა, როგორც კი ასათიანი პოლიციის მანქანაში ჩასვეს, ტაქსი გააჩერა და მათ უკან გაჰყვა. მუკბანიანმა საკუთარი თვალით ნახა, რომ მეგობარი ხელბორკილით აიყვანეს პოლიციის შენობაში. ის ადასტურებს, რომ ჩხრეკა არ ჩატარებულა, ასათიანისთვის დაკავების მოტივი არ განუმარტავთ და, შესაბამისად, არც ოქმი შეუდგენიათ.

პროცედურის მიხედვით, დაკავებულს მაშინვე უნდა განემარტოს, რატომ არის დაკავებული და რაშია ეჭვმიტანილი, მაშინვე უნდა შედგეს ოქმიც. ასათიანის შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი მომხდარა.

**კახა ასათიანმა მას შემდეგ, რაც ხელბორკილდადებული პოლიციის შენობაში შეიყვანეს, დერეფანში გავლისას იგრძნო, რომ ვიღაც უკანა ჯიბეზე შეეხო. კახა სწრაფად შებრუნდა და პოლიციელ ზურა დათუაშვილს ჰკითხა, რაშია საქმეო? დათუაშვილმა კი გაღიზიანებულმა უპასუხა: „რა იყო, ჩვენში ეჭვი გეპარება?“**

ასათიანი კაბინეტში შეიყვანეს და უთხრეს, ჯიბიდან ამოეღო ყველა ნივთი. ხელბორკილიანმა ასათიანმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო. როგორც შემდეგ განაცხადა, პოლიციელები მის ზედაპირულ შემოწმებას აწარმოებდნენ და არა — ჩხრეკას. ეს პროცედურა რომ დასრულდა, პოლიციელმა დათუაშვილმა ფოლგაში გახვეული რაღაც დადო მაგიდაზე და იკითხა, ვისიაო? როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო 2,5 აბი „სუბოტექსი“. ასათიანი არ ადასტურებს, რომ ეს აბები ჯიბეში ედო. ის არ გაუჩხრეკიათ, მხოლოდ ზედაპირულად შეამოწმეს და ფოლგაში გახვეული საგანი პირველად პოლიციელი დათუაშვილის ხელში დაინახა.

ახლა კახა ასათიანს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას გულისხმობს.

როდესაც ასათიანი აღმკვეთ ღონისძიებაზე გადაიყვანეს და საქმის განხილვა მიმდინარეობდა, ადვოკატმა ნახა, რომ საქმეში ეწერა, თითქოს ასათიანის ჩხრეკა ეკლესიის ეზოში მოხდა, ხოლო საშაურმე, რომელთანაც რეალურად დააკავეს ბრალდებული, ნახსენები არ იყო.

მოსამართლე გიორგი არევაძე, როცა საქმის ვითარება შეიტყო, ბრალდების მხარეს, ანუ პროკურორ მარიამ სორდიას მიუბრუნდა და უთხრა, თქვენ მომმართეთ შუამდგომლობით, სადაც აღნიშნული იყო, რომ პოლიციელების მიერ ჩხრეკა ჩატარდა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებული კი ამბობს, ჩხრეკა პოლიციის შენობაში ჩატარდაო. მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა, იცოდა თუ არა მან ამის შესახებ. პროკურორმა უპასუხა, ჩემთვის ეს ცნობილია, მაგრამ მომხდარში დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავო.

მოსამართლემ მითითება გასცა, სასწრაფოდ დაწყებულიყო მოკვლევა.. თუ დადასტურდა, რომ კახა ასათიანის ჩხრეკა პოლიციის შენობაში ჩატარდა, მაშინ საქმე სხვაგვარად განვითარდება.

ჩვენ, დაცვის მხარეს, საკმაო მტკიცებულება გვაქვს იმისა, რომ ასათიანის ჩხრეკა მისი დაკავების მომენტში არ ჩატარებულა, რასაც მისი მეგობარი გოჩა მუკბანიანიც ადასტურებს. მუკბანიანის ჩვენების შემდეგ პროკურატურამ ჩაწერა, რომ ასათიანის დაკავება არა ეკლესიასთან, არამედ საშაურმესთან მოხდა.

მეორე **ადვოკატმა როლანდ ასაკაშვილმა სასამართლო პროცესზე შუამდგომლობა დააყენა და მოითხოვა, რომ 2014 წლის 19 აგვისტოს გლდანის პოლიციის განყოფილების ვიდეოჩანაწერები ამოეღოთ, მაგრამ უთხრეს, ასეთი ჩანაწერები არ არსებობსო. აშკარაა, რომ ჩანაწერები დამალეს.**

ჩვენ, დაცვის მხარემ, მივმართეთ თბილისის პროკურორ მიხეილ შაყულაშვილს და მოვითხოვეთ, დაიწყოს გამოძიება კახა ასათიანის საქმეზე და დაიკითხოს პოლიციელი ალექსი მელაძე, რომელმაც თვითონ შეთხზა ამბავი (ან ინფორმატორმა მიაწოდა ყალბი ინფორმაცია), თითქოს ასათიანი დააკავეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობისას, თან ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა და ნარკოტიკული თრობის ქვეშაც იმყოფებოდა.

**— ასათიანი ნარკოტესტზე არ შეუმოწმებიათ?**

**— კახა ასათიანი შეამოწმეს ნარკოლოგიურ კლინიკაში, მაგრამ მას არ დაუდგინდა ნარკოტიკების ზემოქმედება.** არადა, პოლიციელები აცხადებენ, რომ დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა მისი დაკავება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კახა ასათიანი არასოდეს ყოფილა ნარკოტიკების მომხმარებელი.

კახა ასათიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ჰყავს ობოლი დისშვილი და მოხუცი დედა. მოსამართლემ გაიზიარა ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ახლახან შევიტყვეთ, რომ პროკურატურა აპირებს, კახა ასათიანი ციხეში შეაბრუნოს. ჩვენ ვეცდებით, მისი უდანაშაულობა დავამტკიცოთ. აუცილებლად მივმართავ ევროკავშირის ელჩს, ამერიკის ელჩს და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ჩავაყენებ საქმის კურსში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია შეხვედრა შს მინისტრთან. **თუ იცის, რომ ეს ყველაფერი ხდება პოლიციაში და გაჩუმებულია, ძალიან ცუდი. და თუ არ იცის, რომ ასეთი დარღვევები ხდება, მაშინ ეს უკვე საბოტაჟია და ყველა შემთხვევაში უნდა დაიწყოს გამოძიება. მან ეს საქმე პირად კონტროლზე უნდა აიყვანოს.**

გარდა ამისა, აღვნიშნავ, რომ მას შემდეგ, რაც ადვოკატები გავაქტიურდით (შევეცადეთ, გაგვეხმაურებინა ფაქტი; მიგვემართა მინისტრისთვის; საჩივარი შევიტანეთ პროკურატურაში და ა. შ.), გლდანის მეორე განყოფილების პოლიციელები შეეცადნენ, პროვოკაციაზე წამოეგოთ კახა ასათიანი. სახლთან დარაჯობდნენ, მერე ერთ-ერთი (ტუხაშვილი) გადმოვიდა მანქანიდან, — შენ, ბიჭო, ისევ გარეთ ხარ, კიდევ არ დაგიჭირესო?! — ასეთი ტექსტით მიმართა კახას.

პოლიციელთა ასეთი ქმედებები გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოდ, რომ ეს ადამიანები კახა ასათიანის დაკავებით არიან დაინტერესებული. რატომ, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი მინისტრმა არ იცის და სწორედ ამიტომ ვცდილობთ მასთან შეხვედრას. თუ სიმართლის დამტკიცება ვერ შევძელით, მივმართავ ჩემს კოლეგებს, უფლებადამცველ გაერთიანებებს და მოვაწყობ აქციებს... სხვა გზა აღარ გვრჩება.

**— კახა ასათიანი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს; ამ რაიონის პოლიცია ადრე „აუღებელი ციხესიმაგრე“ იყო. დღესაც ასეა?**

— გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილების ქმედებები ძალიან კარგად ვიცი. ამ რაიონის პოლიციის თანამშრომლები პირადი წყენის საფუძველზე „აფუჭებდნენ“ ადამიანებს, წლების განმავლობაში ხდებოდა დანაშაულის დაბრალება, „წამალზე დასმა“, „წამლის ჩადება“. ამის გამკეთებლები დღესაც იქ მუშაობენ. რაც შეეხება „ნაცების“ პერიოდს“, სულ დავა მქონდა **ზაზა კვირკველიასთან,** გლდანი-ნაძალედევის ერთ-ერთ პროკურორთან, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, როგორ „უდებდნენ წამალს“ მისი თანამშრომლები კონკრეტულ პიროვნებებს. ეს ადამიანი დღემდე ამ რაიონის პროკურორია. აგრეთვე, დღესაც მაღალ თანამდებობაზეა გლდანის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების ყოფილი უფროსი **თემურ კალანდაძე,** რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სისასტიკითა და არაპროფესიონალიზმით. თემურ კალანდაძე „ნაცების“ პერიოდში ხმამაღლა ამბობდა, ვიდრე ეს მთავრობა იქნება, ხელს ვერავინ მახლებსო. დღეს კალანდაძე ახალციხეში მუშაობს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და კვლავაც გაიძახის, ხელს ვერავინ მახლებს ამ მთავრობის ხელშიო.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„კეთილი ინებონ, ცოტა მეტი იმუშაონ და დამნაშავე ისე დაიჭირონ... ის, რომ სიტუაციას ვერ მართავენ და რაღაცის „ჩადებით“ ცდილობენ ადამიანების მოშორებას, მათ წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს.“

«ოცნების» ორი წელიწადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლალი აფციაური:

# ყოვლად უღირსი საქციელია, როდესაც ადამიანს დანაშაულს ვერ უმტკიცებ და ამისთვის წამლის ან იარაღის «ჩადება» გჭირდება!



**პირველი, რაც „ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააკეთა, იყო ის, რომ გამოსცა ამნისტია და ციხეებიდან პატიმართა უდიდესი ნაწილი გამოუშვა. რამდენიმე თვეში კი „ნაციონალები“ ალაპარაკდნენ, — ქვეყანაში კრიმინალი გამძაფრდება და „აწყობილი ქვეყანა“ დაიქცევაო. მართლაც, მალე გავრცელდა ინფორმაცია გაუპატიურების, ძალადობის, ყაჩაღობისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, „დაუთოების“, ამ უკვე მივიწყებული მეთოდის, შესახებ.**

**რამდენიმე თვეა, ცნობილი შეიქნა, რომ ვიღაცას წამალი ჩაუდეს, ვიღაცას — იარაღი. ასეთ ფაქტებზე ხელისუფლების მხარდამჭერები ამბობენ, — საბოტაჟიაო, მაგრამ...**

**ახალი ხელისუფლების მიერ „ნაცების“ მავნე ჩვევების „ათვისებაზე“ ადვოკატი ლალი აფციაური გვესაუბრება.**

**— ქალბატონო ლალი, ბოლო ხანს გახშირდა „წამლის ჩადების“ ფაქტები, რომლებზეც თქვენი კოლეგები ბევრს საუბრობენ. წინა ხელისუფლებისგან აპრობირებული მავნე მეთოდებიდან, გარდა „წამლის ჩადებისა“, კიდევ რა გადმოიტანა ახალმა მთავრობამ?**

— „წამლის ჩადება“ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ადამიანების „გაფუჭების“ ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო. სამწუხაროდ, დღესაც ბევრია ასეთი ფაქტი.

მეც მაქვს ერთი ასეთი საქმე. ჩემი დასაცავი, რომლის ვინაობასაც ვერ დავასახელებ მისი ნებართვის გარეშე, საშინელ მდგომარეობაშია, ოღონდ **მას იარაღი „ჩაუდეს“. ჩემი კოლეგები უკვე აღარ მალავენ, რომ ასეთი ფაქტები გახშირდა, მაგრამ ვერ ვხვდები, ეს ქმედება ხელისუფლებისგან არის ნებადართული თუ საქმე საბოტაჟთან გვაქვს.** ყველამ ვიცით, რომ „ნაცებს“ ბევრი „კუდი“ ჰყავთ დატოვებული ძალოვან სტრუქტურებში, განსაკუთრებით — შინაგან საქმეთა სამინისტროში.

არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, რომელი ხელისუფლების დროს „ჩაუდებენ“ ადამიანს იარაღსა და ნარკოტიკს — „ნაცების“ თუ „ოცნების“, ასეთი ქმედებები უნდა აღიკვეთოს. დანაშაული დანაშაულია და, თუ რამეს არ იღონებენ ასეთი უმსგავსობის ამოსაძირკვად, მაშინ ისევე დაასრულებენ არსებობას, როგორც წინა ხელისუფლებამ დაასრულა. ერი ქუჩაში სწორედ უკანონობის წინააღმდეგ გამოვიდა, „ნაცებმაც“ ასე ნელ-ნელა დაიწყეს „ჩადებები“, შემდეგ გადავიდნენ მკვლელობებზე, ქუჩაში დახვრეტებზე, ბიზნესების წართმევაზე...

ახალ ხელისუფლებას ყველა იმედით შეჰყურებს, ადამიანებს სჯერათ, რომ სასიკეთო ცვლილებები მალე მოხდება, მაგრამ ძალიან ვწუხვარ, თუ ბოლო ხანს ასე გახმაურებული „წამლის ჩადების“ ფაქტები ხელისუფლებისგან ნებადართული და დაშვებულია.

სამწუხაროა, თუ ადამიანის დაჭერა უნდათ და სხვა მეთოდს ვერ პოულობენ, რადგან ასეთ შემთხვევაში სისუსტეს ამჟღავნებენ. **კეთილი ინებონ, ცოტა მეტი იმუშაონ და დამნაშავე ისე დაიჭირონ. ყოვლად უღირსი საქციელია, როდესაც ადამიანს დანაშაულს ვერ უმტკიცებ და ამისთვის წამლის ან იარაღის „ჩადება“ გჭირდება, ასეთი საქციელი დანაშაულია. ის, რომ სიტუაციას ვერ მართავენ და რაღაცის „ჩადებით“ ცდილობენ ადამიანების მოშორებას, მათ წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს.**

**— ქალბატონო ლალი, რას იტყვით მოსმენებზე? ამ საკითხზეც ბევრს საუბრობენ...**

— დადგნენ და მისმინონ, პრეტენზია არ მაქვს, უკეთესია, მისმინონ, ეგებ რაღაც გაიგონ... მაგრამ ყოვლად დაუშვებელია პირადული, ოჯახური, ანუ კონფიდენციალური საუბრების მოსმენა. არა მგონია და არც მინდა, ვიფიქრო, რომ ახალი ხელისუფლებაც ამ საქმით არის დაკავებული. არსებობს დანაშაულები, რომელთა გამოძიებისას მოსმენა აუცილებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაგვიძვრნენ საწოლში და მერე ეს შანტაჟისთვის გამოიყენონ.

თქვენი გაზეთი ბევრს წერდა იმის თაობაზე, რომ „ნაცების“ მმართველობის პერიოდში ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხები იხარჯებოდა მოსასმენი აპარატურის შეძენისთვის. მათ ყველაფერი თან წაიღეს და ახლა, ალბათ, ისე იყენებენ, როგორც სურთ. **ზუსტად ვიცი, რომ სისტემა დღესაც მუშაობს, ნებისმიერი ბრძანება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში იწერება, ავტომატურად გადადის „ნაცების“ ბაზაში, რადგან სტრუქტურა ასე ჰქონდათ აწყობილი. ეს ინფორმაცია მათი ჰაკერებისგან მაქვს, მათგან, ვინც ბოლოს გამოყარეს ან გამოექცნენ. არ გამოვრიცხავ, რომ „ოცნებაზე“ მეტად „ნაცები“ გვისმენდნენ.**

**— თქვით, „ნაცებს“ „კუდები“ ჰყავთ დატოვებული შინაგან საქმეთა სამინისტროში. როგორ შეაფასებთ ამ სამინისტროს მუშაობას, იქნებ ხელს აძლევთ იმ „კუდების“ არსებობა?**

— თუ „ნაცების“ „კუდები“ ვინმეს რამეში სჭირდება, კეთილი ინებონ და ის მაინც გააკეთონ, რომ ამ „ჩადებებს“ ბოლო მოუღონ, მაქსიმალურად შეზღუდონ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას, ვერ ვიტყვი, რომ კარგად ასრულებს საქმეს, რადგან ამაზე მეტი რაღა უნდა გააფუჭონ? აშკარაა, რომ არის, თანაც არცთუ იშვიათად ნარკოტიკისა და იარაღის „ჩადება“. სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს, მათი პირადაპირი მოვალეობაც სწორედ ეს არის — პურის გამოცხობას ხომ არ ვთხოვთ ან სიმფონიური მუსიკის მოსმენას?! ფაქტია, რომ კრიმინალური ფონიც გამძაფრებული და დაძაბულია. ვერ ვიტყვი, რომ კატასტროფული ვითარებაა, რადგან ამის უფლებას თავს ვერ მივცემ, მაშინ, როდესაც „ნაცების“ რეჟიმი გვაქვს გამოვლილი. მათ ციხეში 400 ათასი კაცი ჰყავდათ და, თუ კრიმინალი არ არსებობდა, ამდენი ადამიანი რისთვის ჰყავდათ გამომწყვდეული საპყრობილეში?

ცხრაწლიანი ნანგრევებისგან ჯერ მხოლოდ გასუფთავება თქვით, რა რთული საქმეა და შენებაზე მერე ვილაპარაკოთ. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი, ძალიან ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი.

იმედია, თითოეული ჩვენგანის ძალისხმევით ეს ქვეყანა დამშვიდდება. მინდა, წყნარ ქვეყანაში ვცხოვრობდე და ჩემი საქმე ვაკეთო, აღარ მინდა, პოლიტიკაში ვერეოდე. **ყოველი დილა სოციალურ ქსელში, რადიოსა თუ ტელევიზიაში რით იწყება? — მოკლეს, დაჭრეს, გააუპატიურეს, დააუთოეს... საშინელებაა, უკვე ამაზრზენია ამის მოსმენა. ქართველ ხალხს აქვს იმის უფლება, რომ მშვიდ და წყნარ გარემოში იცხოვროს, არადა, დღეს ამის საშუალება არ არის, უკვე ტვინი გაბურღეს.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ზუსტად ვიცი, რომ სისტემა დღესაც მუშაობს. ნებისმიერი ბრძანება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში იწერება, ავტომატურად გადადის «ნაცების» ბაზაში, რადგან სტრუქტურა ასე ჰქონდათ აწყობილი»**



**«არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომელი ხელისუფლების დროს «ჩაუდებენ» ადამიანს იარაღსა და ნარკოტიკს — «ნაცების» თუ «ოცნების», ასეთი ქმედებები უნდა აღიკვეთოს. დანაშაული დანაშაულია და, თუ რამეს არ იღონებენ ასეთი უმსგავსობის ამოსაძირკვად, მაშინ ისევე დაასრულებენ არსებობას, როგორც წინა ხელისუფლებამ დაასრულა. ერი ქუჩაში სწორედ უკანონობის წინააღმდეგ გამოვიდა, «ნაცებმაც» ასე ნელ-ნელა დაიწყეს «ჩადებები», შემდეგ გადავიდნენ მკვლელობებზე, ქუჩაში დახვრეტებზე, ბიზნესების წართმევაზე»...**

ამბავი

## აშშ-ის დროშაზე კიდევ ერთი ვარსკვლავი შეიძლება გაჩნდეს



**ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის დეპუტატებმა გამოაქვეყნეს რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდებენ, რომ აშშ-ში დამტკიცდეს ახალი, 51-ე შტატი — ფლორიდა ორ ნაწილად უნდა გაიყოს და შეიქმნას ახალი შტატი — სამხრეთი ფლორიდა.** ინიციატივის ავტორების აზრით, ფლორიდის სამხრეთ რაიონებს, რომლებიც ზღვის დონეზე დაბლაა, წყლით დაფარვის საფრთხე ემუქრება. ამ რეგიონის ცალკე შტატად გამოცხადება კი ვითარებას გამოასწორებს. რეზოლუციის მიღების შემთხვევაში, აშშ-ში გაჩნდება ახალი შტატი 23 ათასი კვ. მ ფართობითა (ფლორიდის ტერიტორიის 40%) და 13,4-მილიონიანი მოსახლეობით. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უახლოეს ასწლეულში მოსალოდნელია წყლის დონის აწევა 3-6 მეტრით, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ფლორიდის სამხრეთ რეგიონს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფლორიდა აშშ-ის უმდიდრესი შტატია, მისი მთავრობა ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. სამხრეთ ფლორიდის შტატის შექმნის შემდეგ კი, რომელშიც შევა ისეთი ქალაქები, როგორიცაა სენტ-პეტერსბერგი, ტამპა და ორლანდო თავისი სახელგანთქმული საბავშვო ცენტრით — დისნეილენდით, ეს რეგიონი პრობლემებს თვითონ გაუმკლავდება.

«ოცნების» ორი წელიწადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უთხრეს, შენ ამა და ამ ოჯახიდან გამოიტანე ნარკოტიკიო. იმ ოჯახში ონკოლოგიური ავადმყოფია, მაგრამ იქ ვერ ექნებოდათ ეს ნარკოტიკი, რადგან მსგავსი ნივთიერება ონკოავადმყოფებზე არ გაცემულა წალენჯიხაში“...

# SOS პოლიციის განყოფილებებში ხალხს ისევ აწამებენ, ცემენ და გაუპატიურებით ემუქრებიან!

## რა მოუყვა წალენჯიხის პოლიციის განყოფილებაში ნაწამები ლაშა კილასონიას ადვოკატმა «საქართველო და მსოფლიოს»

**გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა წარსულს ჩაბარდა, „მეოცნებეთა“ სატყუარა და მორიგი ყბადაღებული მითია. მართალია, დღეს ციხეებში „ნაცრეჟიმისდროინდელი“ ჯოჯოხეთი აღარ ტრიალებს, მაგრამ მსჯავრდებულთა წამების შემთხვევები არცთუ იშვიათია. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი წალენჯიხის პოლიციის სამმართველოს შენობაში მოხდა. როგორც დაზარალებული, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომელი ლაშა კილასონია ამბობს, დანაშაულის აღიარების მოთხოვნით მას ოთხი პოლიციელი ფიზიკურად გაუსწორდა, აღიარებით ჩვენებაზე უარის მიღების შემდეგ კი გაუპატიურებით დაემუქრნენ. მომხდარზე პროკურატურას საქმე უკვე აღძრული აქვს და გამოძიება მიმდინარეობს...**

**„საქართველო და მსოფლიო“ დაზარალებულის ადვოკატ ლაშა ხოშტარიას დაუკავშირდა.**



**— ბატონო ლაშა, კონკრეტულად რა ზემოქმედება მოახდინეს ლაშა კილასონიაზე? მან განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში შეურაცხყვეს.**

— მას ჩაუდეს მორფის ამპულები. მანამდე კი ჰყავდათ უმძიმესი სტრესის ქვეშ და აიძულებდნენ, ეღიარებინა დანაშაული. ეს ზემოქმედება იყო როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხყოფა. მოკლედ, გარანტია მიიღეს მისგან, რომ აღიარებით ჩვენებას მისცემდა...

**— იქნებ დააკონკრეტოთ, რა სახის ფიზიკური ძალადობა მოხდა — შიშველი ხელებით ცემეს თუ ელექტროშოკი ან სხვა საშუალება გამოიყენეს?**

— ელექტროშოკი არ გამოუყენებიათ, უბრალოდ, ცემეს სასტიკად. მას ოთხი კაცი ურტყამდა გამეტებით, თუმცა მაინც ვერ დაითანხმეს და მერე უკვე დაიწყეს სხვა მუქარა, — მხედველობაში მაქვს გაუპატიურების მცდელობა,— რომლის შემდეგ, რა თქმა უნდა, დათანხმდა ჩვენების მიცემას — ბოლოს კი გაიყვანეს და ნარკოტიკი ჩაუდეს.

**— პოლიციამ სააკაშვილისდროინდელი მეთოდი გამოიყენა?**

— დარწმუნებული ვარ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არც პირველია და არც უკანასკნელი, რომელსაც ასე დაემუქრნენ, მაგრამ ყველა მსჯავრდებული საჯაროდ არ ლაპარაკობს ამაზე. ისე, უნდა ითქვას, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, წინა ხელისუფლების პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია, თუმცა, ვიმეორებ, ცალკეული შემთხვევები მაინც არის.

**— თქვენ როდის შეიტყვეთ ეს ამბავი?**

— როგორც კი შევხვდი, მითხრა. შემდეგ დაწერა ეს ყველაფერი და მიმართა პროკურატურასაც და გენინსპექციასაც. მინისტრის მოადგილე რომ გამოვიდა, — დღემდე არ მოუმართავთო, უსინდისოდ იცრუა, რადგან ინციდენტიდან დაახლოებით ერთ კვირაში ოჯახმა განცხადებით მიმართა გენინსპექციას და დაიკითხნენ კიდეც დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციელები.

**— თქვენ როცა შეხვდით დაზარალებულს, აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები?**

— დიახ, მას ჰქონდა რამდენიმე ჩალურჯება და ეს შემდეგ იზოლატორმაც დაადასტურა, ანუ დაკავების ოქმში არის სპეციალური გრაფა, რომელშიც წერენ, დაკავებულ პიროვნებას ფიზიკური დაზიანება აღენიშნებოდა თუ არა. მასში მითითებული არაფერია, ესე იგი, იმ მომენტში მას დაზიანება არ ჰქონდა. ეს დაზიანებები ჩნდება მერე, როცა რამდენიმე საათით განყოფილებაში რჩება.

**«ელექტროშოკი არ გამოუყენებიათ, უბრალოდ, ცემეს სასტიკად. მას ოთხი კაცი ურტყამდა გამეტებით, თუმცა მაინც ვერ დაითანხმეს და მერე უკვე დაიწყეს სხვა მუქარა, — მხედველობაში მაქვს გაუპატიურების მცდელობა,— რომლის შემდეგ, რა თქმა უნდა, დათანხმდა ჩვენების მიცემას — ბოლოს კი გაიყვანეს და ნარკოტიკი ჩაუდეს»**

**— იმ პოლიციელების ვინაობა თუ იცით, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს?**

— თვითონ დაზარალებულს შეუძლია მათი ამოცნობა და ის ოთახიც ახსოვს, რომელშიც ფიზიკურად გაუსწორდნენ. მან დეტალურად აღიდგინა ყველაფერი... სხვათა შორის, იმ პოლიციელთაგანი ერთ-ერთი მოგვიანებით ქალაქში ნახა შემთხვევით... მომხდარზე ლაშა კილასონიამ მომაწოდა სრული ინფორმაცია, მაგრამ კონკრეტულ პიროვნებებს ახლა ვერ დავასახელებ. უბრალოდ, ჯერ არ მომხდარა ამოცნობა და არ მინდა, საზოგადოება შეცდომაში შევიყვანო..

**— თქვით, რომ დაზარალებულის ოჯახმა მიმართა შესაბამის უწყებას. რა რეაგირება მოჰყვა ამას?**

— ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი გაკეთებულა. როგორც ვიცი, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

**— ბოლო ხანს გახშირდა ნარკოტიკის ჩადების ფაქტები და ადვოკატები ხშირად სვამენ შეკითხვას — საიდან ჩნდება სამართალდამცავ სტრუქტურებში ამდენი არალეგალური ნარკოტიკი ან თუნდაც იარაღი? თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— მე მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე შემიძლია საუბარი. **ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უთხრეს, შენ ამა და ამ ოჯახიდან გამოიტანე ნარკოტიკიო. იმ ოჯახში ონკოლოგიური ავადმყოფია, მაგრამ იქ ვერ ექნებოდათ ეს ნარკოტიკი, რადგან მსგავსი ნივთიერება ონკოავადმყოფებზე არ გაცემულა წალენჯიხაში...**

**— სად უნდა ინახებოდეს ეს ნივთიერება კანონიერად?**

— მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებაში. დარწმუნებული ვარ, ეს ნარკოტიკი წალენჯიხის საავადმყოფოს ეკუთვნოდა. ჩვენ მოვითხოვეთ კიდეც საავადმყოფოს კონკრეტული თანამშრომლის დაკითხვა, რომელიც პასუხისმგებელია ნარკოტიკის შენახვაზე, მაგრამ მან არაფრისმომცემი ჩვენება მისცა... ამ მიმართულებით არ მუშაობს პროკურატურა, თორემ, რომ ჩაუღრმავდნენ, დარწმუნებული ვარ, სწორ კვალს მიაგნებენ.

**— თქვენი აზრით, რა ინტერესი ჰქონდათ სამართალდამცავებს, რატომ ჩაუდეს უდანაშაულო მოქალაქეს ნარკოტიკი?**

— არ ვიცი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ უდანაშაულო ადამიანი დაიჭირეს. სხვათა შორის, **ამ გეგმის შესასრულებლად გამოიყენეს დაზარალებულის ნაცნობი — კრიმინალური წარსულის მქონე ვიქტორ ბელქანიაა, რომელიც პოლიციას ჰყავდა გამოჭერილი.** სწორედ ბელქანიამ მიიყვანა ლაშა იმ ოჯახში, სადაც ონკოავადმყოფისთვის განკუთვნილი ნარკოტიკი ინახებოდა. მან შპრიცით გამოიტანა ეს ნარკოტიკი, მაგრამ საკმარისი არ იყო სისხლის სამართლიებრივი პასუხისმგებლობისთვის და ამიტომ ჩაუდეს დამატებით სამი ამპულა.

**— რას აპირებთ, თუკი პროკურატურა ამ საქმეზე შესაბამის რეაგირებას არ მოახდენს?**

— ვერანაირ გარანტიას ვერ მივცემ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, რა როგორ მოხდება. რაც შეეხება შეკითხვას, რა გზა რჩება, **თუ ეს საქმე სამართლიანად არ წარიმართა, კილასონიას ერთადერთი ისღა დარჩენია, დაიწყოს შიმშილობა საოლქო პროკურატურის წინ. მერე ვნახოთ, რა დასკვნებს გამოიტანს გამოძიება.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ადვოკატ ლაშა ხოშტარიასთან საუბრის შემდეგ კომენტარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირება ვცადეთ, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ზარს არც უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნინო გიორგობიანმა უპასუხა და არც სამორიგეო სამსახურმა.**

## საფრანგეთის პრეზიდენტი აღფრთოვანებულია სექსშოფის ნაძვის ხით

საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი მატროსოვივით მკერდით გადაეფარა მხატვარ პოლ მაკარტის ქმნილებას — გასაბერ ნაძვის ხეს. **24 მ სიმაღლის რეზინის „შედევრს“, რომელიც პარიზში, ვანდომის მოედანზე დადგეს, თავს დაესხა ჯგუფი პარიზელებისა, რომლებმაც ის სექსსათამაშოს მიამსგავსეს. თვითონ მაკარტი თავისი აღმაფრენის წყაროს „ანალურ გუთანს“ უწოდებს.** „საფრანგეთი ყოველთვის იყო ხელოვანთა მხარეს — ისევე, როგორც მე ვარ პოლ მაკარტის მხარეს, რომელიც აღფრთოვანებულია თავისი შედევრით, მიუხედავად ბრბოს თვალსაზრისისა სკულპტურაზე. საფრანგეთს მზის დაბნელება ელის, თუკი უარს იტყვის თვითმყოფადობაზე, თუკი შეეშინდება მომავლის, ღია იყოს დანარჩენი მსოფლიოსთვის“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა. სექსშოფის საქონლის გადიდებული ასლის ავტორი კი გაბუტულია: მან უარი განაცხადა ხულიგნების მიერ დაზიანებული სკულპტურის ტუმბოთი გაბერვაზე. თუკი მაკარტი თავის მრისხანებას მოწყალებად შეცვლის, მწვანე კოშმარი კვლავ აღიმართება არა მხოლოდ გამვლელების, არამედ საფრანგეთის საუკეთესო იუველირების თვალწინ — სწორედ ვანდომის მოედანზეა განლაგებული ძვირფასეულობის ყველაზე პრესტიჟული მაღაზიები.



ახალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იქ შესვლა მარტივად შეექლოთ იმიტომ, რომ გზა თავისუფალი იყო, თბილისზე წასვლა უზრუნველყოფილი გახლდათ. ამის გაკეთება რამდენიმე საათში შეიძლებოდა, ასეთი ამოცანა რომ მდგარიყო, მაგრამ ასეთი ამოცანა არ ყოფილა“.**

### ევგენი პრიმაკოვი:

# ზუსტად ვიცი, რომ იყო განკარგულება, არავითარ შემთხვევაში არ დაეწყოთ შეტევა თბილისზე!

**პოპულარულმა ინტერნეტგამოცემა DELFI-მ (ავრცელებს ინფორმაციას ესტონურ, ლიტვურ, ლატვიურ, პოლონურ და რუსულ ენებზე) ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრსა და ყოფილ პრემიერმინისტრს, ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვს, რომელიც მოგვითხრობს, როგორ გაუშვა ხელიდან აფხაზებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების შანსი საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა მასთან პირისპირ შესახვედრად თბილისში აფხაზთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა ჩაიყვანა. ევგენი პრიმაკოვი, რომელმაც ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები (დაიბადა 1929 წელს კიევში) თბილისში გაატარა, ინტერვიუში საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებთან ერთად 2008 წლის აგვისტოს ომსა და ბიძინა ივანიშვილთან ერთადერთ შეხვედრაზეც ლაპარაკობს. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან.**

**— როგორ შეაფასებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას? მასში დიდ როლს თამაშობს 1990-იან წლებში დაწყებული კონფლიქტები.**

— მოგითხრობთ რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც ვითარების გაგებაში დაგეხმარებათ. მე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი და სოჭში შვებულებას ვატარებდი, როდესაც ვლადისლავ არძინბამ დამირეკა. გამიკვირდა, ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით — თავის დროზე, როცა მე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი, ის თანამშრომელი იყო — თუმცა მასთან არცთუ კარგი ურთიერთობა მქონდა. მოგიყვებით, რატომაც. როდესაც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტიდან გადავედი, დავიწყე ამ ინსტიტუტის წესების გადატანაც. ერთ-ერთი წესის თანახმად, ადამიანი, რომელსაც დაცული არ ჰქონდა დისერტაცია, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ უნდა წასულიყო და ინსტიტუტში საერთო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ დაეწყო მუშაობა. ეს წესი შეეხო არძინბას მეუღლეს — სვეტლანა ჯერგენიას. დაიწყო ზარები სოხუმიდან — მთხოვდნენ, არძინბას მეუღლე მეცნიერ-თანამშრომლად მიმეღო. უარი განვაცხადე. ამას იმიტომ გიყვებით, რომ აგიხსნათ, — ვლადისლავ არძინბასთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა. როდესაც დამირეკა, მივხვდი, ეს ექსტრაორდინალური შემთხვევა იყო. შეხვედრა მთხოვა. მე, რა თქმა უნდა, უარი არ ვუთხარი. ხანგრძლივი და რთული საუბარი გაიმართა. **არძინბამ უარი განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე. კომპრომისის ძიებისას შევთავაზე ასეთი ვარიანტი — „აფხაზეთის თანხმობა, იცხოვროს საქართველოსთან საერთო სახელმწიფოში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“.** ჩვენ დიდხანს და ცხარედ ვკამათობდით. მოგვიანებით ჩემმა ცოლმა მითხრა, შენგან ასეთი ყვირილი არასდროს მომისმენიაო.

დიდი ძალისხმევის შედეგად შევძელი არძინბას დარწმუნება, რომ ჩემი ფორმულირება მიეღო. ეს იყო კოლოსალური ნაბიჯი. მივხვდი, — არძინბა თბილისში უნდა წამეყვანა. იმხანად 7 წელი სრულდებოდა, რაც მასზე საქართველოს ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. მე შევძელი ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრის ორგანიზება. თბილისის აეროპორტში ჩვენს დასახვედრად მოსულებმა გაკვირვება ვერ დამალეს, როდესაც დაინახეს, როგორ ჩამოვდიოდით მე და არძინბა ტრაპიდან. სხვათა შორის, დამხვედრთა შორის იყო ზურაბ ჟვანიაც. არძინბა შევარდნაძესთან პირისპირ დავტოვე. მათ მრავალსაათიანი უმძიმესი საუბარი ჰქონდათ.

**იმხანად ნათელი იყო, რომ ახალი ფორმულა უნდა გამხდარიყო ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც ყველა დანარჩენი დოკუმენტი დაემორჩილებოდა, მაგრამ ის შევარდნაძემ არ მიიღო და წინადადება წამოაყენა ტერმინი „საერთო სახელმწიფო“ შეეცვალათ „ერთიანი სახელმწიფო“-თი — არძინბა, რა თქმა უნდა, არ დათანხმდა. ეს იყო ჩავარდნა. კონფლიქტის თავიდან აცილების კოლოსალური შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული. შემდეგ იყო ვახშამი. სუფრასთან ყველა ერთმანეთის ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამდა. ასე დასრულდა საკითხის მოგვარების მცდელობა. ეს იმიტომ მოგიყევით, რომ მეჩვენებინა, — მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობდა.**

**— ახლა თუ არის კონფლიქტის მოგვარების შანსი?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, **არა მგონია, რომ ახლა აფხაზეთმა უარი თქვას სუვერენიტეტზე. მომართული პროცესის შეჩერება რთულია.**

თუმცა არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მთავარი დაბრკოლებაა.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის გაყინული კონფლიქტი რაღაც დროის გასვლის შემდეგ კვლავ გალხვება?**

— საეჭვოა. არ მჯერა, ქართულ-აფხაზური ომის შესაძლებლობის, თუმცა ცალკეული აქციები შეიძლება ორივე მხრიდან იყოს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ეკონომიკაზე, თუკი საქართველოსა და აფხაზეთს შორის განვითარდა ეკონომიკური ურთიერთობები, შემსუბუქდება ვითარება და ურთიერთდამოკიდებულების ფორმები.

**— თბილისმა, საეჭვოა, მოლაპარაკებები დაიწყოს სოხუმთან სახელმწიფო მეთაურების დონეზე, თუნდაც იმიტომ, რომ არ აღიარებს მას. როგორ უნდა დაიწყოს დიალოგი იმ პირობებში, როდესაც პოზიციები პრინციპულად განსხვავებულია?**

— ომის დროს უნდა შეთანხმებულიყვნენ. ომი კრიტიკულ ფორმაშიც კი მოლაპარაკებებით მთავრდება. ახლა, მადლობა ღმერთს, ომი არ მიმდინარეობს. ვფიქრობ, არ არსებობს ისეთი წინაღობები, რომლებსაც შეუძლია აბსოლუტურად გამორიცხოს მოლაპარაკების შესაძლებლობა.

**— ვისთან უნდა ჩაერთოს თბილისი დიალოგში — მოსკოვთან თუ სოხუმთან?**

— სოხუმთან. ერთმნიშვნელოვნად. თუ ფიქრობთ, რომ რუსეთი ამჟამად ყველაფერს ხელმძღვანელობს აფხაზეთში, ცდებით. იქ მიმდინარე ზოგიერთი პროცესი რუსეთის კონტროლს არ ექვემდებარება. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლოს ვართ, ვეხმარებით, მაგრამ აფხაზეთი მაინც სახელმწიფო წარმონაქმნია და არა — რუსეთის კოლონია.

**— 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში მოსკოვი ამბობდა, რომ იცავდა თავის სამშვიდობო ძალებს, მაგრამ რუსული სამხედრო შენაერთები გავიდნენ სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან და თითქმის თბილისამდე მიაღწიეს. იყო კი ამის აუცილებლობა?**

— ომს თავისი კანონები აქვს, როდესაც მიმდინარეობს სამხედრო მოქმედებები, საკითხები ხშირად ადგილზე წყდება. ასეთი რამ ისტორიაში იმდენია, რამდენიც გნებავთ, განსაკუთრებით — იმ პერიოდში, როდესაც არ იყო ტელეგრაფი და მობილური ტელეფონები: ერთი მხრივ — მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მეორე მხრივ — მოქმედებენ სამხედროები. ვფიქრობ, 2008 წელს თბილისამდე სამხედროების მოსვლა რაღაც ეიფორიით იყო გამოწვეული. მე, მაგალითად, **ვიცი, რომ იყო განკარგულება, არავითარ შემთხვევაში არ დაეწყოთ შეტევა თბილისზე. იქ შესვლა კი მარტივად შეექლოთ იმიტომ, რომ გზა თავისუფალი იყო, თბილისზე წასვლა უზრუნველყოფილი გახლდათ. ამის გაკეთება რამდენიმე საათში შეიძლებოდა, ასეთი ამოცანა რომ მდგარიყო, მაგრამ ასეთი ამოცანა არ ყოფილა.**

**— ზოგი რუსი ანალიტიკოსის განცხადებებს თბილისში ნეგატიურად აღიქვამენ. როგორ შეაფასებთ, მაგალითად, დუგინის გამოხდომებს, რომელსაც არაერთხელ გამოუთქვამს მწვავე აზრი საქართველოს შესახებ?**

— ჩვენ კიდევ გვყავს ჟირინოვსკიც *(იცინის)*. განდგომილებსა და ნახევრად შეშლილებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მათ თვითონ ჩვენ არ ვუსმენთ. მათ ტელევიზიებში შოუს გასაცოცხლებლად იწვევენ, მეტი არაფრისთვის. დამნაშავენი არიან ჟურნალისტები, ჩემი და თქვენი კოლეგები, რომლებიც ასეთებს ეთერს უთმობენ.

**— ბიძინა ივანიშვილს თუ იცნობთ? თბილისში ბევრს მიაჩნია, რომ ქართველი ოლიგარქი რუსეთში თავისი აქტივების სწრაფად გაყიდვას მოსკოვის დაუხმარებლად ვერ შეძლებდა.**

— არ ვიცი, მას ვინ ეხმარებოდა. იმხანად სავაჭრო-სამრეწველო პალატას ვხელმძღვანელობდი, ეს დაწესებულება კი ასეთ საქმეებში არ მონაწილეობს. **ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ ერთხელ შევხვდი. მე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ის კი ამ სამინისტროს გვერდით აშენებდა შენობას, რომელსაც მიწისქვეშა გარაჟი ჰქონდა. ჩვენ მოვილაპარაკეთ, ვის უნდა რგებოდა გარაჟი. ის მეტჯერ აღარ მინახავს.**

**— თქვენი აზრით, რატომ მოვიდა ის პოლიტიკაში?**

— მტკიცედ შემიძლია განვაცხადო, რომ ის რუსეთს არ მოუყვანია, ზუსტად ასეა. ეს შიგა ქართული საკითხებია.

**— და რატომ წავიდა პოლიტიკიდან?**

— ჩემი აზრით, ის პოლიტიკიდან არ წასულა!

ესაუბრა
**იანა ისრაელიანი**
**DELFI**



**«კომპრომისის ძიებისას შევთავაზე ასეთი ვარიანტი — «აფხაზეთის თანხმობა, იცხოვროს საქართველოსთან საერთო სახელმწიფოში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში 1991 წლის 1 იანვრის მდგომარეობით»**

ფაქტი

## რუსეთი თავდაცვის ხარჯებს მესამედით ზრდის

**სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის წევრის — ვიქტორ ზავარზინის განცხადებით, 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს რუსეთის თავდაცვის ხარჯები მესამედით გაიზრდება, რადგან რუსეთს ესაჭიროება თანამედროვე ბრძოლისუნარიანი შეიარაღება.** დეპუტატმა განმარტა, რომ 2015 წლის ბიუჯეტის მუხლში „ეროვნული თავდაცვა“ გათვალისწინებულია 3,28 ტრილიონი რუბლის (დღევანდელი კურსით 78 მილიარდი დოლარი) ხარჯები, რომელიც 2014 წლის მაჩვენებელს 812 მილიარდი რუბლით, ანუ 32,8%-ით აღემატება. 2013 წლის შედეგების მიხედვით, რუსეთმა თავდაცვის ხარჯებით ბრიტანეთსა და იაპონიას გაუსწრო და მესამე ადგილზე გავიდა. როგორც პრეზიდენტი პუტინი აცხადებს, დამატებითი სამხედრო ხარჯების მიზანი არა მილიტარიზაცია, არამედ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის დამატებითი იმპულსის მიცემაა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„...როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებებისკენ. ყოველ წელს მოვა ახალი თაობა, ისინი აიტაცებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ჩვენ საკადრისს მოგვაგებენ, თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე დააფუძნებენ“.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და ბეჭდვითი სიტყვა

**1930-იან წლებში სტალინის მიერ განებივრებული „სულის ინჟინრები“ აღაშფოთა სტალინისვე ბრძანებამ მწერლების ჰონორარების შემცირების თაობაზე. მათაც არ დააყოვნეს, შეადგინეს წერილი და გაუგზავნეს მთავრობას. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, 1937 წლის 13 მაისს კრემლში სტალინთან მიიწვიეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ალექსანდრე ფადაევი და მწერლები: ბორის გორბატოვი და კონსტანტინე სიმონოვი.**

სხვა დროს მომღიმარი და თბილი მასპინძელი სტალინი სტუმრებს მოღუშული შეხვდა და მაგიდასთან დასხდომა შესთავაზა. ბელადი დუმდა. მის გვერდით მოლოტოვი და ჟდანოვი ისხდნენ. სტალინმა საქაღალდე გახსნა და ფურცელი ამოიღო.

— საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, — ხმამაღლა წაიკითხა და ჩუმად რაღაც დაუმატა, რაც სტუმრებმა ვერ გაიგონეს, — მივიღე თქვენი წერილი, მოდით, ვილაპარაკოთ. თქვენ ითხოვთ, რომ განვიხილოთ ჰონორარების საკითხი, ჩვენ იგი განვიხილეთ და გადავწყვიტეთ.

— და გადაწყვიტეთ არასწორად, — შეეპასუხა ფადაევი, — მწერლები ასრულებენ უზარმაზარ სამუშაოს, მათი შრომის ანაზღაურება კი მინიმალურია. ფადაევმა უამრავი შემთხვევა დაასახელა იმ მწერლების გმირული შრომისა, რომლებმაც შექმნეს ლიტერატურული შედევრები.

სტალინი გულისყურით უსმენდა მწერალს და, როდესაც ლაპარაკი დაასრულა, უთხრა:

— ჩვენ დადებითად ვუყურებთ საკითხის გადახედვას. როდესაც ამ საკითხს ვიხილავდით, გვინდოდა, თავიდან აგვეცილებია ის მოვლენა, რომ მწერალი დაწერს ერთ კარგ წიგნს და თავს ანებებს მუშაობას. ერთი კარგი წიგნის დაწერით მან აიშენა კარგი სახლი, შეიძინა ავტომობილი და ცხოვრობს უზრუნველად. ჩვენ ფული არ გვენანება მწერლებისთვის, ამხანაგო ფადაევ, ჩვენ გვენანება ჩვენი ნიჭიერი მწერლები, რომლებიც ძალიან ადრე ეთიშებიან მწერლურ მოღვაწეობას. ვფიქრობ, შევქმნათ კატეგორიები: პირველი კატეგორია — საუკეთესო ნაწარმოებებისთვის, მეორე — კარგი ნაწარმოებებისთვის და ასევე იყოს მესამე და მეოთხე კატეგორია. რას იტყვით ამის თაობაზე?

მწერლებმა უთხრეს, რომ ეს ძალიან კარგი იქნება.

— კეთილი. ეს საკითხი არ გადაწყდება წერილითა და დადგენილებით. გთავაზობთ, შევქმნათ კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე. შეხვდება მწერლებსა და შემოქმედებით კოლექტივებს და ჩამოაყალიბებს საერთო აზრს, რომელსაც, ალბათ, შემდგომ მუშაობაში გავითვალისწინებთ. ამხანაგო ჟდანოვ, როგორია თქვენი წინადადება კომისიის შექმნის თაობაზე?

— მეც შევალ ამ კომისიის შემადგენლობაში, ამხანაგო სტალინ.

— ძალიან მოკრძალებული წინადადებაა თქვენი მხრიდან, — სიცილით უპასუხა სტალინმა, რასაც საერთო მხიარულება მოჰყვა. — ჟდანოვის გარდა, კომისიაში უნდა ჩავრთოთ მწერლები, რომლებიც აქ იმყოფებიან.

— ზვერევი, ამხანაგო სტალინ, როგორც ფინანსთა მინისტრი, — წამოიძახა ფადაევმა.

— ზვერევი სერიოზული ამხანაგია და, თუ თქვენი სურვილიც არის, ისიც ჩავრთოდ კომისიაში. და იცით, კიდევ ვინ ჩავრთოთ? — მეხლისი, — და გამომცდელად შეხედა მწერლებს, — ის ყველას გაგყრით კომისიიდან.

სტალინის ამ ფრაზას სიცილი მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ კომისიის მუშაობაში ყველაზე აქტიურად მეხლისი მონაწილეობდა, ის ყველაზე თავგამოდებული დამცველი იყო მწერლების ინტერესებისა.

— ბოლოსდაბოლოს, როგორ ჩამოყალიბდა კომისია? — მიმართა ჟდანოვს სტალინმა. ჟდანოვმა ჩაიკითხა კომისიის შემადგენლობა, რომელიც სტალინმა მოიწონა და დაამტკიცა.

— თქვენს წერილში მეორე საკითხად არის შეტანილი შტატების საკითხი, — შენიშნა ჟდანოვმა, — არადა, მწერალთა კავშირში შტატები ისედაც გაბერილია — დღეს იქ, 70 კაცის ნაცვლად, 122 კაცი მუშაობს.

— მათ ახლა დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი, ამიტომ შტატები უნდა გავუზარდოთ, — განაცხადა სტალინმა.

— როგორც უნდა იყოს, მწერალთა კავშირს უნდა შეუმცირდეს საშტატო ერთეულები, — გაჯიუტდა ჟდანოვი.

— მწერალთა კავშირს უნდა გავუზარდოთ შტატები. გვაქვს დარგები, რომლებშიც ბევრია საშტატო ერთეული და არის დარგები, რომელთაც აკლიათ. მწერალთა კავშირს შტატები უნდა გავუზარდოთ.

ამით სტალინმა საბოლოოდ დაასრულა მეორე საკითხზე საუბარი.

მესამე საკითხი მწერალთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას შეეხებოდა. ფადაევმა ფართოდ მიმოიხილა მდგომარეობა და სტალინს სრული წარმოდგენა შეუქმნა მწერალთა ყოფა-ცხოვრებაზე. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ბელადმა ბრძანა, კომისიის შემადგენლობაში ჩაერთოდ „მოსსოვეტის“ თავმჯდომარე და მასთან ერთად განეხილათ ეს საკითხიც.

— მგონი, საკითხები ამოვწურეთ, არა? — მიმართა მწერლებს სტალინმა. ფადაევი ძალზე უკმაყოფილო იყო, რომ ასე სწრაფად დასრულდა საკითხების განხილვა და სტალინთან ყოფნის დროც.

თუ თქვენ მეტი არაფერი გინდათ ჩვენგან, მე მაქვს ერთი შეკითხვა:

— რა თემებს ამუშავებთ და რით არის დაკავებული ამჟამად ჩვენი მწერლობა?

ფადაევმა განაცხადა, რომ საბჭოთა მწერლობაში, ძირითადად, დომინირებს ომის თემა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პროპაგანდა, აგრეთვე, მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხები, თუმცა შემოქმედებით მივლინებაში მხოლოდ საშუალო რანგის მწერლები დადიან.



**სტალინმა იცოდა, როგორ უნდა აეშენებინა სრულიად ახალი სახელმწიფო. ის ამ სახელმწიფოს არა მხოლოდ არქიტექტორი, არამედ უპირველესი კონსტრუქტორი და კირითხუროც გახლდათ, რომელიც საძირკველში დებდა იდეურ ლოდებს, რომლებზეც აშენებული კედლები შეიძლება დანგრეულიყო, მაგრამ მის ჩაყრილ საძირკველს მომავალი თაობები გამოიყენებდნენ**

— რატომ არ დადიან დიდი მწერლები შემოქმედებით მივლინებაში?

— ძნელია მათი ადგილიდან დაძვრ, — უპასუხა ფადაევმა.

— წასვლა არ უნდათ? თქვენ როგორ ფიქრობთ, საჭირო არის კი ასეთი მივლინება? — შეეკითხა სტალინი.

— საჭირო როგორ არ არის, პირველ ხუთწლედში მარიეტა შაგინიანის მივლინებამ „ჰიდროცენტრალში“ და ვალენტინ კატაევის მივლინებებმა მეტად საჭირო წიგნები მოგვცეს.

— ტოლსტოი არ დადის მივლინებებში? — იკითხა სტალინმა.

— ტოლსტოი სწორედ იმ ხალხზე წერს და მუშაობს, რომელთა შორისაც ცხოვრობს, — უპასუხა მწერალმა.

— მიმაჩნია, რომ სერიოზული მწერალი, როდესაც ის სერიოზულად მუშაობს ნაწარმოებზე, თვითონ ჩათვლის საჭიროდ მივლინებაში წასვლას. როგორ, შოლოხოვი არ დადის მივლინებაში? — წყნარად და გამომცდელად იკითხა სტალინმა.

— ის სულ მივლინებაშია, — უპასუხეს სტალინს.

—და არ სურს, იქიდან წამოვიდეს? — იკითხა სტალინმა.

— არა, არ სურს ქალაქში ჩამოსვლა, – იყო პასუხი.

— რატომ, ქალაქის ეშინია? — შეეკითხა სტალინი.

მცირე დუმილის შემდეგ ფადაევმა გადაწყვიტა, უფრო დაეკონკრეტებინა, რატომ არ დადიოდნენ მივლინებაში დიდი მწერლები და მაგალითისთვის კატაევი მოიყვანა:

— კატაევი მუშაობს ახალ რომანზე, რომელიც იქნება გაგრძელება ნაწარმოებისა „ახლად ფრიალებს აფრა ეული“ და დაკავშირებული იქნება ოდესასთან, მის ძირითად თემასთან.

— ესე იგი, ის სერიოზულ თემაზე მუშაობს, არა?

— ძალიან სერიოზულზე, — უპასუხეს.

კვლავ დუმილი.

— **არის ასეთი თემა,** — **განაგრძო სტალინმა,** — **რომელიც ძალიან საჭირო და აუცილებელია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს საბჭოთა მწერლობა. ეს არის პატრიოტიზმის თემა. ჩვენში, განსაკუთრებით — ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა პატრიოტული გრძნობები, თითქოს ჩვენ თავს ვუხრით საზღვარგარეთულ კულტურას, თითქოს ჩვენ არასრულფასოვნები ვართ და აუცილებლად თავი უნდა დავხაროთ უცხოეთის წინაშე. ჩამორჩენილობის ეს განცდა რუს ხალხს პეტრე პირველის პერიოდიდან მოჰყვება.**

პეტრეს კარგი აზრები ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის ემორჩილებოდა გერმანულ აზროვნებას, სწორედ ეს იყო გერმანელების წინაშე ქედის მოხრის პერიოდი. შეხედეთ, როგორ მძიმედ სუნთქავდა და როგორ მძიმე პირობებში მუშაობდა, მაგალითად, ლომონოსოვი.

ჩვეულებრივი გლეხი არასოდეს დაიჩოქებს უცხოელის წინაშე და არც ქედს მოიხრის, ხოლო ინტელიგენციას, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის პატრიოტიზმი და იმის გაგება, რა როლს თამაშობს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო არენაზე და რა ადგილი უკავია მსოფლიოში. სამხედროებშიც იყო ასეთი ქედის მოხრა, მაგრამ ახლა გაცილებით ნაკლებია. ვისაც თავს უხრიდნენ, ისინი კუდამოძუებულები გაუშვეს. რით ვართ ჩვენ ვინმეზე ნაკლები?.. ზოგჯერ ასეც ხდება: კაცი აკეთებს უდიდეს საქმეს და თვითონ არ იცის, რას აკეთებს. ასეთი კაცი ქედს იხრის ვიღაც არამზადა უცხოელის წინაშე, რომელიც სამი თავით დაბლა დგას მასზე. უნდა ვებრძოლოთ ასეთ მავნე ჩვევას — სულიერ თვითგანადგურებას ჩვენს ბევრ ინტელიგენტში.

სტალინმა განმარტა, საიდან უნდა დაწყებულიყო ამ მავნე ჩვევის წინააღმდეგ ბრძოლა:

— უნდა მოვსპოთ თვითგანადგურების სურვილი, ამ თემაზე უნდა დაიწეროს ნაწარმოებები... ეს საჩქარო თემაა დრამატურგებისთვის, ასეთ ადამიანებს უნდა დავუპირისპიროთ საღი და ჯანმრთელი ადამიანები.

— ყოფა ახალია, შეგნება კი — ძველი, — წარმოთქვა ჟდანოვმა.

— შეგნება, — ჩაიცინა სტალინმა, — ყოველთვის ჩამორჩება, ის ძალიან გვიან მოდის.

სტალინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, იმ ძირითად თემებს, რომლებზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს მწერლობამ.

— ჩვენ ვფიქრობთ, — თქვა სტალინმა, — მწერალთა კავშირმა უნდა გამოუშვას სულ სხვა სახის გაზეთი — „ლიტერატურული გაზეთი“, ვიდრე მას ვუშვებდით დღემდე. **მწერალთა კავშირმა თავისი ძალებით უნდა შეძლოს გამოშვება გაზეთისა, რომელიც გაბედულად და რეალურად აღწერს საერთაშორისო ცხოვრებას და ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებას, მიუკერძოებლად, მკაცრად, რასაც ვერ აკეთებს დღეს არსებული ვერც ერთი გაზეთი. ჩვენი გაზეთები, ასე თუ ისე, მაინც ოფიციალური გაზეთებია, „ლიტერატურული გაზეთი“ კი მწერლების გაზეთია, რომელშიც შეგიძლიათ, წამოჭრათ ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენ ან არ გვინდა ან არ შეგვიძლია, დავაყენოთ ოფიციალურად.**

„ლიტერატურული გაზეთი“, როგორც არაოფიციალური გაზეთი, უნდა გამოირჩეოდეს საკითხის უმწვავესად დაყენებაში. ჩვენ შეიძლება, მკაცრად ვიმსჯელოთ თქვენ მიერ წამოწეული საკითხების არასახელმწიფოებრიობის გამო, მაგრამ ამის ნუ შეგეშინდებათ. თქვენ საქმიანი კრიტიკა უნდა განაგრძოთ.

უნდა გაგვიგოთ, რომ ყოველთვის არ შეგვიძლია გამოვთქვათ თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ თქვენ ასეთი საკითხი მთელი სიმწვავით უნდა დააყენოთ. ასეთი რამ პოლიტიკაში დასაშვებია. **თქვენ თავისუფლად უნდა წეროთ ყოველგვარი** ▶

# სტალინმა, როგორც ხუთწლიანი გეგმები დაუსახა საბჭოთა ხალხს პრიორიტეტად და პასუხისმგებლობა დააკისრა ყველა საბჭოთა მოქალაქეს, უშიშრად გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი ქვეყნის აღმშენებლობაზე, ასევე შემოიღო ქვეყნაში კრიტიკა, თვითკრიტიკა და მოსახლეობაც ჩააბა ამ გამაჯანსაღებელ პროცესში.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ შეთანხმებისა და კონსულტაციის გარეშე. საერთაშორისო საკითხებში არ უნდა შეუთანხმდეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, მათ თქვენი გაზეთი, არც კი უნდა წაიკითხონ. საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი საქმე აქვს, თქვენ კი თქვენი აკეთეთ.**

— ამხანაგო ფადაევ, რამდენია თქვენი გაზეთის ტირაჟი ამჟამად?

— ორმოცდაათი ათასი, ამხანაგო სტალინ.

— უნდა გავხადოთ იგი ათჯერ უფრო მეტი. რამდენჯერ გამოდიხართ თვეში?

— თვეში — ოთხჯერ, კვირაში — ერთხელ, — იყო პასუხი.

— ახალი „ლიტერატურული გაზეთი“ კვირაში ერთჯერ კი არა, ორჯერ უნდა გამოუშვათ, ესე იგი თვეში — რვაჯერ. ამას უნდა კითხულობდეს ათჯერ უფრო მეტი მკითხველი. როგორ ფიქრობთ, შეძლებს კი ასეთი გაზეთის გამოშვებას მწერალთა კავშირი?

— როგორმე შევძლებთ, — უპასუხეს მწერლებმა.

— როდის დაიწყებთ გაზეთის გამოშვებას?

— ასეთი დიდი საქმის დაწყებას გარკვეული დრო სჭირდება. ალბათ, რამდენიმე თვე დაგვჭირდება და ვეცდებით, გაზეთი პირველი სექტემბრისთვის გამოვუშვათ, — დაჰპირდა ფადაევი.

— სწორია, მომზადება, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ გაჭიანურებაც არ ვარგა. მომზადების პერიოდში თუ რამე დაგჭირდებათ, მოგვმართეთ და აუცილებლად დაგეხმარებით. იქნებ ერთად დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ, რომ თქვენ გქონდეთ დამოუკიდებელი სატელეგრაფო სააგენტო დამოუკიდებელი, არაოფიციალური ინფორმაციის მისაღებად.

სტალინმა, როგორც ხუთწლიანი გეგმები დაუსახა საბჭოთა ხალხს პრიორიტეტად და პასუხისმგებლობა დააკისრა ყველა საბჭოთა მოქალაქეს, უშიშრად გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი ქვეყნის აღმშენებლობაზე, ასევე შემოიღო ქვეყნაში კრიტიკა, თვითკრიტიკა და მოსახლეობაც ჩააბა ამ გამაჯანსაღებელ პროცესში.

მწერალი მაქსიმ გორკი პრინციპულად არ ეთანხმებოდა სტალინის მიერ პრესისთვის სრული თავისუფლების მიცემას, ემხილებინა ქვეყანაში არსებული ნაკლოვანებები, რადგან ეს, მისი აზრით, მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ საკითხზე სტალინი რამდენჯერმე ესაუბრა გორკის, მაგრამ მწერალმა მაინც გადაწყვიტა, ოფიციალური წერილით მიემართა სტალინისთვის. მაქსიმ გორკის სტალინმა წერილითვე უპასუხა და გამოაქვეყნა კიდეც გაზეთ „პრავდაში“.

აი, ეს წერილი მცირე შემოკლებით:

„ძვირფასო ალექსი მაქსიმეს ძევ!

დიდ ბოდიშს ვიხდი და გთხოვთ, ნუ გამლანძღავთ დაგვიანებული (მეტად დაგვიანებული!) პასუხისთვის. საშინლად ვარ დატვირთული. გარდა ამისა, ცოტა ავადაც ვიყავი. ეს, რა თქმა უნდა, ვერ გამამართლებს, მაგრამ ზოგიერთ რამეს ახსნის.

უკრიტიკოდ არ შეგვიძლია. არასგზით არ შეგვიშლია, ალექსი მაქსიმეს ძევ. უიმისოდ გარდაუვალია უძრაობა,


სტალინი და მაქსიმ გორკი




**«ჩვეულებრივი გლეხი არასოდეს დაიჩოქებს უცხოელის წინაშე და არც ქედს მოიხრის, ხოლო ინტელიგენციას, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის პატრიოტიზმი და იმის გაგება, რა როლს თამაშობს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო არენაზე და რა ადგილი უკავია მსოფლიოში. სამხედროებშიც იყო ასეთი ქედის მოხრა, მაგრამ ახლა გაცილებით ნაკლებია. ვისაც თავს უხრიდნენ, ისინი კუდამოძუებულები გაუშვეს. რით ვართ ჩვენ ვინმეზე ნაკლები?.. ზოგჯერ ასეც ხდება: კაცი აკეთებს უდიდეს საქმეს და თვითონ არ იცის, რას აკეთებს. ასეთი კაცი ქედს იხრის ვიღაც არამზადა უცხოელის წინაშე, რომელიც სამი თავით დაბლა დგას მასზე. უნდა ვებრძოლოთ ასეთ მავნე ჩვევას — სულიერ თვითგანადგურებას ჩვენს ბევრ ინტელიგენტში»**

აპარატის გახრწნა, ბიუროკრატიზმის ზრდა, მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის ჩაშლა. რა თქმა უნდა, თვითკრიტიკა მასალას აძლევს მტრებს. ამაში თქვენ მართალი ხართ. მაგრამ, იგივე იძლევა მასალას (და ბიძგს) ჩვენი წინსვლისთვის, მშრომელთა აღმშენებლობითი ენერგიის გამოყენებისთვის, შეჯიბრების განვითარებისთვის. დამკვრელი ბრიგადებისთვის და სხვ. უარყოფით მხარეს ანაზღაურებს და ჭარბად ანაზღაურებს დადებითი მხარე.

შესაძლოა, ჩვენი პრესა მეტად აზვიადებს ჩვენს ნაკლოვანებებს, ხოლო ზოგჯერ (უნებლიეთ) საქვეყნოდაც გამოაქვს ისინი. ეს, შესაძლოა, სარწმუნოც არის. და ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. ამიტომ მოითხოვთ, რომ ნაკლოვანებანი გავასწოროთ მიღწევებით. და ამაში თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ. ამ ხარვეზებს ჩვენ აუცილებლად და დაუყონებლივ გამოვასწორებთ. შეგიძლიათ, არც დაეჭვდეთ.

**თქვენ მართალი ხართ, რომ ჩვენში, ჩვენს პრესაში დიდი არეულ-დარეულობაა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებში. ზოგჯერ წარმოუდგენელ სისულელეებს სჩადიან, რაც ხელს უწყობს მტრებს. ამ დარგში უდიდესი მუშაობა გველის. მაგრამ მე ჯერ ვერ მოვასწარი მოლაპარაკება ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში მომუშავე ამხანაგებთან თქვენი წინადადებების შესახებ.** ამაზე შემდეგ მოგწერთ.

მეტი არაფერი.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას“.

ნაკლოვანებების გამოაშკარავებისა და მათი გამოსწორების გზების ძიების ერთ-ერთი მაგალითია ტრიო სტალინ-ტიმოშენკო-კორნეიჩუკის მოქმედება გახურებული ომის პირობებში, როდესაც ბეწვზე ეკიდა, იქნებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი და სტალინი. 1942 წელს სტალინმა გაზეთ „პრავდას“, კონსპირაციულად, ხელნაწერის სახით ჩააბარა ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“, რომელიც მისი უშუალო მითითებით დაიწერა. პიესაში სააშკარაოზე იყო გამოტანილი ომის ის მცდარი და ძველი ხერხები, რომლებითაც წითელი არმია ჰიტლერს ებრძოდა. გაზეთ „პრავდის“ წაკითხვისთანავე, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდალმა ტიმოშენკომ დაშიფრული ტელეგრამა გაუგზავნა სტალინს:

„ეს პიესა დიდი ხნის განმავლობაში მოგვაყენებს ზიანს. ის უნდა აიკრძალოს. ავტორი პასუხისგებაში უნდა მიეცეს. დამნაშავეები უნდა გამოაშკარავდნენ.

მარშალი ტიმოშენკო. 1942 წელი 28 აგვისტო“.

სტალინმა იცოდა, რასაც წერდა და რასაც აკეთებდა, ამიტომ პასუხიც არ დააყოვნა.

**„ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი,**

მარშალ ტიმოშენკოს!

მივიღე თქვენი დეპეშა კორნეიჩუკის პიესა „ფრონტის “ შესახებ. პიესის შეფასებაში თქვენ სწორი არ ხართ. პიესას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა არმიისა და მისი მეთაურების შემადგენლობისთვის, პიესა სწორად აღნიშნავს წითელი არმიის ნაკლოვანებებს და სწორი არ იქნება ამ ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვა. ვაჟკაცობა უნდა გვეყოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მათი გამოსწორებისთვის ზომების მისაღებად, ესაა წითელი არმიის გაუმჯობესებისა და სრულყოფის ერთადერთი გზა“.

ი. სტალინი 1942 წელი 28 აგვისტო“.

კორნეიჩუკის პიესა „ფრონტში“ წითელი არმიის ახალგაზრდა თაობა ებრძვის არმიაში რუტინას და გზას იკვლევს ახლისკენ, რითაც სტალინმა მსოფლიოს დაანახვა სწრაფად მზარდი საბჭოთა არმია. პიესაში მკაფიოდ ჩანდა კრიტიკა, რომელიც გზას უხსნიდა ნიჭსა და ახალგაზრდობას, რაც გამართლდა კიდეც ახლო მომავალში.

სტალინმა კატეგორიულად არ მიიღო მწერალ დემიან ბედნის კრიტიკა, რომელიც მან თავის ნაწარმოებებში გამოხატა. როგორებიცაა „ჩამოდი ღუმლიდან“, „დაუნდობლად“ და „პერერვა“ (1930 წელს მოსკოვთან ახლოს, კურსკის მიმართულებით მდებარე სარკინიგზო პლატფორმა პერერვასთან მოხდა კატასტროფა — ერთმანეთს შეეჯახა ორი სამგზავრო მატარებელი, დაიღუპა 16 ადამიანი, დასახიჩრდა — 47. ამ კატასტროფიდან მეორე დღეს დემიან ბედნიმ დაწერა ლექსი „პერერვა“, რომელშიც მწვავედ გააკრიტიკა ქვეყანაში შექმნილი ვითარება).

სტალინმა მას წერილითვე უპასუხა:

„ამხ. დემიან ბედნის

(ნაწყვეტები წერილიდან)

თქვენი 8 დეკემბრის წერილი მივიღე, თქვენ, ალბათ, გესაჭიროებათ ჩემი პასუხი. რა გაეწყობა, ინებეთ.

...ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას თქვენ აფასებთ, როგორც „მარყუჟს“, როგორც იმის ნიშანს, რომ „დადგა ჩემი (ესე იგი თქვენი) კატასტროფის ჟამი“. რატომ, რის საფუძველზე? რა უნდა ეწოდოს კომუნისტს, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ჩაუფიქრდეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების არსს და გამოასწოროს თავისი შეცდომები, ავად უწოდებს ამ გადაწყვეტილებას „მარყუჟს“?

მრავალჯერ შეუქიხართ ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც საჭირო იყო თქვენი შექება, მრავალჯერ დაუცვიხართ ცენტრალურ კომიტეტს (არცთუ მიუკერძოებლად!) ჩვენს პარტიაში მყოფი ცალკეული ჯგუფებისა და ამხანაგების თავდასხმებისგან. ათობით პოეტი და მწერალი დაუტუქსავს ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც ისინი ცალკეულ შეცდომებს სჩადიოდნენ. ყოველივე ეს თქვენ ნორმალურად და გასაგებად მიგაჩნდათ. ხოლო, როდესაც ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა, გაეკრიტიკებინა თქვენი შეცდომები, უცებ ბუზღუნი დაიწყეთ და მორთეთ ყვირილი „მარყუჟის“ შესახებ. რის საფუძველზე? იქნებ, ცენტრალურ კომიტეტს უფლება არ აქვს, გააკრიტიკოს თქვენი შეცდომები? იქნებ, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის თქვენთვის? იქნებ თქვენი ლექსები ყოველგვარ კრიტიკაზე მაღლა დგას? არ მიგაჩნიათ, რომ თქვენ დაავადებული ხართ ერთგვარი უსიამოვნო სენით, რომელსაც „ამპარტავნობა“ ეწოდება? მეტი თავმდაბლობა, ამხანაგო დემიან!

რაშია თქვენი შეცდომების არსი? ეს არსი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ცხოვრებისა და ყოფის ნაკლოვანებათა კრიტიკამ, აუცილებელმა და საჭირო კრიტიკამ, რომელსაც თქვენ თავიდანვე საკმაოდ მარჯვედ და უნარიანად ეწეოდით, ზომაზე მეტად გაგიტაცათ და ეს გატაცება თქვენს ნაწარმოებებში გადაიზარდა ცილისწამებად საბჭოთა კავშირის, მისი წარსულის, მისი აწმყოს წინააღმდეგ...

მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირით, რომ რუსეთი წარსულში სისაძაგლისა და სივერანის ჭურჭელს წარმოადგენდა, რომ ახლანდელი რუსეთი სულ ერთიანად „პერერვაა“, რომ „სიზარმაცე“ და მისწრაფება „ღუმელზე ჯდომისკენ“ თითქმის ეროვნული თვისებაა რუსებისა საერთოდ, მაშასადამე — რუსი მუშებისაც, რომლებიც, მოახდინეს რა ოქტომბრის რევოლუცია, რა თქმა უნდა, ისევ რუსებად დარჩნენ და ამას თქვენ ბოლშევიკურ კრიტიკას უწოდებთ! არა, დიდად პატივცემულო ამხ. დემიან, ეს ბოლშევიკური კრიტიკა როდია, ეს ცილისწამებაა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

და ამის შემდეგ თქვენ გინდათ, რომ ცენტრალური კომიტეტი დუმდეს! ვინ გგონიათ თქვენ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი?

და თქვენ გინდათ, მე ვდუმდე იმის გამო, რომ თქვენ, თურმე, „ბიოგრაფიულ სინაზეს“ განიცდით ჩემდამი! რა გულუბრყვილო ხართ და რა ნაკლებად იცნობთ სტალინს.

ამაშია არსი და არა ფუჭ ლამენტაციებში (ორატორული ხელოვნების ხერხი ანტიკურ რიტორიკაში — გრ. ონიანი) დამფრთხალი ინტელიგენტისა, რომელიც შეშინებული ლაყბობს იმაზე, რომ ვითომ სურთ, „გარიყონ“ დემიანი, რომ დემიანის ნაწერებს „აღარ დაბეჭდავენ“ და ასე შემდეგ.

ი. სტალინი, 1930 წელი 12 დეკემბერი“.

**სტალინმა იცოდა, როგორ უნდა აეშენებინა სრულიად ახალი სახელმწიფო. ის ამ სახელმწიფოს არა მხოლოდ არქიტექტორი, არამედ მისი უპირველესი კონსტრუქტორი და კირითხუროც გახლდათ, რომელიც საძირკველში დებდა იდეურ ლოდებს, რომლებზე აშენებული კედლებიც შეიძლება დანგრეულიყო, მაგრამ მის ჩაყრილ საძირკველს მომავალი თაობები გამოიყენებდა.**

აკი ალექსანდრა კოლონტაისაც ეს არ უთხრა?

„...როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებებისკენ. ყოველ წელს მოვა ახალი თაობა, ისინი აიტაცებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ჩვენ საკადრისს მოგვაგებენ, თავიანთ მომავალს ისინი ჩვენს წარსულზე დააფუძნებენ“.

მრგვალი მაგიდა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი რიგის ამოცანად რჩება ონკოლოგიურ დაავადებათა მიმართ არსებული სუბიექტური ფაქტორებისა და სტერეოტიპების შეცვლა როგორც მოსახლეობის, ასევე, სამედიცინო პერსონალის აზროვნებაში.**

# კიბო სასიკვდილო განაჩენი არ არის

**ონკოლოგიური დაავადებები საქართველოს მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში მეორე ადგილზეა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც მსოფლიოში, განუხრელად იზრდება. კიბოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემებს ეძღვნება „საქართველო და მსოფლიოს" დღევანდელი „მრგვალი მაგიდა". ჩვენი სტუმრები არიან: კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა; საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი რეზო გაგუა და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ონკოლოგიის დარგში — მაკა მაღლაკელიძე.**



**«სიმსივნური დაავადებები მოსახლეობის ყველა ფენაში გვხვდება და უდიდეს ზარალს აყენებს საზოგადოებას. ვითარდება არა მხოლოდ უფროსი ასაკის მამაკაცებსა და ქალბატონებში, არამედ ბავშვებსა და რეპროდუქციული ასაკის ახალგაზრდებშიც»**

**ფრიდონ თოდუა:**

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება. ექსპერტთა მტკიცებით, მსოფლიოში აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის განუხრელი ზრდის ტენდენცია, ამასთან, ავადობისა და სიკვდილობის ძირითადი ტვირთი მოდის განვითარებადი ქვეყნების წილად, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება საქართველო.

იმავე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აქვეყნებს მონაცემებს იმის შესახებ, რომ **საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად კიბოს 12 000-ზე მეტი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი ციფრია, თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, კიბოთი ავადობის მაჩვენებლების მიხედვით, შუალედური ადგილი უჭირავს მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ხოლო ონკოლოგიური ავადობის დინამიკა იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოშია და ეს მატება რაიმე განსაკუთრებით მაღალი ტემპით არ გამოირჩევა, თუმცა ეს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს, მით უფრო, რომ ჩვენთან ავადმყოფთა 70-75 პროცენტი ექიმს დაავადების იმ სტადიაში მიმართავს, როდესაც რადიკალური მკურნალობის მეთოდი უკვე აღარ გამოიყენება.** ასეთი პაციენტები საჭიროებენ ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას, ხოლო პროგნოზი არაკეთილსაიმედოა. ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში მკურნალობის ეფექტიანობა პირდაპირაა დამოკიდებული ადრეულ დიაგნოსტიკაზე. I-II სტადიაში დადგენილი სიმსივნის მკურნალობის ეფექტიანობა ძალიან მაღალია და ხშირად სრული გამოჯანმრთელებით სრულდება.

ავთვისებიანი სიმსივნეების დაგვიანებული გამოვლენის ძირითადი მიზეზია მოსახლეობის მიერ პროფილაქტიკური გასინჯვების უგულვებელყოფა, ქრონიკული და კიბოსწინა დაავადებების მქონე ავადმყოფთა მეთვალყურეობის ფიქტიურობა, ძირითადი კლინიკური სპეციალობების ექიმთა არასაკმარისი ონკოლოგიური სიფხიზლე. ამასთან, მოსახლეობის დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ აქვს ექიმისთვის დროულად მიმართვის აუცილებლობა, რაც კიბოს საწინააღმდეგო პროპაგანდის დეფიციტსა და საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტეზე მიუთითებს.

ამასთან ერთად, **პირველი რიგის ამოცანად რჩება ონკოლოგიურ დაავადებათა მიმართ არსებული სუბიექტური ფაქტორებისა და სტერეოტიპების შეცვლა როგორც მოსახლეობის, ასევე, სამედიცინო პერსონალის აზროვნებაში:** უწინარეს ყოვლისა, უნდა დავძლიოთ შიშის ფაქტორი და გავაცნობიეროთ, რომ კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი, ეს არის დაავადება, რომელიც, როგორც ბევრი სხვა პათოლოგია, ექვემდებარება მკურნალობას.

**რეზო გაგუა:**

— ნორმალური ტიპის უჯრედიდან სიმსივნური ტიპის უჯრედად ტრანსფორმაცია არის ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცესი. ცვლილებები ვითარდება მრავალი შიდა და გარე ფაქტორების, ე. წ. კანცეროგენების ზემოქმედებით. ეს ფაქტორებია: ფიზიკური ფაქტორები, როგორიცაა ულტრაიისფერი და მაიონიზებელი გამოსხივება; ქიმიური კანცეროგენები, როგორიცაა აზბესტი, თამბაქოს ბოლის კომპონენტები, დარიშხანი; ბიოლოგიური კანცეროგენები, ინფექციები, რომლებიც გამოწვეულია ზოგიერთი ვირუსის, ბაქტერიისა და პარაზიტის ზემოქმედებით ორგანიზმზე (B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი და ზოგიერთი ტიპის ადამიანის პაპილომავირუსით (HPV) გამოწვეული პროცესები); არაჯანსაღი კვება, თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება.

კიბოს განვითარების რისკი ბევრად მაღალია კანცეროგენული ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედებისას, აგრეთვე, დამძიმებული მემკვიდრული განწყობის შემთხვევაში. **მოკლედ რომ ვთქვათ, სიმსივნური დაავადებების განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. პირველ რიგში — 40 წელს გადაცილებული ასაკი, ორგანიზმის გენეტიკური, იმუნოლოგიური და ენდოკრინული სტატუსი, ეკოლოგიური გარემო, მავნე პროფესიული ფაქტორები, ცხოვრებისა და კვების პირობები, ინდივიდუალური და საყოფაცხოვრებო ჩვევები და ა. შ.**

**მაკა მაღლაკელიძე:**

— თანამედროვე მედიცინაში კიბოს პრობლემას, სირთულისა და სოციალური მნიშვნელობის მიხედვით, ანალოგი არ გააჩნია.

**მამაკაცებში ყველაზე ხშირია ფილტვის კიბოთი ავადობა, ყოველწლიურად დგინდება 1000-ზე მეტი ახალი შემთხვევა; ქალბატონებში — ძუძუსა და რეპროდუქციული ორგანოების პათოლოგიები. ყოველწლიურად ფიქსირდება 1500-მდე ძუძუს კიბო და 800-ზე მეტი საშვილოსნოს ყელის სიმსივნეები. საკმაოდ ხშირია კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და სისხლმბადი ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები. სამწუხაროდ, ხშირია ფილტვისა და ღვიძლის ე. წ. მეორადი დაზიანებები, როდესაც პირველადი კერა ჯერ არ არის დადგენილი და დაავადება თავს იჩენს მეტასტაზებით შორეულ ორგანოებში.**

**სიმსივნური დაავადებები მოსახლეობის ყველა ფენაში გვხვდება და უდიდეს ზარალს აყენებს საზოგადოებას. ვითარდება არა მარტო უფროსი ასაკის მამაკაცებსა და ქალბატონებში, არამედ ბავშვებსა და რეპროდუქციული ასაკის ახალგაზრდებშიც.** ამასთან, წლიდან წლამდე აღინიშნება დაავადების გაახალგაზრდავების ტენდენცია. თუმცა ისევე, როგორც მსოფლიოში, ჩვენთანაც კიბო მეტწილად მაინც ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრია.

ეს ავადობა შეიძლება შემცირდეს და გაკონტროლდეს დაავადების პრევენციის ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში, როცა განკურნების შანსი ძალიან მაღალია. **დამტკიცებულია, რომ 30 პროცენტზე მეტი კიბოს შემთხვევების პრევენცია შესაძლებელია ძირითადი რისკფაქტორების თავიდან აცილებით, შემთხვევათა კიდევ 30 პროცენტში სწორად ჩატარებული მკურნალობა სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება, დანარჩენ შემთხვევებში კი ჩვენ ვიბრძვით სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დარჩენილი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.**

**რეზო გაგუა:**

— უკანასკნელ ათწლეულში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და, კერძოდ, ონკოლოგიური სამსახურის სტრუქტურასა და ორგანიზაციაში. შემოღებულია დარგის პროგრამული მართვა, არსებითად შეიცვალა დაფინანსების პრინციპები. ახლებურადაა გააზრებული ჯანდაცვის სტრუქტურების თითოეული რგოლის ფუნქცია ონკოლოგიური დაავადებების მიმართ. მკვიდრდება პირველადი ჯანდაცვის განვითარებული სტრუქტურები, ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, რომელმაც, როგორც პაციენტთან შეხების პირველმა საფეხურმა, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს დაავადებების (მათ შორის, კიბოსწინა და ონკოლოგიური დაავადებების) პრევენციაში, მათ დროულ გამოვლენაში, დიაგნოსტიკასა და ავადმყოფთა სამედიცინო-სოციალურ რეაბილიტაციაში.

„საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებს ▶

მოკლედ



## კლიჩკო კიევის გათბობას ფრთიანი ფრაზებით აპირებს

**ფრთიანი ფრაზებით განთქმულ კიევის მერს, ვიტალი კლიჩკოს, სურს, გამოსცეს თავისი გამონათქვამების კრებული, რომლის გაყიდვასაც რუსეთში აპირებს, თანაც — დოლარებზე. წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა კი კიეველთა სოციალური და საბინაო-კომუნალური პრობლემების გადაწყვეტას მოხმარდება, რადგან უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებლებს ცივი ზამთარი ელით. ამის შესახებ იუწყება ტელეარხი „როსია 24".**

კიევის ამჟამინდელი მერის უხერხული გამონათქვამები არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი, მათ შორის ყველაზე პოპულარულია: **„კიეველები მიწისკენ უნდა ემზადონ"**, აგრეთვე — **„ოთხი, რომელთაგან მინისტრთა კაბინეტში წვანან"**. კლიჩკოიზმის შედევრია შემდეგი ფრაზებიც: **„რაც უფრო უფროსია ადამიანი, მით უფრო მეტი წლის არის". „დღეს ხვალინდელი დღის დანახვა ყველას არ შეეძლება. უფრო სწორად, შეეძლება ყველას, ოღონდ ცოტა თუ შეძლებს".**

მრგვალი მაგიდა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უამრავმა დიდმა თუ მცირე მასშტაბის კლინიკამ იკისრა ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობა და, შედეგად, ავადმყოფი ხშირად ხდება არაპროფესიონალიზმის მსხვერპლი.

უთუოდ დაებადებათ შეკითხვა, გადაწყვიტა თუ არა საყოველთაო ჯანდაცვის ახალმა პროგრამამ ყველა ის პრობლემა, რომლებიც აქამდე ასე აწუხებდა პაციენტებს?

შევეცდები, ვუპასუხო.

მას შემდეგ რაც ამოქმედდა ეს პროგრამა, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე არავითარი ფინანსური მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, რომლის დაძლევა ძალიან რთულია ფიზიკურად, მორალურად, ფინანსურად. პაციენტებს, როგორც წესი, სჭირდებათ ბევრი სერიოზული გამოკვლევა და, მკურნალობის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, არამედ დამატებით რადიოთერაპიისა და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსის ჩატარება.

**ამჟერად ჯანდაცვა ნამდვილად საყოველთაო გახდა ნებისმიერი ადამიანისთვის. შესაძლოა, ჯერ კიდევ არის რაღაც დასახვეწი, მაგრამ ის, რომ პაციენტთა დიდი უმრავლესობა დღეს ღებულობს სახელმწიფო დახმარებას და არ არის შეზღუდული სამკურნალო დაწესებულების არჩევანში — უკვე უდავოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.**

**ფრიდონ თოდუა:**

— მსოფლიოში მიმდინარე ჯანდაცვის თანამედროვე რეფორმების ფონზე, პრიორიტეტი ენიჭება მსხვილ, სპეციალიზებულ, ტექნიკურად კარგად აღჭურვილ სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ცენტრებს, რომელთაც ხელეწიფებათ მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროს ურთულესი ამოცანების „ერთ ჭერ ქვეშ“ გადაჭრა. **კიბოს მკურნალობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ დაწესებულებაში, რომლებიც აღჭურვილია ადეკვატური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებებით, დაკომპლექტებულია შესაფერისად განსწავლული, მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც მუშაობენ მულტიდისციპლინურ გუნდებში, მკაფიოდ განსაზღვრული როლითა და მკაცრად გამიჯნული ფუნქციებით.** სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უამრავმა დიდმა თუ მცირე მასშტაბის კლინიკამ იკისრა ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობა და, შედეგად, ავადმყოფი ხშირად ხდება არაპროფესიონალიზმის მსხვერპლი. დაყოვნებული სპეციფიკური მკურნალობა, თავის მხრივ, იწვევს დაავადების სწრაფ პროგრესირებას და პროგნოზის გაუარესებას, რომ არაფერი ვთქვათ მკურნალობის ღირებულების მნიშვნელოვან გაძვირებაზე.

**კლინიკური მედიცინის ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გამოკვლევებისთვის და მკურნალობისთვის ყოველწლიურად 40 000-ზე მეტი პირველადი პაციენტი მომართავს.** მინდა, გითხრათ, რომ უკანასკნელ პერიოდში ონკოლოგიურმა პათოლოგიამ მკვეთრად იმატა. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად სიმსივნური წარმონაქმნი შემთხვევით აღმოჩნდება ხოლმე ულტრაბგერითი თუ კომპიუტერული კვლევების დროს, ხანდახან პროცესი იმდენად ღრმადაა წასული, რომ გვიწევს დამატებითი გამოკვლევების ჩატარება პირველადი კერის დასადგენად. **ვისარგებლებ შემთხვევით და მივაწოდებ მოსახლეობას ინფორმაციას იმ უნიკალური დიაგნოსტიკური მანიპულაციის შესახებ, რომელიც სულ ახლახან დაინერგა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ეს არის Whole Body MRI — მთელი სხეულის მაგნიტურ რეზონანსული კვლევა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ჩავატაროთ ადამიანის ორგანიზმის სრული მიმოხილვითი მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა და დავადგინოთ სიმსივნური პროცესის ლოკალიზაცია ადრეულ ეტაპებზე, როცა კლინიკური სიმპტომები ჯერ კიდევ არ არის გამოხატული.**

2014 წლიდან გადავწყვიტეთ ონკოლოგიური მიმართულების გაძლიერება — აშენდა ახალი კორპუსი, მასში



ფრიდონ თოდუას კლინიკა უახლესი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი

განთავსდა ონკოლოგიის (ქიმიოთერპიული) და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტები. ექიმი-ონკოლოგების მიერ ხდება თითოეული ონკოლოგიური პაციენტის დეტალური გამოკვლევა და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. უნიკალურ რადიკალურ და ორგანოშემანარჩუნებელ ონკოქირურგიულ ოპერაციებთან ერთად, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, აქვე ჩაიტარონ კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ყველა კომპონენტი — ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია. რადიაციული ონკოლოგიის განყოფილება აღჭურვილია Varian-ის ფირმის 2 უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლით — TrueBeam-ით. მასში ინტეგრირებულია სპეციალური კომპიუტეhრული ტომოგრაფი 3D გამოსახულების მიღებისა და მკურნალობის ტექნოლოგიების სინქრონიზაციით, რომლის საშუალებით პაციენტს უტარდება ზუსტ გამოსახულებაზე დაფუძნებული სხივური თერაპია. **ეს უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, გაცილებით დიდი სიზუსტით, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით მოვახდინოთ სამიზნე უბნის მაქსიმალური დასხივება. აპარატი ავადმყოფებს უადვილებს სამკურნალო პროცედურებს, რადგან მოცემული უახლესი ტექნოლოგიები უზრუნველყოფს დასხივების პროცედურის სწრაფ და ადეკვატურ ჩატარებას. თრუბიმის შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია.**

**მაკა მაღლაკელიძე:**

— თამამად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ აპარატურა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტშია, საუკეთესოა არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვისაც — დაწყებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობით, ულტრაბგერითი აპარატურით, რენტგენოგრაფიული დანადგარებით, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფებით, ენდოსკოპიური ტექნიკით და დამთავრებული, მართლაც რომ უნიკალური საოპერაციო ბლოკებით თორაკო-აბდომინური, გინეკოლოგიური, მამოლოგიური, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული და ნეიროქირურგიული ჩარევისთვის. **ევროპაში, თუნდაც ამერიკაში, იშვიათია კლინიკები, რომლებშიც სამედიცინო ტექნიკის ასეთი კონცენტრაციაა — ჩვენთან ფუნქციონირებს 4 კომპიუტერული და 4 მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი. მეტსაც გეტყვით, დგას საკითხი მეხუთე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის შეძენის.**

ადამიანები ნდობას უცხადებენ ინსტიტუტს და ჩვენი კლინიკის ექიმებს. ბატონი ფრიდონ თოდუა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ნდობას აქვს უდიდესი როლი, **პაციენტისთვის გადამწყვეტი ექიმია — პროფესიონალი, რომელმაც, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე, სწორი დიაგნოზი უნდა დასვას. აქ შეცდომის უფლება არავის აქვს.**

ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ საუკეთესო ექიმები, რომლებიც თავიანთი დარგების წამყვანი სპეციალისტები არიან. მათი სახელები კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. **ცენტრში გვყავს 9 სახელმწიფო და 6 ეროვნული პრემიის ლაურეატი.**

ონკოლოგია დღეს კომპლექსური, მულტიპროფილური დარგია, რომელიც აერთიანებს კლინიცისტებსა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს — ქირურგ-ონკოლოგებს, რადიოლოგებს, ქიმიოთერაპევტებს, ჰემატოლოგებს, იმუნოლოგებს, პათომორფოლოგებს, ბიოქიმიკოსებსა თუ ბირთვული მედიცინის სპეციალისტებს. ეს არის გუნდი, რომლის ძირითადი მიზანია ონკოლოგიური კონტინგენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. **თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს არც ერთ სხვა სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ჩვენს ინსტიტუტში. უკვე შევიძინეთ და უახლოეს მომავალში ავამუშავებთ უნიკალურ პათომორფოლოგიურ და იმუნოჰისტოქიმიურ ლაბორატორიას; ვაფართოებთ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის დიაპაზონებს; ჩავერთეთ ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამაში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს 40-დან 70 წლამდე ქალბატონებს, უფასოდ ჩაიტარონ ჩვენს ცენტრში მამოგრაფიული გამოკვლევა და მამოლოგის კონსულტაცია.**

შეიძლება ითქვას, რომ დინამიური განახლების პროცესში ვიმყოფებით და ნამდვილად არ ვაპირებთ, შევჩერდეთ მიღწეულზე — ბატონმა ფრიდონმა სერიოზული ამოცანა დააყენა ჩვენი ინსტიტუტის და საერთოდ ქვეყნის წინაშე — გვინდა, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება. **გვინდა, ჩამოვაყალიბოთ მკაცრი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ონკოლოგიურ პაციენტებს გაეწევათ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მკურნალობა და მაქსიმალური ყურადღება მიექცევა მკურნალობის ხარისხს. დღეს ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გაგვაჩნია.**

**რეზო გაგუა:**

— ახლახან მე და ქალბატონი მაკა ვიმყოფებოდით მადრიდში ონკოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ტარდება ყოველწლიურად. ეს არის გრანდიოზული მასშტაბის სამეცნიერო ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა ქვეყნის ონკოლოგებს შორის. აქ განიხილება ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის აქტუალური საკითხები, კლინიკური კვლევების შედეგები, უახლესი ტარგეტული პრეპარატების მოქმედების მექანიზმები, ონკოქირურგიისა და რადიაციული თერაპიის მიღწევები. მსოფლიოს 12 წამყვან ასოციაციას შორის ჩვენ გამოყოფილი გვქონდა ჩვენი ადგილი, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა მიგვეწოდებინა უცხოელი კოლეგებისთვის ინფორმაცია ქართული რადიოლოგიისა და ონკოლოგიის თანამედროვე მიღწევების შესახებ, დაგვერიგებინა ჩვენი ბუკლეტები. ყოველივე ეს, უდავოდ, სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლასთან ერთად, ხელს შეუწყობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებას.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**



კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

## რუმინეთის პრინცესა მამლების ჩხუბის ორგანიზებისთვის გაასამართლეს

**24 ოქტომბერს ორეგონის შტატის (აშშ) სასამართლომ 3-წლიანი პირობითი პატიმრობა და 200 ათასი დოლარის გადახდა მიუსაჯა რუმინეთის პრინცესა ირინა უოლკერსა და მის მეუღლე ჯონ უესლი უოლკერს თავიანთ რანჩოზე (ორეგანის შტატში) მამლების ჩხუბის ორგანიზებისთვის, რაც აშშ-ის კანონმდებლობით აკრძალულია.** სამშობლოდან გაძევებული რუმინეთის მეფის — მიხაი I-ის ქალიშვილი ქმართან ერთად აწყობდა თავის რანჩოში მამლების ჩხუბს და საკმაო თანხასაც გამოიმუშავებდა.

სულ გაიმართა მამლების 10-ზე მეტი ჩხუბი, რომელთაგან თითეულს ასზე მეტი კაცი ესწრებოდა. ბილეთების გარდა, რომელიც 20 დოლარი ღირდა, წყვილი სანახაობის მიმდინარეობისას ალკოჰოლსა და ფასტფუდს ჰყიდდა. ცოლ-ქმარი 2013 წლის აგვისტოში დააკავეს. რუმინეთის 92 წლის მეფე მიხაი I ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს. ის სამეფო ტახტზე 5 წლისა ავიდა — 1927 წელს. 1947 წელს კი, როდესაც კომუნისტურმა მთავრობამ მონარქია გააუქმა, რუმინეთიდან წავიდა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონმა გიგამ ნაცოპონენტები ორ მამალ ტყუილში ამხილა: კარგად ცნობილი არქეოლოგიური ფაქტის საკუთარ აღმოჩენად გასაღებაში და უგულავას დროინდელი მერიის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომის გამოსწორების მიზნით ამჟამად მიღებული გადაწყვეტილების გამრუდებულად წარმოჩენის მცდელობაში.**

# მიშას და უგულავას ხუშტურებით დამახინჯებული ქალაქი

**ერთი ხანია, თბილისელებს ახალი სასაუბრო თემა გაუჩნდათ — პუშკინის ქუჩაზე, თბილისის გულში, ესტაკადის აგების პრობლემა და, როგორც ყველაფერს ამ ბოლო დროს, ამასაც პოლიტიკური საფანელი დაედო. „ნაცებმა“, რა თქმა უნდა, თბილისის მერიის ასეთ განზრახვას ანტიეროვნული უწოდეს და ხელიდან არ გაუშვეს გამოკეკლუცებული თავდასხმის შესაძლებლობა: ჩვენო, — აწიოკდნენ, აჩიორდნენ, აწიიწკიკლაურდნენ და ა.შ., — აღმოვაჩინეთ და მიწის სიღრმიდან ისტორიის ნაწილი სამზეოზე გამოვფინეთ, ახალარჩეული მერი კი კვლავ მიწაში ჩაფლას აპირებსო.**
**აფსუს, უგულავაო, და — წავიდააა!**
**ამათ რა გააჩერებს!..**





ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲕᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ

**«ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓᲐᲪ: ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲔᲠ-ᲡᲐᲮᲘᲡ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲚᲔᲡᲐᲪ ᲓᲒᲐᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ»**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ დროს პარტკომის მდივნად ერთი ფიზიკოსი მუშაობდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლაპარაკი. ამ ნაკლს, უპირველესად, თვითონვე გრძნობდა და დასცინოდა კიდეც საკუთარ სიტყვაუხვობას:**

**— უნივერსიტეტში ლაპარაკით გულს რომ ვერ ვიჯერებ, შინ მისული ენას კიბეზე გავდებ და ისე ავდივარო მეცხრე სართულზე.**

**არ შველოდა ეს იუმორი და თვითგვემა ამ პატიოსან კაცს. „ნაცებს“, სიტყვამრუშობის ამ ასთავიან ჰიდრას, იუმორი კი არა, არგუმენტების კომბალი თავში რომ ურახუნო, სალი აზრისკენ ვერ შემოაბრუნებ: უკადრებლის მკადრებელი ამათი ენები ქართული ტელეარხებისკენ მიმავალ გზებზე ასფალტივითაა დაგებული.**

**ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, პატიოსანი მკითხველებისთვისაა განკუთვნილი.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი რესპონდენტია გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი ᲒᲘᲒᲐ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

**საკითხი ასე დგას: ისტორიული რარიტეტის შენარჩუნება თუ ერთ ქუჩაზე ტრანსპორტის გამტარუნარიანობის გაზრდა.**

**ბატონმა გიგამ ნაცოპონენტები ორ მამალ ტყუილში ამხილა: კარგად ცნობილი არქეოლოგიური ფაქტის საკუთარ აღმოჩენად გასაღებაში და უგულავას დროინდელი მერიის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომის გამოსწორების მიზნით ამჟამად მიღებული გადაწყვეტილების გამრუდებულად წარმოჩენის მცდელობაში.**

— დავიწყოთ იმით, — ამბობს **გიგა ბათიაშვილი**, — რომ მნიშვნელოვანი საკითხების ემოციურ დონეზე, სპონტანურად გადაწყვეტა სწორი არ არის. უხერხულიც კია იმის გამეორება, რომ, ასე თუ მოვიქცევით, მივიღებთ ხანმოკლე ეფექტს, რომელიც არასოდეს სრულყოფილი არ იქნება. მაგრამ სწორედ ამ „მეთოდით“ ხელმძღვანელობდა ყოფილი ხელისუფლება. ყველანი დავრწმუნდით, უგულავას დროს განხორციელებული პუშკინის ქუჩის რეკონსტრუქცია მცდარი აღმოჩნდა: უაღრესად გართულდა ქალაქის გულში ტრანსპორტის მოძრაობა.

ამ საკითხს დავუბრუნდები.

ახლა კი — „აღმოჩენის“ შესახებ.

გალავანი, რომელზეც ვლაპარაკობ, ცნობილი იყო ისტორიული წყაროებიდანაც და ფაქტობრივადაც: თავის დროზე მისი ერთი ნაწილი ძველი თბილისის იერ-სახის აღდგენის ჩვენი პროექტით შევინარჩუნეთ და დღესაც დგას კოლმეურნეობის მოედანზე, საჭაშნიკესთან, როგორც ამ ისტორიული უბნის ორგანული შემადგენელი.

აქედან ქალაქის კედელი მიჰყვება პუშკინის ქუჩას, გრძელდება ყოფილი ველიამინოვის ქუჩისკენ, სადაც ჩვენს ახალგაზრდობაში ცნობილი სახინკლე იყო...

**— ცალხელა კაცი ლუდის დაცლილ კათხებს რომ აგროვებდა...**

— და სადაც ნახევარმა თბილისმა მაინც გაიგო ნამდვილი ხინკლის გემო...

აქედან იღებს მიმართულებას წავკისის ქედისკენ და ზემოთ, ბეთლემამდე ადის.

ამ გალავნის შიგნით იყო მოქცეული ქალაქი, ვიდრე ერეკლე II რუსეთთან ცნობილ შეთანხმებას მოაწერდა ხელს. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა და შეწყდა ომები, თბილისმა გადაალაჯა ქალაქის ამ კედელს.

განათლებულ ადამიანს ბუნებრივად ებადება კითხვა: მაშინ, როცა ჩვენი წინაპრები ციხე-გალავნების ასაგებად ჩვეულებრივ ბუნებრივ რელიეფს იყენებდნენ დამატებით დამცავ საშუალებად, რაღა აქ, ვაკე ადგილზე შემოარტყეს გალავანი ქალაქს?

საქმე ის არის, რომ დღევანდელი პუშკინის ქუჩიდან მამადავითისკენ თავის დროზე ხევი იყო და ქალაქის გალავანი ამ ხევის ქედზე იყო აშენებული — ბეთლემიდან მტკვრის ნაპირამდე. ბუნებრივ პიედესტალზე იდგა, რითაც დამატებითი სიძნელე ექმნებოდა შემოსეულ მტერს.

ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს ეს ყველაფერი თავის რუკაზე დატანებული.

თავის დროზე (ეს იყო 30 წელიწადზე მეტი ხნის წინათ) ჩვენ, ბატონ შოთა ყავლაშვილის თავკაცობით, დავინტერესდით და პრაქტიკულად შევამოწმეთ ბატონიშვილის რუკის სისწორე. რამდენიმე ადგილზე გავაკეთეთ ზონდაჟი. სადაც პუშკინის ქუჩაზე უწინ ბავშვთა პოლიკლინიკა და აფთიაქი იყო, იქ გავთხარეთ და გამოჩნდა გალავნის კედლის მთელი ფრაგმენტები.

გავაგრძელეთ შესწავლა და აღმოვაჩინეთ, რომ „საქართველოს ბანკის“ კიბე გალავნის კედლის ბურჯზე ზის; იმავე ველიამინოვის ქუჩაზე, ყოფილი კიროვის რაიკომის შენობაში დღესაც დარჩენილია ბურჯის კედელი. ბათქაში ხომ აიფხიკოს, იმ კედლის წყობა გამოჩნდება.

ე. ი. ყველაფერი ცნობილი იყო. როცა ქალაქის ყოფილმა მთავრობამ პუშკინის ქუჩის მოსაწესრიგებლად ტექნიკა შემოიყვანა, ყველას თავზარი დაგვცა, რადგან ამ მიწისქვეშა სივრცეში დარჩენილ ისტორიულ რარიტეტებს ასეთი უხეში ჩარევა საბოლოოდ გაანადგურებდა.

ავტეხეთ განგაში, ვინ გვიგდო ყური!

თხარეს და თხარეს და შემდეგ იყვირეს „ევრიკა!“ — აღმოვაჩინეთო გალავნის ფრაგმენტები. კიდევ კარგი, რომ ჩვენი არქეოლოგები დაესივნენ მშენებლებს, მერიას და, როგორც იქნა, აიძულეს, შეენარჩუნებინათ ის, რაც მიწის სამუშაოების დროს იპოვეს.

**— იმ სახით, რომელიც დღესაც გვაქვს, რითაა ცუდი?!**

— თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, სანახევრო გადაწყვეტილებაა, რომელიც უფრო მეტად ნეგატიურია, ვიდრე დადებითი.

**— ?**

— აგიხსნით. თბილისში, როგორც ყველა ძველ ქალაქში, ქუჩების გამტარუნარიანობა ისედაც არასაკმარისია, პუშკინის ქუჩის სიგანე განახევრდა, პრობლემა კიდევ უფრო გართულდა ცალმხრივი მოძრაობის დაწესებით. ცხადია, ადრე თუ გვიან დადგებოდა ქუჩის ადრინდელი სახით დაბრუნების საკითხი.

მაგრამ როგორ? მიწაში ხომ არ ჩაფლავ ისტორიულ შესანიშნავ ფრაგმენტებს? ამან განაპირობა თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადება პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის აგების შესახებ.

გეტყვით, რომ ტერმინი „ესტაკადა“ ამ შემთხვევაში სწორი არ არის: კვლავ ქუჩა უნდა აღდგეს. მაგრამ ამ ახალი ქუჩის ქვედა სივრცე მიწით კი არ ამოივსება, არამედ ფეხით სავალ ნაწილად დარჩება. ორ იარუსად მოეწყობა. ერთი — მიწისქვეშა, ლესელიძის ქუჩიდან დაწყებული ტროტუარი მაღაზიებით, მუზეუმით, სათანადო განათებით და ა. შ. ზევიდან, დამოუკიდებელ კონსტრუქციაზე აგებული ქუჩა ტრანსპორტის ორმხრივ მოძრაობას დაეთმობა, რაც ნიშნავს, რომ მისი გამტარუნარიანობა 100 პროცენტით გაიზრდება.

ხოლო ის ფრაგმენტები, რომლებიც მიწის ქვეშაა აღმოჩენილი (არის შანსი, კვლავაც აღმოჩნდეს), ამუშავდება, როგორც კულტურული ღირებულება, სამუზეუმო ექსპონატი. მაშასადამე, მიეცემა ფუნქცია და არ დარჩება, უბრალოდ, თვალის შესავლებ რამედ.

სულ ეგაა.

ესტაკადა კი, პრინციპში, ხიდია. პუშკინის ქუჩაზე ხიდის აგება არავის უფიქრია.

ბევრი ღონისძიებიდან, რომლებიც დედაქალაქის მთავრობამ დასახა, ერთ-ერთი ჯანსაღი ღონისძიება (თეორიულად) არის პუშკინის ქუჩის კვლავ სრულფასოვნად ამოქმედება ისტორიული ღირებულების მქონე ფრაგმენტების შიგ ჩართვით.

**— თეორიულად, როგორც თქვით, მარტივია და გასაგები, მაგრამ პრაქტიკულად ამის გაკეთება როგორ გესახებათ?**

— ეგაა სწორედ ურთულესი საკითხი: პროფესიულად როგორ უნდა გაკეთდეს, არქიტექტურულად როგორ უნდა დაიგეგმოს, რა დატვირთვა უნდა მიეცეს ამ მიწისქვეშა სივრცეს, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი და მისი ისტორიული ღირებულება ტოლფასად რომ იყოს ამოქმედებული და სრულად წარმოდგენილი.

**— როგორც გავიგე, ეს მიწისქვეშა სივრცე ლესელიძის ქუჩიდან, თავისუფლების მოედნის გავლით და პუშკინის ქუჩის ჩათვლით ერთ მთლიანობად მოიაზრება?**

— ასე უნდა იყოს. მაგრამ მერია აპირებს მხოლოდ პუშკინის ქუჩით შემოფარგვლას, რაც საქმის მხოლოდ ნახევარია.

**— თქვენი ჩანაფიქრით, აქ უნდა გაკეთდეს მოსკოვის მანეჟის მოედნის ქვეშ რამდენიმე იარუსიანი ნაგებობის მსგავსი რამ?**

— მსგავსი მაგალითები ბევრია. აქ კი, ჩვენთან, ბუნებრივად არის ამის გაკეთების შესაძლებლობა. არ მინდა ახლა ამაზე დეტალურად ლაპარაკი, თუნდაც იმიტომ, რომ, თუ მართლა გამოაცხადებენ კონკურსს, მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

**— ერთ ციტატას წაგიკითხავთ თქვენი წიგნიდან „ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“, თუ... „ჩემი ცხოვრება თბილისის არქიტექტურაში“, უკაცრავად, მგონი, შემეშალა...**

— არა, არ შეგშლიათ. ყდაზე წერია „თბილისურ არქიტექტურაში“, შიდა გვერდზე — „თბილისის არქიტექტურაში“. რატომ, იცით? ჩემი ფორმირება მოხდა თბილისურ არქიტექტურაში,

►

მოკლედ



## სირიაში ავიაშეტევებს 553 ადამიანი ემსხვერპლა

**სირიაში, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის მიერ განხორციელებულ ავიაშეტევებს ერთი თვის განმავლობაში 553 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის — 32 მშვიდობიანი მოსახლე.** სირიის ადამიანის უფლებადამცველი ობსერვატორიის ინფორმაციით, გარდაცვლილთა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლია. ორგანიზაციის ცნობით, დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობას შორის ექვსი ბავშვი და ხუთი ქალია.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „თბილისური ეზო ქალაქის მიკრომოდელია. სრული უგნურება, უცოდინრობა, გაუნათლებლობა, ეროვნული ფსიქიკის არცოდნა და დაკვირვების უნარის არქონაა, როცა თბილისურ ეზოს იტალიურ ეზოს ეძახიან.“

ჩემი მოღვაწეობა კი თბილისის არქიტექტურაში მიმდინარეობდა *(გულიანად იცინის).*

**— აი, ამ „რა საჭიროა ორი სათაურის“ მქონე წიგნში თქვენ წერთ: „ადამიანის სწრაფვა ხელოვნური ყოფითი გარემოს(...) უფრო მეტად კომფორტული მოწყობისკენ იწვევს გარდაუვალ ძალადობას ბუნებაზე, ხოლო ბუნების ყოველგვარი სახეცვლილება, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მის დამანგრეველზე“.**

**წამყვანი სიტყვებია სწრაფვა კომფორტისკენ და დამანგრეველი ზემოქმედება ბუნებაზე.**

**ჩვენი სწრაფვა კომფორტისკენ, ბატონო გიგა, ასევე დამანგრეველად არ მოქმედებს მატერიალური კულტურის შემორჩენილ ქსოვილზე?**

— ჩვენ თუ ასპროცენტიან კომფორტულობაზე ვიზრუნებთ, ისტორია დაიჩაგრება. ოსტატობა ისაა, კომფორტისკენ სწრაფვა ისე უნდა მოხდეს, ისე უნდა დაპროექტდეს ფუნქციური როლი (ჩვენ შემთხვევაში ტრანსპორტის მოძრაობა უფრო კომფორტული რომ გახდეს), რომ, რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს ბუნებრივი გარემო — ბუნებრივი ხევიდან (რომელზეც ვილაპარაკეთ) „ამოსული“ აღნიშნული ისტორიული ფრაგმენტები.

ადამიანი რასაც ქმნის, ცუდია თუ კარგია, არის ხელოვნური ჩარევა გარემოში. ჩვენი ნამოქმედარი ყოველთვის ხიჭვია გარემოს სხეულში, მაგრამ, რაც უფრო ფაქიზი იქნება ეს ძალადობრივი ზემოქმედება, მით უფრო ნაკლებად მტყკივნეული იქნება ეს ხიჭვი.

ადვილი სათქმელია, მაგრამ ძალიან ძნელი გასაკეთებელი. ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება, როცა დავაზიანეთ ბუნებრივი გარემო, თუმცა საპირისპიროს დასახელებაც არ გაჭირდება. მაგალითისთვის მცხეთის ჯვარი ავიღოთ და ბევრი სხვაც და ა. შ.

**— მით უფრო, რომ კვლავ თქვენ დაგესესხებით: „ადამიანის შემოქმედებითი გენის სრული მატერიალიზება ვლინდება არქიტექტურაში საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე“.**

— ასე იყო და ასე იქნება.

**— მაგრამ არა მხოლოდ სამეურნეო ექსპონატების სახით. ესეც თქვენგან ვიცით.**

— დავაზუსტოთ: სამუზეუმო ექსპონატებიც უნდა დარჩეს და სამუშაო, საქმიანი გარემოც უნდა შეიქმნას. ლაპარაკია გონივრულ ბალანსზე.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ ისტორიული თბილისი, მის შიგნით რაც არის — კალასუბანს რომ ვეძახით — მუზეუმად რომ გადავაქციოთ, ამოვტუმბოთ ჰაერი, კოლბაში მოვაქციოთ, ეს ხომ მკვდარი მაკეტი იქნება?

**— რა თქმა უნდა.**

— აი, შარდენის ქუჩა კი ისტორიულიცაა და თანამედროვე ცხოვრებაშიც არის ჩართული. ბალანსის დაცვა ერთადერთი სწორი გზაა: ისტორიული გარემო არ უნდა ჰკარგავდეს თავის სახეს და, ამასთან, დროის შესატყვისად უნდა აცხოვრებდეს ადამიანს, ამდიდრებდეს და ამრავალფეროვნებდეს მის ყოველდღიურ ყოფას.

შარდენის ქუჩა ჩემი დაპროექტებული და განახლებულია.

**— რახან ამ უბანზე ჩამოვარდა სიტყვა, გეტყვით, რომ თბილისელების გარკვეულ ნაწილს არ მოსწონს მისი სახელწოდება.**

— რატომაო?

**— იმიტომ, რომ ამ მოგზაურმა ერთხელ ჩამოიარა თბილისში და ჩვენ მისი სახელი სასწრაფოდ უკვდავყავით...**

— მცდარი დამოკიდებულებაა. ტურიზმს, თქვენს მკითხველებს კარგად მოეხსენება, ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთი, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკისთვის უაღრესად მომგებიანია, მეორე, რომ ხდება შენი კულტურის საზღვრებს გარეთ გატანა. ამასთან, სხვა კულტურის მორგებაცაა შენი ქვეყნისთვის. სახელწოდება, რომელიც ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ერთგვარი ხიდია, თუნდაც საცალფეხო, კულტურათა შორის გადებული.

**— აქვე წამოიჭრება საკითხი ისტორიული ქალაქების ურბანიზებული სტრუქტურებისთვის დროის მოთხოვნილების შესაბამისი სრულფასოვანი ფუნქციონირების ყველა პირობის შესაქმნელად.**



**«გადაიტანს დედაქალაქის მერია აქედან ამ სიმახინჯეს და ეს, ჩემი აზრით, იქნება მატერიალური სიმბოლო იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა!»**

— სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებში ახალი, თანამედროვე ფუნქციების სრულყოფილი დანერგვა რეგენერაციის მეთოდით უნდა მოხდეს. დავიტრაბახებ, რომ ტერმინი რეგენერაცია არქიტექტურის მიმართ ჩემი დანერგილია. რეგენირება-რეკონსტრუქციის სანიმუშო მაგალითი სწორედ შარდენის ქუჩაა. ძველ თბილისში ეს უბანი ბნელი რიგის სახელით მოიხსენიებოდა. სახელოსნოები იყო აქ განლაგებული. დღეს კი იგი სრულად არის ადაპტირებული თანამედროვეობასთან. დროის მოთხოვნის შესაბამისად თბილისში, მაშასადამე, აქაც გაჩნდა კაფეები, ბარები, რომლებიც იგივე დუქნებია, ოღონდ განსხვავებული ფორმით, ე. ი. დარჩა ტრადიცია, ოღონდ დროის შესაბამისი, ადეკვატური ფუნქციით.

სწორედ რეგენერაციის პერმანენტული პროცესის მეოხებით შესაძლებელი გახდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანიზებული სისტემების სიცოცხლისუნარიანობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

**— ბატონო გიგა, რა დამოკიდებულება გაქვთ ტერმინთან „იტალიური ეზო“, რომელსაც სულ უფრო ხშირად იყენებენ თბილისური ეზოების დასახასიათებლად?**

— ძველი თბილისის სულის ბუდეს — თბილისურ საცხოვრებელ სახლს თბილისური ეზოთი ამ გავრცელებულ განსაზღვრებასთან საერთო არაფერი აქვს. დილეტანტების შერქმეულია.

შვიდი წელიწადი ტელევიზიით, პრესით ვიბრძოდი ამ ტერმინის თბილისური გარემოსთვის მისადაგების წინააღმდეგ.

იტალიური ეზო განსაკუთრებული ფენომენია, რომელსაც თბილისურ ეზოსთან, ვიმეორებ, არაფერი საერთო არ აქვს, იტალიური ეზო იტალიური კულტურის ნაყოფია, განსაკუთრებული და უნიკალურ ფენომენია. ქუჩის დღესასწაულები, კარნავალები იტალიელების მოგონილია. ქუჩაში ტარდება ქორწილებიც კი.

საქართველოში პირიქით არის. ჩვენთან მთელი ცხოვრება თბილისურ ეზოშია კონცენტრირებული. არაჩვეულებრივი კონტაქტია ამ სივრცეში მეზობლებს შორის. ამან გადაარჩინა თბილისი. უმძიმეს შუა საუკუნეებში, როცა დანარჩენ მსოფლიოში „გიაურის“ ყიჟინით ქრისტიანებს თავებს კვეთდნენ, თბილისში არც რელიგიურ, არც ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება მაჰმადიანებთან, ებრაელებთან თუ სომხებთან არასოდეს მომხდარა.

ასეთია თბილისური ეზოს ფენომენი. თბილისურმა ეზომ ყოველთვის იცის, თბილისის ქუჩაში რაც ხდება, და — პირიქით, ქუჩა ეზოს ამბების საქმის კურსშია ყოველთვის. თბილისური ეზო ქალაქის მიკრომოდელია.

სრული უგნურება, უცოდინრობა, გაუნათლებლობა, ეროვნული ფსიქიკის არცოდნა და დაკვირვების უნარის არქონაა, როცა თბილისურ ეზოს იტალიურ ეზოს ეძახიან.

**— ჩვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ თქვენ იყავით პროფესიონალ არქიტექტორთაგან პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არა ერთხელ გაილაშქრეთ იმ სიმახინჯეთა წინააღმდეგ, რომელთა ჩათესვლით ცდილობდნენ ყოფილები თბილისის სახისა და სულის წაშლას. მაგალითად დავასახელებ პესკებზე ე. წ. გადაჭრილი მილების, ამ გაუგებრობის, შემოტანას ძველი თბილისის ტრადიციულ ქსოვილში.**

**ეს სიმახინჯე კვლავ დომინირებს თბილისის უბნებში. ვითომ არც შეცვლილა ხელისუფლება. რატომ ხდება ასე, ბატონო გიგა?**

— პასუხი ამ კითხვაზე არ მაქვს. თქვენთვის არ მაქვს პასუხი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საკითხი ლოგიკურ გაგრძელებას მიიღებდა, რადგან ქართული საზოგადოებრიობის უმეტესობის მიერ გამოთქმული პროტესტი მხარდაჭერილი იყო იმ პოლიტიკური ძალების მიერ, რომლებიც არჩევნების შედეგად მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

რატომღაც შემდეგ გაჩუმდა ყველა.

ეს ვერცხლისფერი „მილები“ იმ პესკებს რომ არ უხდება, მეტიც, თავისი ფორმაწარმოქმნით შეურაცხყოფს ჩვენს დედაქალაქს, ეს ერთია. მეორე ისაა, რომ უადგილო ადგილზეა, ვერც ერთი მხრიდან ვერ მიადგები, ვერც მანქანით, ვერც ფეხით. შიგნით როგორია, სხვა საკითხია.

ადრეც მითქვამს და არ დამეზარება გამეორება, რომ შეიძლება ამ ნაგებობის დაშლა და გადატანა ისეთ ადგილზე, სადაც თავის საქმეს, ასე თუ ისე, გააკეთებს, ახალი არქიტექტურისთვის კამერტონიც კი შეიძლება გახდეს, ვთქვათ, დიღმის ან გლდანის რაიონებში, ან სხვაგან, სადაც მთელი განაშენიანება ინკუბატორში გამოყვანილი წიწილებივით ერთფეროვანია და უსახო. იქ შეიძლება რაღაც დადებითი როლი ითამაშოს.

რატომ არის გაჩუმებული დედაქალაქის მერია და, რაც მთავარია, რატომ არ ასრულებს ხელისუფლება თბილისელებისთვის მიცემულ დაპირებას, რომ მოგვაცილებდა ამ სიმახინჯეს, ჩემთვის გაუგებარია.

**— ალბათ, ძვირი ჯდება გადატანა...**

— რა უფრო ძვირია, კულტურულ ღირებულებათა ასეთ შეურაცხყოფასთან შეგუება თუ ამ ნაგებობის დაუყოვნებლივი მოცილებისთვის დახარჯული ათასობით ლარი?!

გადაიტანს დედაქალაქის მერია აქედან ამ სიმახინჯეს და ეს, ჩემი აზრით, იქნება მატერიალური სიმბოლო იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა!

**— ის „გულივერის ველოსიპედი“, რომელიც სასტუმრო „ივერიასთან“ დაგვიდგა ველოსიპედისტმა პრეზიდენტმა?**

— ველოსიპედი უნდა დარჩეს.

**— ხომ არ მომესმა, ბატონო გიგა?!**

— უნდა დარჩეს. მე რომ მკითხოთ, უნდა გადაიტანონ ისეთ ადგილზე, სადაც უფრო მეტად მიიქცევს ფართო საზოგადოების ყურადღებას, რადგან იგი არის ძეგლი იმ ეპოქის, იმ დროის, როცა ამისთანა უაზრობა დედამიწის ზურგზე არსად გაკეთებულა!

**— „სირცხვილის ბოძის“ მსგავსი რამ?**

— ასეც შეიძლება ითქვას.

**— კიდევ ერთხელ გადავშალი თქვენს წიგნს და ერთ პასაჟს წავიკითხავ: „არქიტექტურა უძლიერესი ინსტრუმენტია ადამიანის განათლების საქმეში, ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ყოველივე ამის გამო გუშინდელი არქიტექტურული პროდუქცია ილუსტრაციაა გუშინდელი ცხოვრებისა, ხოლო ხვალინდელი არქიტექტურა კი არის პარტიტურა სამომავლო ქცევისა“.**

**პირდაპირ გკითხავთ, ის არქიტექტურა, რომელიც წინა 9 წლის განმავლობაში დაამკვიდრეს თბილისში, არის „პარტიტურა ჩვენი სამომავლო ქცევისა“?**

— მეც პირდაპირ გიპასუხებთ: არა, არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მსუბუქ მოდას იყო აყოლილი და მისი ეფექტებით ნაკარნახევი. რაც მიშამ და უგულავამ გააკეთეს თავიანთი ხუშტურების კარნახით, თავიანთი ხოშის დასაკმაყოფილებლად მოიმოქმედეს.

ხუშტური მორიკინებას ნიშნავს, მორჩა და გათავდა!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ახლა მათი საქმეც გათავდა.



შარდენის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია

მსოფლიო

## ებოლას შრატი რამდენიმე კვირაში დამზადდება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) აცხადებს, რომ უახლოესი კვირების განმავლობაში დასავლეთ აფრიკაში გაგზავნის ახალ შრატს, რომელიც სასიკვდილო ვირუსისგან განკურნებული პაციენტებისგან მიიღეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის — მარი-პოლ კინის მტკიცებით, ლიბერიის ლაბორატორიებში შეგროვდა ის ანტიგენი ნიმუში, რომელსაც ებოლას ციებ-ცხელების დამარცხება შეუძლია. ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე კინმა აღნიშნა, რომ წარმატებულად მიმდინარეობს ვირუსის საწინააღმდეგო ორი ვაქცინის შემუშავება. ოფიციალური მონაცემებით, ებოლას ეპიდემიამ ლიბერიაში, გვინეასა და სიერა ლეონეში უკვე შეიწირა 4500-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარიონეტი ხელისუფალნი და „მეხუთე კოლონა“ დღენიადაგ იმის ცდაში არიან, გაუკუღმართებულად წარმოაჩინონ ქვეყნის აწმყო და წარსული. ამახინჯებენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, აკნინებენ ამ უანალოგო მასშტაბის ომში საბჭოთა ხალხისა და გამარჯვების სულისჩამდგმელის — სტალინის როლს.**

# საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის, ქ. თბილისის ვეტერანთა კავშირისა და საერთაშორისო საზოგადოება «სტალინის» პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის

# მიმართვა

## საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს!

**ბატონებო!**

მოგმართავთ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 70-ე წლისთავის იუბილისთვის საზეიმო მზადებისა და დედასამშობლო საქართველოსთვის უაღრესად რთულ და დრამატიზმით აღსავსე ჟამს.

2015 წლის 9 მაისს პატიოსანი, საღი აზროვნების ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ კაცობრიობის ისტორიაში არნახული მასშტაბის ომში პროგრესული ძალების გამარჯვებას, ადამის მოდგმის ხსნას სატანისგან.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დიდია ქართველთა წვლილი, გადამწყვეტი კი არის გენია ქართველი კაცისა, რომელმაც იკისრა კაცობრიობის ხსნის ისტორიული მისია. საუბედუროდ, გენიოს შვილთა მშობელ საქართველოს უმძიმესი დღეები უდგას. ყოფნა-არყოფნის ესოდენ დიდი საფრთხე იშვიათად თუ ახსოვს კოლხ-იბერთა 40-საუკუნოვან ისტორიას.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც დასავლეთის მიერ ხელდასმულ, „დემოკრატიულად“ არჩეულ ხელისუფალთა სათარეშო ასპარეზად იქცა გამორჩეული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების საქართველო.

**უცხო ძალების ლოცვა-კურთხევით მოსულმა ხელისუფალმა ნახევრადკრიმინალური სამხედრო ფორმირებები შეასია ერთიანი საქართველოს შექმნის ბაირახტარ აფხაზეთს და ჩამოაცილა იგი საქართველოს.**

მარიონეტმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღამით ბარბაროსულად დაბომბა ცხინვალი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დე იურედ აღიარებას მწვანე შუქი აუნთო. ეს იყო საკუთარი ქვეყნის კლასიკური ღალატი, როდესაც საქართველოს მეთაურებმა სავარძელს შესწირეს სამშობლოს ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

**2008 წლის აგვისტოს სამხედრო ავანტიურით საქართველომ დაკარგა თავისი ძირძველი მიწები — დალის, ქსნისა და ლიახვის ხეობები. საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით გაფორმდა ე. წ. მედვედევ-სარკოზის საზავო დოკუმენტი, რომელიც გარანტია იყო მხოლოდ პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური გუნდის სკამისა და მდგომარეობის შენარჩუნებისა.**

ქართველი ხალხის უბედურება ამით არ ამოწურულა. გრძელდება მათი ზნეობრივი გარყჩვნისა და დეგრადაციის პროცესი. ეროვნულობისგან განმდგარი ყოფილი ხელისუფლების, „მეხუთე კოლონად“ ქცეული რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონტროლს დაქვემდებარებული მედიის მიერ დეზინფორმირებული მოსახლეობა გზააბნეულია, ვერ გაურჩევია ავ-კარგი. დავიწყებას ეძლევა ისეთი ცნებები და კატეგორიები, როგორიცაა: ეროვნულობა, პატრიოტიზმი, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, ღირსება, სინდისი, პატიოსნება...

***კატასტროფულია ქართული გენოფონდის ზარალი. ანტიეროვნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად, ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ დაკარგა 2-მილიონამდე შვილი. ასეთი დემოგრაფიული ზარალი 20 საუკუნის განმავლობაში არ მიუყენებია გარეშე მტერს საქართველოსთვის — „ათასი ჩინგიზ, მაჰმად ხანისა თუ თემურ-ლენგის“ შემოსევებს. შედეგად ქართველებმა მყარად დავიმკვიდრეთ ადგილი იმ ერების პირველ ხუთეულში, რომლებსაც გაქრობა ემუქრებათ.**

***საფრთხეშია აჭარა, სადაც სააკაშვილის ძალისხმევით „დიდი თურქობის“ ახალი ერა დაიწყო — დღეს უკვე ბათუმის მოსახლეობის ერთ მესამედს უცხოტომელები შეადგენენ.**

***ნადგურდება ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე საიმედო დასაყრდენი — ქართული სოფელი. დაიცალა იგი მოსახლეობისგან. ბოლო 25 წლის განმავლობაში აქ ახალაშენებულ სახლს კი არა, ახალშეღებილ ღობესა და ჭიშკარს ძლივს იპოვით. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის პრესტიჟული ადგილები აივსო მტაცებლობით ნაშოვნი ფულით ნაგები ფეშენებელური ვილებითა და სახლებით.**

***საუკუნეებით დავხიეთ უკან ქართული მეცნიერება, გაქრობის პირასაა განთქმული ქართული სამეცნიერო აზრი და ტექნიკური ინტელიგენცია. ქვეყანაში, რომელიც თვითმფრინავებს, ელმავლებს, ავტომანქანებს, ავტომატური მართვის ჩარხებს, კოსმოსურ ტექნიკას უშვებდა, დღეს სარეცხი ფხვნილი, საღებავი, კბილის ჯაგრისი და სხვა მსგავსი წვრილმანი ვერ გვიწარმოებია.**



***ანტიქართული, მარიონეტი ხელისუფლება არ დაკმაყოფილდა სახალხო ქონების მიტაცებით და მათ მიერვე მიღებული ანტიკონსტიტუციური, ანტიეროვნული კანონით ქართული მიწების უცხოელებისთვის მიყიდვას მიჰყო ხელი.**

ხალხისა და ქვეყნის მტრებს არ აქვთ და არც მივცემთ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის გაყიდვის უფლებას. იგი ქართველთათვის ღვთისგან ბოძებულია და ამას არც ქართველობა და არც ღმერთი არ შეგვინდობს!

წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ სანახევროა ის ცვლილებები, რომლებიც ახალ ხელისუფლებას შეაქვს ამ ანტიქართულ საკანონმდებლო აქტში. მოგიწოდებთ, სრულყავით და ეროვნული გახადეთ იგი.

**მარიონეტი ხელისუფალნი და „მეხუთე კოლონა“ დღენიადაგ იმის ცდაში არიან, გაუკულმართებულად წარმოაჩინონ ქვეყნის აწმყო და წარსული. ამახინჯებენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, აკნინებენ ამ უანალოგო მასშტაბის ომში საბჭოთა ხალხისა და გამარჯვების სულისჩამდგმელის — სტალინის როლს.**

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის ნათელი დადასტურებაა ქართველ ვეტერანთა მდგომარეობა. **დღეს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული არსად ისე არ არის დამცირებული და დაუფასებელი, როგორც საქართველოში, რომ არაფერი ვთქვათ მათ გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიურ პირობებსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დაბალ პენსიებზე. ქართველ ომის ვეტერანებს შესაკრები ადგილიც კი არ აქვთ. ერთადერთი, რაც პენსიონერებს გარანტირებული აქვთ, ესაა ნაგვის ბუნკერებში საკვები ნარჩენების, გადაყრილი ტანსაცმლის ქექვა და სიცოცხლის ბოლომდე დუხჭირი ცხოვრება.**

უანალოგოა საქართველოს კანონმდებლობა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის პირებზე პენსიის ოდენობის განსაზღვრითაც. **მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობის პენსია 150 ლარია, პარლამენტის ყოფილი წევრისთვის იგი 560, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის 1200 ლარს შეადგენს,** კანონს კიდევ უფრო დისკრიმინაციულს ხდის ის, რომ დღევანდელი პარლამენტის ფუნქციის მქონე, ყოფილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პენსია მხოლოდ 150 ლარია.

**უპრეცედენტო და ანტიკონსტიტუციურია კანონი, რომელიც უკრძალავს საჯარო სამსახურში დასაქმებულ სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ ბენეფიციარებს ამ სოციალური სიკეთით სარგებლობის უფლებას.**

ჩვენთვის ცნობილია, რომ პარლამენტში უკვე შემოსულია საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საწინააღმდეგო ამ კანონის შეცვლის პროექტი, რომ ამ საკითხებზე არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი დასკვნაც.

გთხოვთ, პარლამენტმა დროულად იმსჯელოს ქვეყნისთვის ამ სამარცხვინო კანონის შეცვლის თაობაზე და ადამიანურ დონეზე აიყვანოს იგი.

**დისკრიმინაციისა და ანტიდემოკრატიის აშკარა გამოხატულებაა საკანონმდებლო აქტი ე. წ. თავისუფლების ქარტია, რომელშიც ერთმნიშვნელოვნადაა აკრძალული საბჭოთა პერიოდისა და ფაშიზმის დამამარცხებელი საბჭოთა არმიის სიმბოლოები. შედეგად, უმოწყალოდ ნადგურდება გამარჯვებაში ყველაზე დიდი როლის შემსრულებელი კაცის ძეგლები და ბიუსტები, კაცისა, რომელმაც საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი კაცობრიობის ყველა დროის უდიდეს ადამიანთა ასეულში; კაცისა, რომლის პორტრეტსა და ბიუსტებს დღესაც ვხვდებით თვით მისი იდეების მოწინააღმდეგე დასავლეთის ქვეყნებში.**

შევახსენებთ ყველას, რომ ხელისუფლების მიერ საკუთარი ისტორიის ასეთი უპატივცემულობა უპრეცედენტოა, მსგავსი რამ არ ყოფილა ტროცკის მიერ ორგანიზებული „წითელი ტერორის“ პერიოდშიც კი.

**გთხოთ, აგვიხსნათ და ფართო საზოგადოება გაარკვიოთ, ვისი ნებითა და ბრძანებით აიღეს სტალინის ძეგლი გორში, ვისი სურვილით ააფეთქეს დიდების მემორიალი ქუთაისში, რომელსაც უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა. რატომ არ იქნა გორის ცენტრიდან მუხანათურად აღებული სტალინის ძეგლი მისივე მუზეუმის ეზოში გადატანილი, რასაც ხელისუფლება გვპირდებოდა და რისთვისაც ფუნდამენტი უკვე მომზადებულია; მით უფრო, რომ არსებობდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათანადო გადაწყვეტილება.**

მოვითხოვთ, საქართველოს პროკურატურამ დაიწყოს შესწავლა და გაარკვიოს ქუთაისში დიდების მემორიალის დანგრევის კანონიერება.

ზოგიერთმა „დემოკრატმა“, „მეხუთე კოლონამ“ და კონტროლს დაქვემდებარებულმა საინფორმაციო საშუალებებმა ყოველდღიურ საქმიანობად გაიხადეს სტალინის ლანძღვა და მასზე ათასგვარი ჭორის გავრცელება. **ზოგიერთმა ანტისტალინელმა, რომელსაც დაბადებიდან ისედაც არ ეტევა ენა პირში, სტალინი ვაჟაფშაველას ქორწინების გარეშე შვილად წარმოაჩინა, ხოლო თვით ეს გენიალური პოეტი საზოგადოებას წარუდგინა, როგორც სექსუალური მანიაკი.** ამ ანტისტალინელთა ზღვარგადასული უნამუსობის გამო, ალბათ, საფლავში ბორგავს ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი, პიკასო და სტალინის პიროვნების ღრმად მცოდნე ათასობით ადამიანი. სტალინის მოძულეთა ერთმა ნაწილმა იცის, მაგრამ საჭიროდ ვთვლით, შევახსენოთ ენტონი იდენის სიტყვები: „საპლანეტათაშორისო ომი რომ დაიწყოს და მოლაპარაკებისთვის ყოველი პლანეტიდან მხოლოდ თითო კაცი მიიწვიონ, პლანეტა დედამიწიდან სტალინი უნდა გაიგზავნოს“.

მარიონეტებისა და „მეხუთე კოლონის“ სიტყვა და ქმედება ჰგავს შეშინებულ ძაღლს, მთვარეს რომ უყეფს. თქვენ კი არა, მილიონობით თქვენისთანა სტალინს ვერც ვერაფერს დააკლებს და ვერც შეჰმატებს. ვერავითარი ქვის, ლითონისა თუ ბეტონის ძეგლის დანგრევა ვერ წაშლის სტალინისადმი სიყვარულის იმ ძეგლს, რომელიც ხალხის გულში სამარადისოდ დგას. ბელადის მიმართ ყეფასა და კნავილს კარგად ხსნის ქართული ანდაზა: „დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა ზოგჯერ ღრუბელი შეუცვლის ფერსა“, ხოლო მზე, „მზე ჩავა, მზე კვლავ ამოვა, უფრო დიდი და ჩახჩახა“.

**ზოგადსაკაცობრიო დღესასწაულს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლის მოახლოებულ იუბილეს ვულოცავთ აფხაზ და ოს ხალხს. ბევრმა აფხაზმა და ოსმა დადო თავი წმინდა იდეალებისთვის, ბევრი მათგანი გმირის შარავანდედით მოსილი დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს. საუკუნეებს მოაქვს ჟამთასვლით გამოცდილი ჩვენი ძმობა და მეგობრობა.**

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება დიდ სამამულო ომში საქართველოდან გაწვეული სხვადასხვა ეროვნების — აფხაზების, ოსების, რუსების, სომხების თუ აზერბაიჯანელების — ერთობლივი გმირული ბრძოლისა, რომელთა შემართება და თავდადება ლეგენდად გადაეცემა მომავალ თაობებს. აფხაზმა მეზღვაურმა რაჟდენ ბარციცმა, პოლკის ოცეულის მეთაურმა, ოსმა ივანე ცხოვრებოვმა, ასევე ოსმა მფრინავმა მაგუბა სარტლანოვამ, სომეხმა აშოტ ასრიანმა ქართველ თანამემამულეებთან ერთად ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურეს.

**ჩვენო დებო და ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო! გვერწმუნეთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის სამარცხვინო ომი არ იყო ქართველი ხალხის ნება. გთხოვთ აფხაზ და ოს უხუცესებს, გამოიჩინოთ თქვენი ნაქები სიბრძნე და ავტორიტეტი, რათა აღვადგინოთ ჩვენი ძმობა, მეგობრობა, ნათესაობა და მოყვრობა; მივუტევოთ ერთურთს შეცდომები, შევუნდოთ ცოდვები; ერთად აღვნიშნოთ ჩვენი საერთო გამარჯვების 70 წელი.**

გვწამს და გვჯერა, რომ ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხის შერიგება მხოლოდ სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი. სიმართლისთვის ბრძოლაში გვიგულეთ თქვენ გვერდით.

**ამ საყოველთაო დღესასწაულისთვის მზადების დღეებში სიყვარულით მივესალმებით და ტრადიციული მეგობრობის ხელს ვუწვდით საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მშრომელებს; გილოცავთ, ძმებო და დებო, ჩვენს საერთო** ▶

**მხოლოდ ბრიყვები და პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალები თუ მიიჩნევენ საქართველოში ამერიკელ სენატორებს „მაღალ დონედ“ და ხელისუფლებაში მოსასვლელად მათგან მწვანე შუქის ანთებას ელიან. ის, რაც რუსეთთან მტრულმა პოლიტიკამ დაანგრია, ამერიკა-ევროპასთან კეკლუცობასა და სიყვარულობანას თამაშს არ აღუდგენია, პირიქით — უფრო მეტად ვეშვებით უზნეობის ჭაობში სწორედ დასავლეთის რეკომენდაციების მონური მორჩილებით შესრულების ფონზე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღესასწაულს — დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70-ე წლისთავს.**

განსაკუთრებით პატივს მივაგებთ დიდ რუს ხალხს, რომელმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო და გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშიზმის დამარცხებაში.

ჩვენო რუსო ძმებო! გთხოვთ, გადავდოთ გვერდზე ყოველგვარი წყენა, ერთმანეთისთვის მიყენებული გულისტკენა და აღვადგინოთ ქართველი და რუსი ხალხების ისტორიული მეგობრობა, მოვშალოთ ყოველგვარი სასაზღვრო და პოლიტიკური ბარიერი, რამეთუ იგი არ შეესაბამება ჩვენი ხალხების ნებასა და ტრადიციულ ურთიერთობებს.

საქართველოს ვეტერანები იმედს გამოვთქვამთ, რომ მოძმე უკრაინაში „ფარული ხელის“ მიერ არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობით გამოწვეული კრიზისი მშვიდობიანად და სამართლიანად გადაწყდება. გაიმარჯვებს სიმართლე. გვწამს და გვჯერა, რომ ერთად ვიზეიმებთ ფაშიზმზე გამარჯვებას.

**ბატონო საქართველოს ხელისუფალნო!**

**საქართველოს უპირველესი საზრუნავის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად აუცილებელია ხელისუფლების, პოლიტიკური ძალებისა და ხალხის მტკიცე კავშირი და ურთიერთთანადგომა.**

**შვებით ამოისუნთქა საქართველომ, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი მოიშორა. იმედი გაუჩნდა ხალხს, მაგრამ იმედის ეს ნაპერწკალი თანდათან ქრება. სატანის ფესვები კვლავაც ღრმად არის გადგმული და მისი ნაშიერი ბევრია არა მხოლოდ ოპოზიციაში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაში, არამედ თვით ხელისუფლებაშიც.**

**მოვითხოვთ, ბოლომდე ებრძოლოთ ეშმაკის ამ მოციქულებს, გულთან მიიტანოთ ჩვენი რჩევები და გაწმინდოთ საქართველო უღირსთაგან. სძლიეთ ქართველთა უკურნებელი სენი ურთიერთმტრობა, შუღლი, ღალატი, იბრძოლეთ სამართლიანობის აღსადგენად!**

„გახსოვდეთ, ვისი გორისა ხართ“! ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოს ომის ვეტერანთა და პენსიონერთა მილიონიანი არმია ყველაზე საიმედო და აქტიური ამომრჩეველია, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა დიდ ნაწილს კვლავაც შესწევს უნარი, მტკიცედ დადგეს სამშობლოს სადარაჯოზე, ემსახუროს და მხარში ედგას ეროვნულ საქმესა და ხელისუფლებას.

გვიგულეთ თქვენ გვერდით!

გაერთიანებული სხდომის სახელით,

**აიკ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ გამგეობა. ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმი**

# ხელისუფლების ცვლილება შედეგს მანამ არ მოიტანს, სანამ ევროამერიკული იმპერიალიზმის «დემოკრატიული» კლანჭებიდან თავს არ დავიხსნით!

**საქართველოზე შეყვარებულმა ცნობილმა რუსმა მწერალმა ვასილ დიმოვმა, რომელმაც ქართველებს წიგნიც კი უძღვნა — „თბილისიმო“, წლების წინათ მკითხა: „Чем вы были несвободные?“. დღეს მინდა, მის შეკითხვას ვუპასუხო: — ხელისუფლების ლანძღვაში, ლეგალიზებულ კრიმინალსა და ცხოვრების ნორმად უზნეობის დამკვიდრებაში.**



ევროპის მორალი, რომლისკენაც ხელისუფლება მიისწრაფვის, ასეთია: დავისჯებით, თუ ტრადიციული მართლმადიდებლობის დაცვას შევეცდებით და ქრისტეს გზით ვივლით; თუ ვეცდებით, შევინარჩუნოთ ეროვნული ტრადიციები და ქართველობა; თუ არატრადიციული ორიენტაციის მიმართ გამოვხატავთ პროტესტს.

დღეს სატელევიზიო სივრცეში მიზანმიმართული პროპაგანდა მიმდინარეობს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაზე. მოდურ ტენდენციად იქცა ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან ბრიუსელსა და ამერიკაში სენატორებთან შეხვედრები და მათთან ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პრიორიტეტებზე საუბარი. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, თავისი თვალსაზრისის გამოთქმისა, მაგრამ საკითხავია, როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილებები ქვეყნის მომავალზე, რომელიც ბედნიერების ვირტუალურ ილუზიას უქმნის გაბრიყვებულ ადამიანებს.

არ ლაპარაკობენ იმ შესაძლო უარყოფით შედეგებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულებამ შეიძლება მოუტანოს ქვეყანას აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვასთან ერთად. ღირს კი ამ ფასად ევროკავშირის წევრობა?

მსოფლიოს ერთ-ერთმა დიდმა ანალიტიკურმა ცენტრმა — Ipsos Mon-მა ევროკავშირის წევრ 10 ქვეყანაში ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 68% თვლის, რომ მათი ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის; ნეგატიურად აისახა ევროკავშირში გაერთიანება სოფლის მეურნეობასა და, საერთოდ, ეკონომიკაზე. მოსახლეობა განსაკუთრებით აპროტესტებს ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვას, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთი ერის სასარგებლოდ.

„ცნებები — **ხალხი** და **ერი** ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ“, — დაუფარავად ამბობს ევროპის საბჭოს თავმჯდომარე **ჰერმან ვან რომპეი.**

ოპოზიციური პარტიის ლიდერები და ექსპერტები დადებითად აფასებენ ხელისუფლების (და არა საზოგადოების) არჩევანს, რადგან ევროკავშირისა და ამერიკის გავლენის სფეროს გაფართოება ბუნებრივ მოვლენად ითვლება, ხოლო რუსეთის მიერ საბაჟო კავშირის შექმნა — ექსპანსიად, რომელიც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის. სინამდვილეში ეს ქვეყნები საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნასა და ქვეყნის რუსეთის სამიზნედ გადაქცევას ესწრაფვიან. **აშშ-მა არაერთხელ მიუთითა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობაზე, მაგრამ რეალურად დაბლოკა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი სოჭში: როცა ამერიკელ ფაშას — რიჩარდ ნორლანდს კალთაზე სამთხვევად და ნებართვის მისაღებად ეახლა, უარი მიიღო: „შეგიძლიათ, ყველას ევაჭროთ, ვაშინგტონის გარდა, გადაწყვეტილებას არ შევცვლით!“ — განუცხადა ღირსებაშელახულ პრეზიდენტს ნორლანდმა.**

„ნატო კარგია, მაგრამ არ გვიღებენ“, — განაცხადა ერთმა პოლიტიკოსმა. არადა, არც ერთი ეროვნული ძალა არ თვლის, რომ ნატო კარგია, რადგან ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად, რომელიც, ამერიკის ინტერესების გათვალისწინებით, ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შეცვლაზეა ორიენტირებული გამოგონილი პროვოკაციული მიზეზებით.

საერთაშორისო კვლევითი ცენტრის — Gallup international-ის — მიერ 65 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი მსოფლიოს ყველა რეგიონში ამერიკას საფრთხის შემცველ ქვეყნად მიიჩნევს, რაც აიხსნება სხვა ქვეყნების კონფლიქტებში ჩართვით და უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტით.

ასევე, The News-ის კვლევებმა ცხადყო, რომ ამერიკა 50-ზე მეტი ქვეყნის სამხედრო კონფლიქტში 130-ჯერ ჩაერია. აშშ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა ბირთვული იარაღი. აშშ მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მიიჩნევა აგრესორად, რომელიც თავის იდეოლოგიას ახვევს ხალხს თავს. ანალოგიური პოლიტიკა ტარდება საქართველოს მიმართაც და ცალკეული „მაღალი დონის“ სენატორები, რომლებიც საქართველოს წარმომადგენლებს „ცისფერი“ ღიმილით ხვდებიან, არაფერს წყვეტენ. **მხოლოდ ბრიყვები და პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალები თუ მიიჩნევენ საქართველოში ამერიკელ სენატორებს „მაღალ დონედ“ და ხელისუფლებაში მოსასვლელად მათგან მწვანე შუქის ანთებას ელიან.**

**არ ლაპარაკობენ იმ შესაძლო უარყოფით შედეგებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულებამ შეიძლება მოუტანოს ქვეყანას აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვასთან ერთად. ღირს კი ამ ფასად ევროკავშირის წევრობა?**

ის, რაც რუსეთთან მტრულმა პოლიტიკამ დაანგრია, ამერიკა-ევროპასთან კეკლუცობასა და სიყვარულობანას თამაშს არ აღუდგენია, პირიქით — უფრო მეტად ვეშვებით უზნეობის ჭაობში სწორედ დასავლეთის რეკომენდაციების მონური მორჩილებით შესრულების ფონზე.

ნატოს აწ უკვე ყოფილი გენმდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი გვმოძღვრავდა: „ორი ათასი წლის წინათ შეთხზული ზღაპარი იესო ქრისტეს შესახებ უნდა დამთავრდეს!“ — ანუ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მართლმადიდებლობაზე, ტრადიციებზე, მორალსა და ზნეობაზე. ამ ცნობიერების მქონე ორგანიზაცია ჩვენი მეგობარია?

ამერიკელები კონკრეტულ ხელისუფლებას მანამ უჭერენ მხარს, სანამ მათ ინტერესებს ატარებს. ამისთვის კი, როგორც ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი აღნიშნავს: „ამერიკას სურს, საქართველოში მუდმივად არეულობა იყოს, რადგან თავისი პოლიტიკის გასატარებლად სწორედ ასეთი საქართველო აძლევს ხელს“.

ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, თუ კავკასიაში ორი მოთამაშე არ იქნება (რუსეთი და ამერიკა) და ამერიკა წავა კავკასიიდან, საქართველო ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს. პრინციპულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან სწორედ ევროპისა და ნატოს ძახილმა დაგვაშორა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. დაგვავიწყდა, რომ რუსეთთან 200-წლიანი ურთიერთობის პერიოდში არც ტერიტორიული საფრთხეები ემუქრებოდა საქართველოს, არც ზნეობრივი გადაგვარება.

ზოგი ამბობს, რომ სსრ კავშირის პერიოდში ჩვენი ტრადიციების ნაწილი დაიკარგა, მაგრამ არაფერს ამბობენ, როგორ ცდილობდნენ და ცდილობენ დასავლეთის ქვეყნები ჩვენი ზნეობის, ცნობიერებისა და იდეოლოგიის შეცვლას აგერ უკვე 25 წლის განმავლობაში. ევროპა-ამერიკისკენ სწრაფვით ჩვენს ქართულ-ეროვნული ფასეულობებს უგულებელვყოფთ, რისი დასტურიცაა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის — ჯო ბაიდენის განცხადება: „არ მაინტერესებს თქვენი კულტურა!“

აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში ჯეკ მეტლოკი აღნიშნავს, რომ ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლები უგულებელყოფენ ნებისმიერ ტერიტორიულ მთლიანობას. მათ დაარღვიეს სერბეთის ტერიტორიული მთლიანობა, მხარი დაუჭირეს სუდანიდან — სამხრეთ სუდანის, ეთიოპიიდან — ერითრეისა და ინდონეზიიდან — ტიმორის გამოყოფას.

ჩვენი „მეგობარი“ ევროპა-ამერიკის პოლიტიკური წრეები ე. წ. ციხის კადრებს რომ არ შეუშფოთებია, ამას მოწმობს ევროკავშირის რეზოლუცია, აგრეთვე, ამერიკელი სენატორებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართვაც.

ჩვენი „მეგობრისთვის“ ფაშიზმი უცხო რომ არ არის, ეს ბაღდადის მახლობლად აბუგრეიბის ციხის კადრებმა და ნაწამებ-შეურაცხყოფილი პატიმრების ფონზე ამერიკელების მიერ გადაღებულმა სურათებმაც ცხადყვეს. მსოფლიო შეძრა ამერიკის ცსს-ს მიერ სხვადასხვა ქვეყნის ციხეებში ჩატარებულმა წამების ექსპერიმენტებმა, ფოსფორიანი ბომბების გამოყენებამ ერაყში (2003-2004წწ.), რომელიც ძვლამდე წვავს ხორცს და 1980 წლის გაეროს კონვენციით აკრძალულია. ეს მცირე ჩამონათვალია იმ დანაშაულებისა, რომლებიც ამერიკამ ჩაიდინა სხვადასხვა ქვეყანაში.

2007 წელს მომიტინგეთა წინააღმდეგ საქართველოშიც გამოიყენეს აკრძალული ფსიქოტრონული იარაღი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ „მეგობარი“ ამერიკელებისგან მიიღო. წამების მეთოდებიც მათგან გადმოიღეს და გაითავისეს.

საქართველოს ეროვნული გმირი, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** ევროპა-ამერიკას „მეგობრად“ არ მიიჩნევდა. მან „ნაროდნაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში (1992წ. სანკტ-პეტერბურგი) ნატოს სახელმწიფოებში დამკვიდრებულ მტაცებლურ მიდგომას ევროამერიკული იმპერიალიზმი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველოში გადატრიალება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯეიმს ბეიკერისა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსი) ლოცვა-კურთხევით მოხდა, რადგან არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ დავუშვით საქართველოს კოლონიად ქცევა და ვისწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებისა და ეროვნული სულისკვეთებით ხალხის შეკავშირებისკენ, ხოლო ოფიციალური დასავლეთი ებრძვის ყოველივე ეროვნულს.

როცა ქართველი პოლიტიკოსები ამ ძალებს „მეგობრებად“ მოიხსენიებენ და მათთან კონსულტაციებს მართავენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტებზე, სწორედ ეროვნულ ღირებულებებს ემიჯნებიან საქართველოში.

ბრძენკაცს უთქვამს: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“. ვინ ვართ ჩვენ? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ქართველი საზოგადოებისთვის მიმინდვია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ირაკლი ღარიბაშვილი ქართული ცნობიერების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის, პრეზიდენტისგან განსხვავებით, და **ხელისუფლების ცვლილება შედეგს მანამ არ მოიტანს, სანამ ევროამერიკული იმპერიალიზმის „დემოკრატიული“ კლანჭებიდან თავს არ დავიხსნით!**

**იზა თამაზაშვილი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგიერთი გათვლებით, საერთო ჯამში, კერძო სამხედრო კომპანიების ინდუსტრია დღეს 20 ათასამდე ისეთ თანამშრომელს შეკრებს, რომელსაც ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლა შეეძლება.**

# კერძო სამხედრო კომპანიები კვლავ ომს ითხოვენ



**20 ოქტომბრის მონაცემებით, კოალიციის ძალებმა 541 საჰაერო დარტყმა მიაყენეს ისლამური ხალიფატის პოზიციებს ერაყსა და სირიაში. საჰაერო ომზე უკვე დაიხარჯა ერთ მილიარდზე მეტი დოლარი, მაგრამ ისლამისტების წინააღმდეგ ომში რეალური გარდატეხა ჯერაც არ მომხდარა. ანბარის პროვინციასა და ბაღდადის მისადგომებთან სიტუაცია მხოლოდ უარესდება.**

ანბარის პროვინციის ერაყელი მაღალჩინოსნები დახმარებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ დღეისათვის ბაღდადის შტურმისთვის უკვე მზადაა ხალიფატის 10 ათასამდე მებრძოლი, რომლებსაც დაახლოებით 1500 ამერიკელი დაუპირისპირდება. ამ 1500-დან დაახლოებით მესამედი მრჩევლები და ინსტრუქტორები არიან, დარჩენილი 1000 მებრძოლი კი მთელ ქვეყანაშია მოფანტული და დაკავებულია ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის, ბაღდადში აშშ-ის საელჩოს, ბასრეში, ერიბლესა და ქურთისტანში აშშ-ის საკონსულოების დაცვით.

მიუხედავად ერაყელთა მხრიდან დახმარებისკენ მოწოდებებისა, აშშ და მისი მოკავშირეები არ ჩქარობენ ქვეყანაში სახმელეთო ჯარების შეყვანას. სექტემბრის დასასრულს Blackwater-ის დამაარსებელმა ერიკ პრინსმა აქტიურად დაიწყო ხალიფატთან საომრად კერძო სამხედრო კომპანიების გაგზავნის პროპაგანდა. იგი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე ასეული დარტყმის მისაყენებლად კოალიციის თვითმფრინავების ათასობით გაფრენა არაეფექტური სანახევრო ზომებია და პირდაპირი მნიშვნელობით ფულის ჰაერში გადაყრა. მისი აზრით, საჭიროა კერძო სამხედრო კომპანიებისგან დაუყოვნებლივ შეიქმნას საექსპედიციო კორპუსი, რომელიც დაკავდება საბრძოლო მოქმედებებით ხმელეთზე და ქალაქებში წმენდებით. ერიკ პრინსი მზადაა, დაიწყოს ამგვარი ძალის შექმნა და პროექტში Blackwater-ის ძველი რაზმი ჩართოს.



სექტემბრის დასაწყისში ერიკ პრინსმა ასევე მკაცრად გამოხატა საკუთარი პოზიცია ბარაკ ობამას ადმინისტრაციის უსუსურობასთან დაკავშირებით. პრინსმა განაცხადა, რომ, ობამა თუ მის ბიზნესს (Blackwater-ს) არ გაანადგურებდა, დასავლური კერძო სამხედრო კომპანიები დიდი ხნის ჩასულები იქნებოდნენ ერაყში, ხალიფატთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებსაც გადაწყვეტდნენ და სახლშიც დაბრუნდებოდნენ მედიაში ყოველგვარი ხმაურის ატეხვის გარეშე. პრინსმა კონკრეტულად თქვა ის, რომ ხალხი კონგრესმენებს ფულს უხდის, რომ მათ იბრძოლონ და იჩხუბონ ამერიკული ღირებულებებისთვის და ურჩია კიდეც კონგრესმენებს, ასწიონ საჯდომები და ჩხუბი დაიწყონ.

**2003-დან 2009 წლამდე 93 კერძო სამხედრო კომპანიამ, საერთო ჯამში, მხოლოდ დაცვით ფუნქციაზე 6 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა, ანუ ექვსჯერ მეტი, ვიდრე აშშ-მა მხოლოდ წელს დახარჯა ერაყისა და სირიის დაბომბვაზე**



ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში აშშ-ის სპეციალური გენერალური ინსტრუქტორის მონაცემებით, 2009 წელს ერაყში კერძო სამხედრო კომპანიების 150 000-ზე მეტი თანამშრომელი იმყოფებოდა (ცხადია, საბრძოლო მოქმედებებში მათი მხოლოდ მიზერული ნაწილი მონაწილეობდა). 2003-დან 2009 წლამდე 93 კერძო სამხედრო კომპანიამ, საერთო ჯამში, მხოლოდ დაცვით ფუნქციაზე 6 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა, ანუ ექვსჯერ მეტი, ვიდრე აშშ-მა მხოლოდ წელს დახარჯა ერაყისა და სირიის დაბომბვაზე. დაახლოებით იგივე ბიუჯეტები იყო კერძო სამხედრო კომპანიების სამხედრო ფუნქციებისთვის 2009-2014 წლებში. 2014 წლის მაისში ობამამ კონგრესს სთხოვა, გამოეყო კიდევ 5 მილიარდი დოლარი ახლო აღმოსავლეთში ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ფულით უცხოელი სპეციალისტების სწავლება უნდა დაეწყოთ.

ამ ფულის გამომუშავების მსურველები საკმარისზე მეტნი არიან. კერძო სამხედრო კომპანიების თანამშრომლებს შორის ერაყში ხელმეორედ წასვლასთან დაკავშირებით პოზიტიური დამოკიდებულებაა. მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა: მომზადებული სამხედროების რა რაოდენობას შეაგროვებს კერძო სამხედრო სექტორი იმ ხალიფატის წინააღმდეგ, რომლის შეიარაღებული მომხრეების რაოდენობა ცსს-მ დაახლოებით 20-30 ათასი ადამიანით შეაფასა?

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ავღანეთში 2014 წლის შემოდგომის დასაწყისში დაახლოებით 51 ათასი კონტრაქტორი იმყოფებოდა და მათგან მხოლოდ სამ ათასს ჰქონოდა საომარ მოქმედებებთან უშუალო კავშირი. დანარჩენები დაკავებულნი იყვნენ მშენებლობებით, ლოჯისტიკით, მედიცინით, თარგმანებითა და სამეურნეო საქმეებით. გაზაფხულის მონაცემებით, ერაყში დაახლოებით სამი ათასი კონტრაქტორი იყო და მათგან ორ ათასზე ნაკლებს შეეძლო ბრძოლებში მონაწილეობის მიღება.

**ზოგიერთი გათვლებით, საერთო ჯამში, კერძო სამხედრო კომპანიების ინდუსტრია დღეს 20 ათასამდე ისეთ თანამშრომელს შეკრ-** ▶

# კომპიუტერული სადისტი: ვინ არიან ინტერნეტ-ტროლები

**ზოგიერთი ადამიანი სიამოვნებას იღებს სკანდალებისადმი და მიზანმიმართული დამანგრეველი ქცევისადმი სიყვარულისგან**

**ახალი კვლევის მონაცემები იმაზე მიანიშნებს, რომ ინტერნეტ-ტროლებს, რომლებიც ონლაინ საზოგადოებებში უთანხმოებებს თესენ და კამათს აჩაღებენ, ბევრი საერთო აქვთ რეალური ცხოვრების სადისტებთან.**

ინტერნეტში ჩატარებული ორი კვლევის შედეგად, მეცნიერებმა შეისწავლეს 1215 ადამიანის ონლაინ კომენტარების სტილი და ხასიათის შტრიხები. გაირკვა, რომ ინტერნეტ-ტროლებს აქვთ პიროვნული თავისებურება, რომელიც სადიზმს, ფსიქოპათიასა და მაკიაველიზმს (ამ ტერმინით ფსიქოლოგები აღნიშნავენ ინდივიდუუმის მიდრეკილებას, მოატყუონ სხვა ადამიანები და მოახდინონ მათით მანიპულირება საკუთარი მიზნების მისაღწევად). როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ამ სამიდან ყველაზე მჭიდრო კავშირი ტროლინგსა და სადიზმს შორის გამოიკვეთა.

**მარტივად რომ ვთქვათ, ზოგიერთი ადამიანი სიამოვნებას იღებს სკანდალებისადმი და მიზანმიმართული დამანგრეველი ქცევისადმი სიყვარულისგან.**



**„ტროლებიცა და სადისტებიც სადისტურ ტკბობას განიცდიან სხვა ადამიანების განაწყენებითა და ტანჯვით,** — წერს საკუთარ ანგარიშში კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კანადის მანიტობის უნივერსიტეტის მეცნიერი. — **სადისტებს, უბრალოდ, სიამოვნების მიღება სურთ, ინტერნეტი კი მათთვის სათამაშო მოედნად იქცა“.**

„რეალურ ცხოვრებაში ზოგიერთ ადამიანს უყვარს ყველაფრის განადგურება და მოტყუება, — განაცხადა ფორტ უეინში მდებარე პერდიუს უნივერსიტეტის დოცენტმა მიშელ დრუინმა, რომელსაც კვლევაში მონაწილეობა არ მიუღია. — აღნიშნული კვლევა შესაძლებლობას იძლევა, ახლებურად შევხედოთ იმას, თუ როგორ კვეთს ადამიანის რეალური ცხოვრება და ხასიათი ვირტუალურ სახსრებს“.

სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში ამგვარი ქმედება, შესაძლოა, სადისტური იყოს.

პირველი კვლევის ჩასატარებლად მეცნიერებმა 418 ადამიანი შეარჩიეს. მათი საშუალო ასაკი 29 წელი იყო. მათ სთხოვეს, ონლაინ-ანკეტები შეევსოთ. ადამიანში სადისტური ნიშნების გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებად მეცნიერებმა „სადისტური იმპულსების მოკლე შკალა“ გამოიყენეს. მასში 10 პუნქტია იმ სიამოვნების შესაფასებლად, რომელსაც ადამიანი სხვისთვის ტკივილისა და ტანჯვის მიყენებით განიცდის.

ამავე კვლევაში გამოყენებულ იქნა „სადისტური ტენდენციების სხვადასხვაგვარობის შკალა“, რომელშიც შედის ექვსი პუნქტი პირდაპირი სადიზმის ხარისხის შესაფასებლად და შვიდი პუნქტი კომპენსატორული სადიზმის შესაფასებლად. კომპენსატორული სადიზმით შეპყრობილ ადამიანებს შეუძლიათ, სიამოვნება მიიღონ ფილმებსა და ვიდეოთამაშებში ასახული სისასტიკისგან.

მეცნიერები ასევე აფასებდნენ ინტერნეტში კვლევის მონაწილეების ქცევის კანონზომიერებებს და უსვამდნენ კითხვას, თუ რის კეთება მოსწონთ ყველაზე მეტად ონლაინში. სავარაუდო პასუხები იყო „სხვა მომხმარებლებთან საუბარი“, „ახალი მეგობრების შეძენა“ და „სხვა მომხმარებლების დატროლვა“.

მეორე კვლევისთვის მეცნიერებმა სხვა მეთოდი და სისტემა გამოიყენეს. მათ ეს კვლევა გამოიყენეს ტროლების ქცევის ანალიზისა და ტროლინგისგან მიღებული სიამოვნების ხარისხის შესასწავლად. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეებს ▶

**საკმარისია, ჩინელებმა იგრძნონ ცისქვეშეთის „გამაიდანების“ მცდელობა, ძალიან იოლად გადაწყვეტენ დოლარზე დამყარებული ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგის უკანასკნელი ნარჩენების განადგურებას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ებს, რომელსაც ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლა შეეძლება,** უფრო პრაგმატული გათვლებით კი მათი რიცხვი 10 000-ს არ გადასცდება. როგორც ერაყელი მაღალჩინოსნები ვარაუდობენ, ბაღდადს ისლამისტების იგივე რაოდენობა შეუტევს.

სკანდალებით განთქმულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ო'რეილიმ, რომელსაც ტელეარხ Fox News-ზე საკუთარი გადაცემა „ორეილის ფაქტორი“ მიჰყავს, სექტემბერში აშშ-ს თავზარი დასცა, როდესაც განაცხადა, რომ დაიღალა ობამასა და მისი ადმინისტრაციის ყოყმანით, რომ ნებისმიერ ნორმალურ სამხედროს ესმის, ხალიფატის გასანადგურებლად საჭიროა სახმელეთო ჯარი, რომ აშშ-მა და ნატომ უნდა შექმნან „ანგლომოლაპარაკე მაღალანაზღაურებადი ანტიტერორისტული 25-ათასიანი არმია კერძო სამხედრო კომპანიებისგან“ და მსოფლიოში გაუშვან ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ორეილიმ დასძინა, რომ ჰენრი კისინჯერმა კერძო საუბრისას დაუდასტურა, თითქოს რამდენიმე წელია, თავადაც ფიქრობს კერძო სამხედრო კომპანიების ანტიტერორისტულ არმიაზე აშშ-ის ეგიდით.

ერიკ პრინსი კი მიიჩნევს, რომ ერაყსა და სირიაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნენ გამოყენებულნი კერძო სამხედრო კომპანიები — ვიდრე საჰაერო დარტყმები კიდევ უფრო მეტ მებრძოლს მიიზიდავს ხალიფატის რიგებში და ვიდრე სირიიდან და ერაყიდან დაბრუნებული ისლამისტები დასავლეთის ქვეყნებში არ დაიწყებენ საპასუხო დარტყმების მიყენებას. **ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის სირიული ცენტრის მონაცემების თანახმად, დაბომბვების დაწყების შემდეგ ისლამისტებს, სულ მცირე, 6 ათასი ახალი წევრი შეუერთდა და მათგან 1300 უცხოელია.** პრინსის აზრით, ხალიფატის ჩანასახშივე ჩაკვლის დრო იწურება...

InoSMI

ეკითხებოდნენ, რა დროს ატარებენ ინტერნეტში.

საბოლოო ჯამში მეცნიერებმა მიაგნეს კავშირს ონლაინ კომენტარების სიხშირესა და ტროლინგისგან სიამოვნების მიღების ხარისხს შორის. მონაცემები დაემთხვა წინა კვლევების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც დადგინდა კავშირი ახალი ტექნოლოგიების გადაჭარბებულად გამოყენებასა და ანტისაზოგადოებრივ ქცევას შორის.

მეცნიერებმა ვერ მიაგნეს კავშირს სადიზმსა და ქსელში სხვა რომელიმე უვნებელ ქმედებას შორის. გარდა ამისა, გაირკვა, რომ, სადისტებისგან განსხვავებით, ნარცისიზმით შეპყრობილ ადამიანებს ქსელში ტროლინგი სიამოვნებას არ ანიჭებს.

დრუინმა განაცხადა: „ინტერნეტი უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა ანონიმურობისთვის და ამიტომ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი ქმედებებიდან დისტანცირება პირადი პასუხისმგებლობის მიმართულებით. ამრიგად, როგორც კვლევის ავტორები ვარაუდობენ, ინტერნეტ, შესაძლოა, სათამაშო მოედნად იქცეს სადისტებისთვის“.

LiveScience

# საით ისვრის ვაშინგტონი

**როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს (წინასწარ კი უკრაინა „გაამაიდანეს“), ერთ-ერთმა რუსმა პოლიტიკოსმა ზუსტად აღნიშნა, რომ დასავლეთმა საკუთარ ფეხში დაიხალა ტყვია. ახლა ვაშინგტონელი მოღვაწეები დაკავებულნი არიან ჰონკონგის, ანუ ჩინეთის განაპირა მხარის „გამაიდანებით“, რომლითაც შეგნებულად ახდენენ ჩინეთზე ზეწოლას და აშანტაჟებენ მას. ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: ამჯერად სად დაიხალა ტყვია ვაშინგტონმა, თუკი ესოდენ იდიოტური პოლიტიკის წარმოებას შეუდგა?**



თუკი ვაშინგტონმა გადაწყვიტა, ერთდროულად განარისხოს რუსეთიცა და ჩინეთიც, მათთან ერთად კი სხვა ყველა „არადასავლური“ და ზოგიერთი დასავლური ქვეყანაც, გამოდის, რომ ლამის მთელ მსოფლიოს უპირისპირდება, მაგრამ საეჭვოა, რაიმე წარმატებას მიაღწიოს, რადგან ფეხში (და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში) დაჭრილი მებრძოლი საამისოდ ნაკლებად გამოდგება.

სასიკეთოს არაფერს მოიტანს ამერიკელების გადაწყვეტილება, ჩინეთს მიაყენონ დარტყმა.

**დასავლელი ვაიპოლიტიკოსები უტევდნენ და უტევენ რუსეთს, რადგან თვლიან, რომ ის „დაჭრილი დათვია“ და ახლა შეიძლება მისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენება, ვინაიდან სათანადოდ ვერ დაიცავს თავს, მაგრამ ჩინეთი ხომ ახალგაზრდა დრაკონია.** მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი „მაგრამ“, რომ ჩინეთის ეკონომიკის განვითარება დიდწილადაა დამოკიდებული აშშ-სა და მთლიანად დასავლეთზე, **საკმარისია, ჩინელებმა იგრძნონ ცისქვეშეთის „გამაიდანების“ მცდელობა, ძალიან იოლად გადაწყვეტენ დოლარზე დამყარებული ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგის უკანასკნელი ნარჩენების განადგურებას.**

თავად ჩინეთი ამით სერიოზულად დაზარალდება, მაგრამ ვინაიდან მას ნებისმიერ შემთხვევაში უპირებენ, რუსეთისა და უკრაინის ბედი შეჰყარონ, დასაკარგიც არაფერი აქვს. მითუმეტეს, რომ ამერიკის შემხედვარე მრავალ დამკვირვებელს უჩნდება შთაბეჭდილება, რომ ისიც უფსკრულის პირასაა და მასაც აღარაფერი აქვს დასაკარგი, ჩინეთზე დარტყმები კი სასოწარკვეთის ჟესტებია, უკანასკნელი ვაზნაა, რომლითაც უკიდურეს შემთხვევაში სარგებლობენ ხოლმე. როგორც ჩანს, აღსასრული ახლოსაა, ფედერალური რეზერვის დერეფნებში შემწვარი ხორცის სუნი დგას და ვაშინგტონმაც გადაწყვიტა, ვა-ბანკზე წავიდეს — დათესოს ქაოსი ყველგან, მათ შორის ჩინეთშიც. არადა, თავად აშშ ჩინეთზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე ჩინეთი — აშშ-ზე.

ვაშინგტონი ვერ დაუშვებს, რომ ისევ დიდ დეპრესიაში აღმოჩნდეს ჩაფლული, ამასობაში კი ვიღაცამ დაიკავოს მისი ადგილი, ამიტომაც იბრძვის ყველა მიმართულებით. ადვილად შესაძლებელია, ამერიკის აგრესიულმა გამოხდომებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანოს, სამაგიეროდ აუცილებლად განაპირობებს საპასუხო რეაქციას აგრესიის ობიექტების მხრიდან.

**და, როგორც ჩანს, ჩინელები უკვე ბრაზდებიან და მოქმედებას იწყებენ. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ჩინელები არ ბრაზდებიან, ისინი მხოლოდ ჩუმად იწყებენ მოქმედებას და მნიშვნელოვან სამზადისს.**

ჩინეთის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ერთ-ერთმა წამყვანმა ამერიკელმა ეკონომისტმა, დოქტორმა ჯიმ უილიმ. მისი შეხედულებით, მაქსიმალური ყურადღება უნდა მიიმართოს შანხაის ოქროს ბაზრისკენ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ შანხაის ოქროს ბაზრის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო ჩინეთის მისწრაფება, გაეკონტროლებინა ძვირფას ლითონებზე ფასწარმოების პროცესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შეევიწროებინა ნიუიორკის ფიუჩერული ბირჟა. ამის შემდეგ ჩინეთი აპირებს მსოფლიო სავალუტო სისტემის გადატვირთვის პროვოცირებას, რომლის შემდეგ ოქროს ფასი რეალურ დონემდე აიწევს.

**დოქტორ უილის პროგნოზების თანახმად, ჩინეთი მიაღწევს იმას, რომ ოქროს ფასი ახლანდელთან შედარებით, სულ მცირე, გაორმაგდება. ეს დამანგრეველ დარტყმას მიაყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს და ყველა მცდელობა, რომელთაც ნიუ იორკის ბირჟა ოქროზე ფასის შესანარჩუნებლად და დოლარის დასაცავად მიმართავს, წყალში გადაიყრება.**

**ნიუ იორკის ბირჟას, მიწოდებების ბოლო ორი წლის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკურად ოქრო უკვე პრაქტიკულად აღარ მიეწოდება.** ამის ნაცვლად გამოიყენება კონტრაქტების მიხედვით ნაღდი ანგარიშსწორება ან გარიგებები დერივატივების გამოყენებით ტარდება. როგორც კი „ქაღალდის ოქროს“ მთელი ეს სისტემა დაემხობა, შანხაის ოქროს ბირჟის წყალობით ჩინეთი გახდება ძირითადი ბაზარი, რომელიც ძვირფასი ლითონების ფასებში ორიენტირების საშუალებას შექმნის.

ამ შემთხვევაში ოქრო დაიბრუნებს თავის ნამდვილ ღირებულებას და მომენტალურად გამოიწვევს წარმოუდგენელ ქაოსს ქაღალდის ფულის ბაზარზე. მსოფლიოს სხვა გამოსავალი არ დარჩება, გარდა იმისა, რომ განახორციელოს სავალუტო სისტემის სრული გადატვირთვა.

როგორც ჯიმ უილი ამბობს, „როhდესაც მოხდება მორიგი გლობალური გადატვირთვა, ის სრული და დასრულებული იქნება. და, როგორც ჩანს, ის უპირატესად ოქროთი ვაჭრობის სფეროში მოხდება. ძვირფას ლითონზე ფასი იმდენად შეიცვლება, რომ აშშ მის გადახურდვას ვერ შეძლებს“.

რაც შეეხება ნიუ იორკის ბირჟას, 2012 წლის დაახლოებით შუა პერიოდიდან მათი კონტრაქტები დაფუძნებულია არა უშუალოდ ლითონზე, არამედ ნაღდ ფულზე. ვისაც ეს არ მოსწონს, უბრალოდ, გავარდება ბირჟიდან. ეს უკვე აღარ არის ოქროს ბაზარი, ეს ოქროს დერივატივების ბაზარია. და ბოლოს, სექტემბრის ბოლოდან შანხაიმ დაიწყო ოქროსა და ფიუჩერული კონტრაქტების შეთავაზება ფიზიკური მეტალის მიწოდებით. ეს კოშმარული სიზმარია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე ლონდონისთვისაც.

ეს ფინალური ეტაპია, რომელსაც თამაშის დასრულება და გადატვირთვა მოჰყვება. მთავარ მოვლენად სავალუტო ბაზრების განადგურება იქცევა. ეს პროცესი დაიწყება იმით, რომ აზიატები აღადგენენ ოქროს ნამდვილ ღირებულებას და დაიწყებენ ფერადი ლითონის მიწოდებას მისი რეალური ფასით.

კიდევ რამდენიმე ეკონომისტ-ანალიტიკოსმა, მათ შორის ჯონ უილიამსმა, პიტერ შიფმა, პოლ კრეიგ რობერტსმა და ჯერალდ სელენტემ ბოლო პერიოდში ასევე გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო ვალუტების გადაფასება, შესაძლოა, უკვე ძალიან მალე დაიწყოს.

**„აშშ ვერ გრძნობს, რომ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთ ნავში ზის და ცდილობს, ახალ-ახალი საომარი კონფლიქტების გაჩაღებით გადაავადოს ნავთობდოლარის აღსასრული. ამიტომ რუსეთსა და ჩინეთს არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ გაერთიანდნენ და შექმნან ინფრასტრუქტურა მსოფლიო ვაჭრობის მექანიზმების რაც შეიძლება რბილად შეცვლისთვის მას შემდეგ, რაც ბოლოსდაბოლოს მოხდება მსოფლიო სავალუტო სისტემის გადატვირთვა“,** — ამბობს ამერიკელი ეკონომისტი. მისგან განსხვავებით, ჩინელები ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ და ჩუმად მოქმედებენ. თქმა არც დასჭირდებათ, მათ ნამოქმედარს მალე ყველა და, უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონი საკუთარი თვალით იხილავს.

cont.ws

**როგორც ჩანს, ჩინელები უკვე ბრაზდებიან და მოქმედებას იწყებენ. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ჩინელები არ ბრაზდებიან, ისინი მხოლოდ ჩუმად იწყებენ მოქმედებას და მნიშვნელოვან სამზადისს**

## ევროკავშირის ეკონომიკა დახმარებას ელის

**ევროკავშირის სამიტის გადაწყვეტილებით, 2015-2017 წლებისთვის 300 მილიარდი ევროს ოდენობის საინვესტიციო ფონდი შეიქმნება.** ამის შესახებ სამიტის დასასრულს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ განაცხადა. აღნიშნული სახსრები განკუთვნილია ევროპული ეკონომიკის გასაუმჯობესებლად. კონკრეტულად კი, როგორც რომპეიმ აღნიშნა, ეს თანხები ევროპის ეკონომიკის აღდგენას მოხმარდება. ევროკავშირის ლიდერების განცხადებით, კრიზისის შემდეგ ევროპის ეკონომიკამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო აღდგენა და კვლავაც რჩება არამდგრადი განვითარების მდგომარეობაში. ამ დრომდე არსებობს უმუშევრობის მაღალი და ინფლაციის დაბალი დონე.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას მთავარმა მოწინააღმდეგემ ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ იგი ტონი რეზკოს კავშირებით სარგებლობდა და საუდელი მაგნატებისგან ფინანსურ დახმარებას იღებდა.**

# ობამას რუხი კარდინალები

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა საკმაოდ ჩაკეტილი პოლიტიკოსია, რომელსაც გამძაფრებული აქვს საკუთარი ღირსების შეგრძნება. იგი გახლავთ პირველი აფროამერიკელი, რომელიც თავიდან სათავეში ჩაუდგა ჰარვარდის უნივერსიტეტის იურისტთა გავლენიან კლუბს, შემდეგ 2005-2008 წლების ყველაზე პოპულარულ და ციტირებად სენატორად იქცა, ბოლოს კი — სახელმწიფოს ისტორიაში პირველ შავკანიან პრეზიდენტად. იგი საერთაშორისო ფენომენიც გახდა, რადგან მის მხარდასაჭერად მიტინგები იმართებოდა არა მხოლოდ ჩიკაგოსა და ლოს-ანჯელესში, არამედ პარიზში, ლონდონსა და კანბერაშიც. საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელსაც უმცროსი ბუშის არაკონსერვატული ელიტის კრახიც დაერთო, ახალგაზრდა სენატორი ცვლილებების იმედებისა და სტაბილურობის სიმბოლოდ იქცა. ამ ყველაფერმა აიძულა, თავი გამორჩეულად ეგრძნო და ახლა სწორედ ამ გამორჩეულობის პოზიციიდან აწარმოებს დიალოგს საკუთარ ადმინისტრაციასთან, კონგრესთან, პენტაგონთან, სპეცსამსახურებთან, ლობისტებთან და ასე შემდეგ. ამ ყველაფერთან ერთად ობამას მუდამ განასხვავებდა ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი — ერთგულება იმ ადამიანების მიმართ, რომელთა გარეშეც მისი ტრიუმფი შეუძლებელი იქნებოდა...**



**ახალგაზრდობის წლებში ობამა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდ პოლიტიკაში აღმოჩნდებოდა. უფრო მეტიც, ჰარვარდის იურიდიული გაზეთის რედაქტორობისას იგი ხშირად წერდა, რომ აშშ-ში პოლიტიკოსებს ძალზე დიდი ძალაუფლება აქვთ**

**ახალგაზრდობის წლებში ობამა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდ პოლიტიკაში აღმოჩნდებოდა. უფრო მეტიც, ჰარვარდის იურიდიული გაზეთის რედაქტორობისას იგი ხშირად წერდა, რომ აშშ-ში პოლიტიკოსებს ძალზე დიდი ძალაუფლება აქვთ.** ობამას პოლიტიკური კარიერა ილინოისელ სენატორ-დემოკრატთან — **ალან დიკსონთან** ნაცნობობით დაიწყო. დიკსონზე შთაბეჭდილება მოახდინა ობამას იდეებმა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. 1989 წლიდან საკონსტიტუციო სამართლის ახალგაზრდა ექსპერტი მესამე კლასის სენატორის ერთ-ერთი მრჩეველთაგანი გახდა. დამარცხდა რა 1992 წლის პრაიმერიზზე, ექსსენატორმა ობამას შტატის საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად კენჭისყრაში მონაწილეობა შესთავაზა.

პირველ კამპანიას შტატის საუკეთესო პოლიტტექნოლოგები აწარმოებდნენ და ობამამ სირთულეების გარეშე გაიმარჯვა. სწორედ იმ დროს და სწორედ ალან დიკსონის კავშირების წყალობით აინთო ობამას ვარსკვლავი. როდესაც ობამა ილინოისის შტატის მთავარ სენატორად იქცა, დიქსონი ამაყობდა, რომ მან რესპუბლიკელი ალან კეიესი დაამარცხა. სწორედ დიქსონისგან გადაედო ობამას რესპუბლიკელების მიმართ უნდობლობა.

სენატორობის პერიოდში იგი ხმას აძლევდა იმ კანონპროექტების წინააღმდეგ, რომლებსაც რესპუბლიკელები წამოაყენებდნენ. დიკსონი ობამას არაოფიციალურ მრჩევლად და კონსულტანტად რჩებოდა გარდაცვალებამდე. ამერიკელი პოლიტოლოგი ჯერომ კორსი აღნიშნავს, რომ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით რაიმე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ობამა, მინისტრებსა და ძალოვანებს კი არა, სწორედ დიკსონს ურეკავდა. უფრო მეტიც, ჯოზეფ ბაიდენის არჩევა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად იმანაც განაპირობა, რომ ამ უკანასკნელს ალანთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა.

მეორე კაცი პრეზიდენტის ყველაზე ვიწრო წრეში არის ჩიკაგოელი ბიზნესმენი და ლობისტი ტონი რეზკო. იყო რა ობამას ახლო მეგობარი და საუდელი ლობისტი, რეზკომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სირიასთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიციის ჩამოყალიბებაზე. ტონი რეზკო სირიის ქალაქ ალეპოში დაიბადა და ამერიკაში მხოლოდ კოლეჯის დამთავრების შემდეგ გადასახლდა. დაამთავრა რა ილინოისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, იგი სამუშაოდ მოეწყო ჩიკაგოს ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში, რომელიც საუდელ შეიხ მუჰამედ ალ-ამუდს ეკუთვნოდა. რეზკო ცნობილი იყო სირიის იმდროინდელი ლიდერის — ხაფეზ ასადისა და ალავიტური რეჟიმის უმწვავესი კრიტიკით. სწორედ ეს ფაქტორი გახდა გადამწყვეტი საუდელი შეიხისთვის, როდესაც რეზკოს ფონდ Hussein Al Amoudi Foundation-ის აღმასრულებელ დირექტორად დანიშნა.

1982 წელს ტონი რეზკო გახდა მთავარი შუამავალი საუდის არაბეთისა და ყატარის შეიხების უმსხვილეს ფონდებსა და როკფელერების ოჯახის ფონდს შორის. 1994 წლიდან რეზკო ამერიკული ნავთობკორპორაცია „Chevron"-ის ძირითად ლობისტად იქცა. მისი კავშირების დამსახურებით ამერიკულმა კომპანიამ არა მხოლოდ მთელი რიგი შეთანხმებები გააფორმა საუდის კორპორაცია „Saudi Aramco"-სთან, არამედ „საუკუნის კონტრაქტის" ფარგლებში მოიპოვა უფლება, კასპიის ტერიტორიაზე აწარმოოს ნახშირწყალბადების მოპოვება.

იმ პერიოდში ბარაკ ობამა იურისტად მუშაობდა კომპანია Davis Miner Barnhill & Galland-ში, რომელიც ჰოლდინგ Rezmar Inc-ს ეკუთვნოდა. ჰოლდინგს კი სათავეში რეზკო ედგა. სწორედ იმ პერიოდში ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობები ობამასა და რეზკოს შორის. ჯერ კიდევ 2005 წელს ჩიკაგოში Hussein Al Amoudi Foundation მ Rezmar Inc-ის ფინანსური მხარდაჭერის წყალობით ოფიციალურად დარეგისტრირდა „სირიულ-ამერიკული საბჭო" (Syrian American Council SAC), რომელიც შემდგომში სირიელი მეამბოხეების საყრდენად იქცა ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლიტიკური მხარდაჭერა ორგანიზაციამ მრავალი ამერიკელი კანონმდებლისგან მიიღო, მაგრამ განსაკუთრებით სენატორი ობამა გამოირჩეოდა. **საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას მთავარმა მოწინააღმდეგემ ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ იგი ტონი რეზკოს კავშირებით სარგებლობდა და საუდელი მაგნატებისგან ფინანსურ დახმარებას იღებდა.**



ანალოგიური ბრალდებები გაისმა მთელი რიგი კონგრესმენი რესპუბლიკელებისგანაც, კერძოდ, ჯონ მაკკეინისა და ცნობილი კონსერვატორ-ლიბერტარიანელი რონ პოლისგან. ტონი რეზკო არა მხოლოდ ობამას დიდი პატივისცემით სარგებლობს, არამედ მთელი დემოკრატიული ელიტისაც.

**მაიკლ კემპნერი** ობამამ ჯერ კიდევ კონგრესში საარჩევნო კამპანიისას გაიცნო. სწორედ კემპნერმა შექმნა წინასაარჩევნო ფონდი ობამა-სენატორისთვის და მანვე მოიზიდა მნიშვნელოვანი სახსრები ორივე საპრეზიდენტო კამპანიისთვის. 2008 წლიდან კემპნერი ობამას კონსულტანტია საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. უფრო მეტიც, მისმა კომპანია MWW Group-მა მხოლოდ 2010 წელს ფედერალურ ლობირებაში 4 მილიონი დოლარი მიიზიდა. მართალია, კემპნერი ოფიციალურად ლობისტად არ განიხილება, მაგრამ იგი მმართველი პარტნიორია კერძო საინვესტიციო კომპანია Pegasus Capital Advisors-ში, რომელიც ფლობს ობამას ერთ-ერთ გავლენიან დონორ კომპანია IGPS-ს.

2010 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ობამა ნიუ-ჯერსიში კემპნერის მშობლიურ ქალაქ კრესკილს ეწვია და მადლობა გადაუხდა მასაც და მის მეუღლესაც „წარმოუდგენლად მტკიცე მეგობრობისთვის". მეგობრობამ განაპირობა ის, რომ კემპნერი დემოკრატების ფინანსური პარტნიორი გახდა. მას სახალხოდ არასდროს განუცხადებია, რომ დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის, მაგრამ პირადად შეიტანა 800 ათასზე მეტი დოლარი ობამას საარჩევნო კამპანიისთვის, ამის შემდეგ კი უფრო ხშირად სტუმრობდა თეთრ სახლს და საზოგადოებრივი საბჭოს წევრადაც დაინიშნა. თეთრი სახლის სტუმართა აღრიცხვის მიხედვით, ობამამ სწორედ კემპნერი მიიწვია შობის დღესასწაულზე და მექსიკის პრეზიდენტის — ფილიპე კალდერონის ოფიციალურ მიღებაზე. იგი ახლდა ობამას ამერიკის სამხედრო შტაბების მეთაურებთან შეხვედრაზეც პრეზიდენტის პირად რეზიდენციაში. მაიკლ კემპნერი ისეთივე ლიბერალი უფლებადამცველია, როგორიც ობამა და გასაკვირი არ არის, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პრეზიდენტი უფრო ხშირად საუბრობს მასთან, ვიდრე სიუზან რაისსა და ჯონ კერისთან.

კემპნერი ერაყში ომის ერთ-ერთი თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო და ▶

მსოფლიო



## მერილენდში ობამას საპროტესტო პლაკატებით დახვდნენ

**ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მერილენდში ჩავიდა და შტატის გუბერნატორის თანამდებობისთვის მებრძოლი ენტონი ბრაუნის წინაასაარჩევნო ღონისძიებაზე გამოვიდა.** ობამას გამოსვლის დაწყებიდან ათ წუთში დარბაზის შესასვლელში დიდი რიგი დადგა, ოდნავ მოგვიანებით კი ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ასწია პლაკატი წარწერით „არც ერთი მეტი". აქტივისტი სწრაფად გაიყვანეს და მისი ხმა თითქმის არავის გაუგონია. როგორც წესი, აღნიშნულ ლოზუნგს არალეგალი მიგრანტების დეპორტაციის მოწინააღმდეგეები იყენებენ, ხშირ შემთხვევაში, საქმე ლათინოამერიკელებს ეხება.



## გარდა დასავლელი ჟურნალისტების საჩვენებელი დასჯისა, ისლამურმა სახელმწიფომ მასმედიის, სულ მცირე, 17 არაბი წარმომადგენელი გამოასალმა სიცოცხლეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩიქიდან ამერიკული ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას უჭერდა მხარს. სწორედ მისი სახით ჰპოვა პრეზიდენტმა ერაყის საკითხში მტკიცე მხარდაჭერა და იგნორირება გაუკეთა ცსს-ს მაშინდელი ხელმძღვანელის — ლეონ პანეტას რჩევას, დაეტოვებინათ ერაყში ჯარების ნაწილი. ობამაზე კემპნერის გავლენის შესახებ მეტყველებს ისიც, რომ დე-ფაქტო ლობისტურმა ორგანიზაციამ პირველად აუარა გვერდი ოფიციალურ რეგისტრაციას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია, თავი აარიდოს ლობისტად რეგისტრირებას იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულ იქნა მხოლოდ ერთი ლობისტური კონტაქტი სამთავრობო ჩინოვნიკთან ან თუ ლობისტური საქმიანობა პროფესიონალური მოღვაწეობის 20%-ზე ნაკლებს შეადგენს. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი რანგის მოხელეები, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევენ ობამას, შეძლებენ საკუთარი ინტერესების წინ წამოწევას ისე, რომ არ იქცევიან ოფიციალურ ლობისტებად.

პრაქტიკაში ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ თეთრი სახლის დახმარებით MWW Group-ს შესაძლებლობა აქვს, პრივილეგირებული ლობისტური მოღვაწეობა განაგრძოს.

**პარადოქსია, რომ პრეზიდენტი ობამა ლობისტებთან მებრძოლის რეპუტაციით სარგებლობს და ამ დროს უფრო მეტადაა მათი გავლენის ქვეშ მოქცეული, ვიდრე მისი წინამორბედები იყვნენ. გახდა რა პრეზიდენტი, მან მთავარ მრჩევლად დანიშნა ლობისტი, კომპანია Podesta Group-ის დამაარსებელი ჯონ პოდესტა.** ამ უკანასკნელს არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი რეპუტაცია აქვს.

პოდესტა პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობდა ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას, კერძოდ, იგი ლობირებდა იმ ევროპელთა ინტერესებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ იუგოსლავიის კონფლიქტში აშშ-ისა და ნატოს ჩარევით. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა პოდესტას იმდროინდელ ვიცეპრეზიდენტ ალბერტ გორთან, წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ჯონ ჰასტერტთან და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელ ჯორჯ ტენეტთან. სხვათა შორის, ამერიკული მედიასაშუალებები აღნიშნავდნენ, რომ ეთნიკური ბერძენის, ტენეტის, დანიშვნას ცსს-ს ხელმძღვანელის თანამდებობაზე სწორედ პოდესტა უწევდა ლობირებას, — მას ხომ თავადაც ბერძნული ფესვები აქვს.

2000 წელს The Washington Post-ი აღნიშნავდა, რომ კლინტონსა და პოდესტას შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯონის კულისებსმიღმა საქმიანობის შესახებ შეიტყო. პოდესტა იძულებული გახდა, თეთრი სახლიდან წასულიყო და დააარსა ამერიკული პროგრესის ცენტრი (Center for American Progress). ეს ორგანიზაცია ამჟამად ერთ-ერთი უმთავრესი საგარეოპოლიტიკური გონებრივი ცენტრია.

პოდესტამ ობამა მაშინ გაიცნო, როდესაც ამჟამინდელი პრეზიდენტი ილინოისის საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობდა. „Podesta Group"-ი მხარს უჭერდა სენატორ ობამას მისი კარიერის მანძილზე. ჰქონდა რა ფართო კავშირები, პოდესტამ თავდაპირველად ობამასათვის მოიპოვა ჰილარი კლინტონის მხარეს მდგარი ედვარდ კენედისა და ჯონ კერის მხარდაჭერა.

არჩევნებზე გამარჯვების შემდეგ პოდესტამ ბარაკ ობამას სახით ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოკავშირე შეიძინა, ამან საშუალება მისცა, კვლავ დაბრუნებულიყო თეთრ სახლში. სწორედ მან იზრუნა, რომ სახელმწიფო მდივნისა და თავდაცვის მინისტრის თანამდებობებზე ჯონ კერისა და ჩაკ ჰეიგელის კანდიდატები გასულიყვნენ. კერი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას არ წარმოადგენდა, ჰეიგელის შემთხვევაში კი მის მომხრეებს ოფლის ღვრა დასჭირდათ. „Podesta Group"-მა ერთი მილიონი დოლარი გამოყო სენატორ ჰეიგელის დადებითი სახის შესაქმნელად, რათა იგი პენტაგონის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაენიშნათ.

Podesta Group-ი ასევე მომსახურებას უწევს პრეზიდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროშიც, ოღონდ ზეპარტიული ორგანიზაცია Bipartisan Group-ის სახელით. ეს ორგანიზაცია ნაციონალური უსაფრთხოების იმ ყოფილი თანამშრომლებისგან შეიქმნა, რომლებმაც ჰეიგელს დაუჭირეს მხარი მას შემდეგ, რაც პროისრაელურმა ლობმა მისი ამჟამინდელ თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგ სერიოზული და ფართომასშტაბიანი კამპანია გააჩაღა.

ცნობილია, რომ 2000 წელს ჩაკ ჰეიგელი იყო ერთ-ერთი იმ ოთხი სენატორისგან, რომლებმაც უარი განაცხადეს, ხელი მოეწერათ ისრაელის სრული მხარდაჭერის დეკლარაციაზე მეორე ინტიფადის დაწყებისას. 2001 წელს მან სხვა ათ სენატორთან ერთად უარი განაცხადა, ხელი მოეწერა პრეზიდენტ ბუშისთვის მიმართვაზე. მიმართვის არსი იყო მოთხოვნა, არ შეხვედროდა იასირ არაფეტს ისრაელზე შეტევების სრულად შეწყვეტამდე. კონგრესის ისრაელის საქმეთა ჯგუფმა მოიპოვა სომხური ლობის მხარდაჭერა და ამ უკანასკნელმაც წამოიწყო კამპანია ჰეიგელის დანიშვნის წინააღმდეგ.

მაგრამ თვით ამ ორი უმსხვილესი და ყველაზე გავლენიანი ეთნოლობისტური ჯგუფის გაერთიანებამაც კი ვერ ჩაშალა საქმე. **დღეს Podesta Group-ის გავლენა აშშ-ში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მისი მომსახურებით სარგებლობს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერი და წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელები.** კლიენტებს შორის არიან მაღალი რანგის პოლიტიკოსები მექსიკიდან, ბრაზილიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ჩინეთიდან. ორგანიზაცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლობირებდა მიხეილ სააკაშვილის, ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ალასანიას, ვიქტორ იუშჩენკოს, იულია ტიმოშენკოს, ვიქტორ იანუკოვიჩის, ალიევების ოჯახისა და სხვათა ინტერესებს...

**არაგ გალსტიანი,**
**ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის ექსპერტი, ლობიზმის საკითხთა ექსპერტი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში, აშშ-ის შიდაპოლიტიკური პროცესების ექსპერტი.**
**globalaffairs.ru**

**დღეს Podesta Group-ის გავლენა აშშ-ში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მისი მომსახურებით სარგებლობს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერი და წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელები**




# ამერიკამ ჯალათები შეაიარაღა

**წარმოუდგენელი ძალადობის მორიგი აქტია აღბეჭდილი ვიდეოზე, რომელიც სირიის ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ გაავრცელა. კადრები ასახავს ახალგაზრდა ქალის ლინჩის წესით გასამართლებას. ქალს ცოლქმრულ ღალატში ადანაშაულებენ. იგი დგას, თოკითაა გაკოჭილი, წვერებიანი „მართლმსაჯულების აღმსრულებელი" კი განაჩენს აცხადებს: ქალს ქვებით ჩაქოლავენ.**

საშინელი სასჯელის სისრულეში მოყვანამდე ეს ჯალათი მსხვერპლის მამას ეკითხება, რაიმე საწინააღმდეგო ხომ არ აქვს. ეს უკანასკნელი წინააღმდეგი არ არის და სახალხოდ ზურგს აქცევს ქალიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ გოგონა ემუდარება, აპატიოს. შესაძლოა, მამაც მსხვერპლია, რადგან, თუ იგი ასე არ მოიქცევა და ჩაქოლვისთვის არ გაწირავს საკუთარ შვილს, გამორიცხული არ არის, მთელი ოჯახი ამოუწყვიტონ.

ამის შემდეგ „ტერორისტული მართლმსაჯულების" მსხვერპლს ორმოში აგდებენ. შეგროვილი ბრბო ქვებს დაუშენს. მამა იღებს ყველაზე მძიმე ქვას და შვილს ესვრის.

დასავლური მედია ირწმუნება, რომ ეს ყველაფერი ყბადაღებული „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკების ნამოქმედარია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ვიდეო ჰამას პროვინციაშია გადაღებული. იქ კი სულ სხვა დაჯგუფებები მოქმედებენ — „ჯაბჰატ ან-ნუსრა" და ამერიკული ხელმძღვანელობის მიერ აქტიურად მხარდაჭერილი „სირიის თავისუფალი არმია".

რაც შეეხება ისლამურ სახელმწიფოს, ისიც სწორედ ანალოგიურ მხეცობებს სჩადის. ბრიტანულმა გაზეთმა The Guardian-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ, **გარდა დასავლელი ჟურნალისტების საჩვენებელი დასჯისა, ისლამურმა სახელმწიფომ მასმედიის, სულ მცირე, 17 არაბი წარმომადგენელი გამოასალმა სიცოცხლეს.** ეს მკვლელობები ხდებოდა როგორც სირიაში, ისე ერაყის ტერიტორიაზეც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმეტესობა იძულებული გახდა, შეეწყვიტა ისლამისტების მიერ კონტროლირებად ადგილებში ყოველგვარი მუშაობა. სამაგიეროდ ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდისტები ყვებიან მოვლენათა საკუთარ ვერსიას და ცხადია, საკუთარ თავს დადებითად წარმოადგენენ და ამით მთელი მსოფლიოდან იზიდავენ ახალ-ახალ ჯიჰადისტებს.

**ამ ყველაფრის პარალელურად აშშ, რომელმაც მიზნად დაისახა ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლა და ამ ბრძოლას სირიის არმიასთან თანამშრომლობის გარეშე აწარმოებს, ერთ შეცდომაზე მეორეს აბამს. თუ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მართლაც შეცდომებია და არა გამიზნული ქმედებები...**

ამერიკულმა თვითმფრინავებმა იარაღის, საბრძოლო მასალების, მედიკამენტებისა და კვების პროდუქტების რამდენიმე კონტეინერი ჩამოყარეს ქალაქ კობანეს დაცვაში მდგომი ქურთი მებრძოლებისთვის, მაგრამ ისლამურმა სახელმწიფომ გაავრცელა ვიდეორგოლი, რომელზეც მისი ბოევიკები სიხარულით პოზირებენ პარაშუტებიანი ყუთების ფონზე. ტვირთის რაღაც ნაწილი მაინც ბადნიტების ხელში მოხვდა.

**პენტაგონი ცდილობს, თავი იმართლოს და ირწმუნება, რომ დახმარების უდიდესი ნაწილი ადრესატებამდე მივიდა, ხოლო ბოევიკების ხელში ჩავარდნილი ტვირთი მაშინვე გაანადგურეს დაბომბვებით, მაგრამ ვიდეორგოლი, რომელზეც ბოევიკები იარაღით იწონებენ თავს, უარყოფს ამ მტკიცებას. ამით აღფრთოვანებული ტერორისტები კი კვლავ გააფთრებით დააცხრნენ კობანს.**

აშშ-ის დასავლელი მოკავშირეები კი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად კვლავ სანქციებს უმკაცრებენ სირიას, რომელიც მართლაც იბრძვის ბანდფორმირებების წინააღმდეგ. ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, დააწესონ აკრძალვა სირიაში რეაქტიული ძრავების საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის საბჭოს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მშვიდობიანი მოსახლეობის უწესრიგო საჰაერო დაცხრილვების გამო. გამოდის, რომ ამერიკულ თვითმფრინავებს შეუძლიათ, სხვათა ტერიტორიაზე დაბომბონ ტერორისტები, მიუხედავად „გვერდითი დანაკარგებისა", და ეს ნორმალურად ითვლება. სირიისათვის კი საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო-საჰაერო ძალების ბრძოლა ტერორისტების წინააღმდეგ სანქციებით დასჯადი დანაშაულია.

**topwar.ru**

მოკლედ

## ამერიკის სკოლაში ადამიანი მოკლეს



**ორი ადამიანი დაიღუპა აშშ-ის ქალაქ მერისვილის სკოლაში მომხდარი სროლის შედეგად.** ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, შეიარაღებული თავდამსხმელის სკოლაში შეჭრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ოთხი მოსწავლე კი დაიჭრა. პოლიციის თქმით, დაიღუპა თავად თავდამსხმელიც, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლე იყო. თვითმხილველთა განცხადებით, შეიარაღებული თავდამსხმელი სკოლის კაფეში შეიჭრა და ცეცხლი გაუხსნა იქ მყოფებს. უცნობია თავდასხმის მოტივი.

## ებოლას ჩიკუნგუნია ჩაანაცვლებს



**ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ცხელება ჩიკუნგუნია ვრცელდება.** ამ საშიში ვირუსით დაავადებულთა რაოდენობა იზრდება ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა და კოსტა რიკა. ყველაზე რთული ვითარება ნიკარაგუაშია. მაისის ბოლოს ამ ვირუსით 149 ადამიანი იყო ავად. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის — ედუარდო ესპინოსას განცხადებით, ექიმები ვარაუდობენ, რომ ახლა ვირუსი 71 000 ადამიანს აქვს შეყრილი. აღნიშნული ვირუსის გადამტანად მწერები მიიჩნევა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოტულინუმის გამოყენება კი XVIII საუკუნეში დაიწყეს, მას შემდეგ, რაც გერმანიაში უვარგისი ძეხვით ხალხის მასიურ მოწამვლას სიკვდილიანობა მოჰყვა. შხამს სახელწოდება „ბოტულიზმი“, ანუ „ძეხვის შხამი“ უწოდეს. ლათინურად ბოტულუს „შავ ძეხვს“ ნიშნავს.**



**მისი გამოყენება 1980 წლიდან დაიწყო, თავდაპირველად ოფთალმოლოგიასა და ნევროლოგიაში გამოიყენებოდა. სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა მისი უნიკალური გვერდითი ეფექტი — პაციენტებს თვალის გარშემო და შუბლის მიდამოში ნაოჭები გაუქრათ. მომდევნო წლებში ბოტოქსის ინიექციები წარმოუდგენლად პოპულარული გახდა კოსმეტოლოგიასა და ესტეთიკურ მედიცინაში და აქტუალურობას არც დღეს კარგავს.**

# ყველაფერი ბოტოქსის შესახებ

პირველი პლასტიკური ოპერაცია ინდოეთში ვინმე სუშრუტმა გააკეთა. ეს იყო დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში. ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით, პლასტიკურ ქირურგიას ძველ ეგვიპტეშიც მიმართავდნენ. ანტიკური ხანის ექიმები ამგვარ ოპერაციებს სერიოზული დაზიანებების ან ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში აკეთებდნენ.

ბოტულინუმის გამოყენება კი XVIII საუკუნეში დაიწყეს, მას შემდეგ, რაც გერმანიაში უვარგისი ძეხვით ხალხის მასიურ მოწამვლას სიკვდილიანობა მოჰყვა. შხამს სახელწოდება „ბოტულიზმი“, ანუ „ძეხვის შხამი“ უწოდეს. ლათინურად ბოტულუს „შავ (სისხლიანი) ძეხვს“ ნიშნავს.

მოგვიანებით, გერმანელმა მეცნიერმა იუსტინუს კერნერმა აღმოაჩინა, რომ გაფუჭებულ ძეხვში წარმოიქმნება ისეთი ნივთიერება, რომელიც კუნთების დამბლას, სუნთქვის უკმარისობას, ბოლოს კი სიკვდილს იწვევს.

დაავადება სახელწოდებით „ბოტულიზმი“ მსოფლიოში ცნობილი XX საუკუნეში გახდა, მას შემდეგ, რაც ამერიკაში ფაბრიკული კონსერვებით უამრავი ადამიანი მოიწამლა. დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარებოდა, მოწამლულთა 70 პროცენტი გარდაიცვალა.

ექიმები ბოტულინუმის ტოქსინით დაინტერესდნენ — 70-იან წლებში მისი საშუალებით გარკვეულ ნევროლოგიურ დაავადებებს მკურნალობდნენ, რადგან ის სპაზმს ხსნის. სახის სპაზმის მკურნალობის დროს პაციენტებზე დაკვირვებისას აღმოაჩინეს, რომ მათი კანი გლუვი ხდებოდა. აქედან იწყება ბოტოქსის ისტორიაც.

პლასტიკური ქირურგების პაციენტების უმეტესობა გარეგნულის პარალელურად, შინაგან ცვლილებასაც ელოდება – იზრდება თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის კოეფიციენტი. ხოლო როდესაც მოლოდინი არ მართლდება, კვლავ და კვლავ მიმართავენ ქირურგიულ ჩარევებს. ესაა ერთგვარი ნარკოტიკი, რომელზეც უარის თქმა დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

**პლასტიკური ქირურგიის ხშირი მომხმარებლები საბოლოოდ საშინელებათა ფილმების ცვილის ფიგურებს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე თავიანთ სასურველ იდეალს. საინტერესო კი ისაა, რომ ყველას დაახლოებით ერთნაირი იერი ეძლევა.**

კვლევებმა დაადასტურეს, რომ ბოტოქსი სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბოტოქსი, რომელიც შუბლში შეჰყავთ, გადადის ტვინშიც, რაც მომხმარებლის შენელებულ რეაქციებს იწვევს.

როგორც მეცნიერებმა დაითვალეს, ყოველდღიურად ქალი დაახლოებით 15000-ზე მეტ მიმიკურ მოძრაობას აკეთებს. შედეგად, 30 წლის ასაკისთვის წარბებს შორის, შუბლზე და თვალების ირგვლივ ჩნდება პატარ-პატარა ნაოჭები. კოსმეტიკური საშუალებები ვეღარ იძლევა შედეგს, ქირურგიული ჩარევა კი ნაადრევია. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტაში გვეხმარება ბოტოქსი (დისპორტი).

ბოტოქსი არის გასუფთავებული და შესუსტებული ბოტულიზმის „A“ ტიპის ნეიროტოქსინისგან დამზადებული პრეპარატი. კანში ბოტოქსის ინიექცია იწვევს კუნთების დროებით დამბლას. შედეგად მიმიკა იზღუდება, მაგალითად, წარბების შეყრის ჩვევა ქრება. შესაბამისად, რაც უფრო ნაკლებია ბუნებრივი მიმიკური მოძრაობა, მით უფრო ნაკლებად ჩნდება ნაოჭები. კოსმეტოლოგიაში ბოტოქსი აქტიურად გამოიყენება 80-იანი წლებიდან.

ბოტოქსის, ანუ ბოტულიზმის „A“ ტიპის ტოქსინის მოქმედება მდგომარეობს ნერვული ბოჭკოს მედიატორის გამოთავისუფლების შეფერხებაში. ვინაიდან ნერვული იმპულსი ნერვიდან მიმიკურ კუნთს არ გადაეცემა, ამ უკანასკნელის შეკუმშვა შეუძლებელი ხდება.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ბოტოქსის ინიექციები შუბლზე ასწორებს ჰორიზონტალურ მიმიკურ ნაოჭებს, ნაკეცებს წარბებს შორის, ნაოჭების ქსელს თვალების ირგვლივ („ბატის თათები“); ცხვირ-ტუჩის არეს იცავს ზედა ტუჩის ირგვლივ ნაოჭების გაჩენისგან, ასევე, ეფექტურია პირის კუთხეებში ნაოჭების წინააღმდეგ; ნიკაპის, ცხვირის ზურგისა და ფრთების ნაოჭები, ასევე, ბოტოქსის მოქმედებას ექვემდებარება; „სილამაზის ინიექციებს“ ყელის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნაოჭების მოშორებაც ძალუძს, ეფექტურია ნაოჭების წინააღმდეგ დეკოლტეს ზონაში.

**ბოტოქსი ძალზე ეფექტიანია ჰიპერჰიდროზის (ფეხებზე, ხელებსა და იღლიებში ოფლის გაძლიერებული გამოყოფა) მკურნალობაში. ბევრი პაციენტი ინიექციის შემდეგ არა მარტო ნაოჭებისგან, არამედ თავის ტკივილისგანაც თავისუფლდება. ბოტოქსის მოქმედების შედეგად კუნთები დუნდება და აღარ ახდენს ზეწოლას ნერვულ დაბოლოებებზე, რაც მანამდე შაკიკის პროვოცირებას იწვევდა.**

ბოტოქსის ნემსებისთვის ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს, რადგან ის მხოლოდ კოსმეტიკური დეფექტის შესანიღბად არ გამოიყენება, თანაც ნაოჭები ზოგჯერ მხოლოდ ასაკის ბრალი არ არის: მათი ნაადრევი გამოჩენა დიდი სტრესით შეიძლება იყოს გამოწვეული, მიუხედავად იმისა, სტრესი დადებითი თუ უარყოფითი ემოციებით არის განპირობებული. ბედნიერსა და მარად მომღიმარ ადამიანებს ადრე უჩნდებათ თვალების ირგვლივ ნაოჭები, ბუზღუნა და მოღუშულ პირებს კი — წარბებს შორის. თვალების ხშირი მოჭუტვა ასევე „ამარაგებს“ სახეს ნაოჭებით.



**პლასტიკური ქირურგიის ხშირი მომხმარებლები საბოლოოდ საშინელებათა ფილმების ცვილის ფიგურებს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე თავიანთ სასურველ იდეალს. საინტერესო კი ისაა, რომ ყველას დაახლოებით ერთნაირი იერი ეძლევა**




იმის გათვალისწინებით, რომ ბოტოქსი მიეკუთვნება ტოქსინს, უმჯობესია ის პროფესიონალმა გააკეთოს და არა დილეტანტმა კოსმეტოლოგმა. გარდა ამისა, პრეპარატის არასწორი შეყვანა შეიძლება გახდეს გართულებების მიზეზი. მაგალითად, წარბების დაწევის. სანამ პროცედურას გაიკეთებთ, დაინტერესდით.

„ახალგაზრდობის ინიექციის“ გაკეთება, უმეტეს შემთხვევაში, ტკივილს ან დისკომფორტს არ იწვევს, თუმცა შუბლის კუნთში შეყვანის შემდეგ შესაძლოა ხანმოკლე თავის ტკივილის განვითარება.

ყველაზე სასიამოვნოა, რომ პაციენტი „ახალგაზრდავდება“ პროცედურის დამთავრებისთანავე. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებებიც. მაქსიმალური ეფექტი შეინიშნება 3-4 თვის შემდეგ, მიმიკური კუნთების მოძრაობის აღდგენა კი მე-4 თვიდან იწყება. სრული აღდგენა ხდება 5-8 თვეში. მდგრადი და ხანგრძლივი ეფექტის მისაღწევად საჭიროა პრეპარატის შეყვანა წელიწადში 2-3 ჯერ (ყოველ 6 თვეში ერთხელ). ბოტოქსის დოზის გაზრდა არ არის საჭირო, რადგან თავდაპირველად შეყვანილი დოზა ინარჩუნებს ეფექტურობას. ბოტოქსის ინიექციებთან ერთად კოსმეტოლოგიური პროცედურები შესანიშნავ შედეგს იძლევა.

**მიუხედავად იმისა, რომ ბოტოქსის ინიექციები კოსმეტოლოგიის სფეროში უახლესი ინოვაცია არ არის, ადამიანები, რომელთაც ასაკის „წაშლა“ სურთ საკუთარი სახიდან, მის ეფექტიანობას აღიარებენ. დღეს, ბოტოქსისა და დისპორტის ინიექციები სახის მოვლის პროგრამის აუცილებელ ელემენტებად იქცა.**

ბოტოქსის შეყვანის პროცედურა, ჩვეულებრივ, 15-20 წუთს გრძელდება, ამის გამო დასავლეთში დისპორტისა და ბოტოქსის ინიექციებს უწოდებენ „სილამაზის ინიექციას ლანჩის დროს“. გარშემომყოფთათვის პროცედურის შემდგომი არასასურველი ცვლილებები აბსოლუტურად შეუმჩნეველია — მას არ ახასიათებს კანის გაღიზიანება ან დასიება.

ინიექციის შემდეგ, კუნთების დროებითი „გაშეშების“ კლინიკური ნიშნები უკვე 24-72 საათის შემდეგ შეიმჩნევა, შედეგის შეფასება კი შეიძლება 1-2 კვირის შემდეგ, როდესაც ხდება მიმიკური მუსკულატურის მოდუნება და ნაოჭების გასწორება.

მაქსიმალური ეფექტი შეინიშნება 3-4 თვის შემდეგ და ის შენარჩუნდება ნახევარი წლის განმავლობაში.

იმის გამო, რომ ბოტოქსის პრეპარატში გამოყენებული ბოტულოტოქსინი უაღრესად განზავებულია, კუნთის პარალიჩი დროებით ვითარდება. ამით არის განპირობებული პროცედურის განმეორების საჭიროება ყოველ 6 თვეში ერთხელ. ბოტოქსის ხანგრძლივი გამოყენება შედეგს უფრო მეტად მდგრადს ხდის — ქრება წარბების შეყრის ჩვევა. დროთა განმავლობაში ინიექცია საჭირო გახდება მხოლოდ 8-12 თვეში ერთხელ.

**დერმატოლოგების უმრავლესობა ბოტოქსის გამოყენებას მხარს უჭერს, რადგან ეს რაიმე უარყოფით შედეგებს არ იწვევს. გართულებები ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოტოქსის ინიექციას არაპროფესიონალი ატარებს. მაგალითად, დოზის გადაჭარბების შედეგად წარბები შეიძლება ჩამოიწიოს, რის გამოც იქმნება დაბღვერის შთაბეჭდილება.**

ბოროქსის ინექციის შემდეგ ერთი შეხედვით კანი გაახალგაზრდავდება, თუმცა უჯრედის დონეზე მიმდინარე ასაკობრივი ცვლილებები არ წყდება. ამიტომ არ ღირს კანის მოვლის ყველა პროცედურის შეწყვეტა — სასურველია გაგრძელდეს დამატენიანებელი და აღმდგენი საშუალებების, აგრეთვე, ნიღბების გამოყენება. არ არის რეკომენდებული თერმული პროცედურები.

გაახალგაზრდავების შემდეგ ცხოვრების წესი მეტ-ნაკლებად იცვლება და ზოგიერთი ასპექტი კონტროლს საჭიროებს. მაგალითად, სასურველია ალკოჰოლისა და ცხარე საკვების შეზღუდვა (განსაკუთრებით პროცედურიდან 2 კვირის განმავლობაში). აკრძალულია მზის აბაზანები, სოლარიუმი და საუნა, გამახურებელი ნიღბები. 2 კვირის შემდეგ აუცილებელია კოსმეტოლოგთან განმეორებითი კონსულტაცია. ზოგჯერ ბოტოქსის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ არ ღირს განმეორებით ინიექციის ჩატარება, რადგან ეს პროცედურა უეფექტო იქნება.

საერთოდ, პროცედურის ჩატარებამდე აუცი- ▶



## მიკრობების ზოოპარკი

**მსოფლიოში პირველი მიკრობების ზოოპარკი ჰოლანდიაში გაიხსნა. მისი დამაარსებელი და დირექტორი ხეიგ ბალიანი ამ კომპლექსის შექმნის იდეაზე მრავალი წელი მუშაობდა. „მიკროპია“ ამსტერდამში საზეიმოდ გახსნეს.** „მიკროპია“ სამეცნიერო ლაბორატორიას ჰგავს. აქ სპეციალურ სტენდებზე განლაგებულია ელექტრონული მიკროსკოპები, რომელთა ქვეშ ნამდვილი ბაქტერიებია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დალუქული და იზოლირებულია, მიკროსკოპის გამოსახულება კი გვერდით დიდ ეკრანზე ჩანს. უჩვეულო ზოოპარკის დამთვალიერებლებს შეუძლიათ, რეალურ დროში დააკვირდნენ, თუ როგორი პროცესები მიმდინარეობს მიკრობების ცხოვრებაში. გარდა ამისა, ზოოპარკში იმართება თემატური ლექციები; შესაძლებელია, მოძებნოთ და წაიკითხოთ სპეციალური ლიტერატურა, გაეცნოთ მიკრობიოლოგების სამეცნიერო ნაშრომებს და ნახოთ მსოფლიოში ყველაზე საშიში მიკრობების მოდელები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლებელია ზოგადი გამოკვლევა. ბოტოქსის შეყვანა არ შეიძლება კუნთების სისუსტის, ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს, აგრეთვე, ქრონიკული დაავადების გამწვავების პერიოდში. ბოტოქსის გამოყენება არ ღირს, მაგალითად, ცხვირ-ტუჩის ღრმა ნაოჭის დროს, უმჯობესია პოლიმერული პრეპარატების გამოყენება შემავსებელი ეფექტით.

ბოტოქსის შეყვანით გამოწვეული გვერდითი ეფექტები შექცევადია. მიუხედავად ამისა, ჰიპერდოზირების ან ნემსის სხვაგან მოხვედრის შემთხვევაში, ბოტოქსს შეუძლია გამოიწვიოს წარბების სპაზმი რამდენიმე თვით ან ადგილობრივი კანქვეშა სისხლჩაქცევები. ბოტოქსის შეყვანა ცხვირ-ტუჩის ნაკეცის სიღრმეში არღვევს ზედა ტუჩის მოძრაობას. ბოტულოტოქსინით მოწამლვის შანსი პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან ტოქსიკური ეფექტი ვლინდება პრეპარატის 1000-ჯერ უფრო დიდი დოზით შეყვანისას. შესაძლებელია ინდივიდუალური აუტანლობა, შეშუპება, ალერგია. ინიექციის დადებითი გვერდითი ეფექტია კანის ცხიმიანობის დაქვეითება შუბლის არეში და თავის ტკივილის გაქრობა.

სახე ცვილის ნიღაბს რომ არ დაემსგავსოს, ბოტოქსი უნდა შეიყვანოთ ეტაპობრივად და არა მთელ სახეზე ერთად – დაიტოვეთ რამდენიმე ბუნებრივი ადგილი, რომელიც ხაზს გაუსვამს თქვენს ორიგინალობას.

რაც შეეხება ღირებულებას:

ნაოჭების კორექციის ფასი ინექციების ერთეულებითაა განსაზღვრული. ერთი ერთეული საშუალოდ 15-20 ლარი ღირს. სახის ერთ ზონაზე მინიმუმ 9 ერთეულია საჭირო.

ბოტოქსს მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავს. მათი მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ბოტოქსი მიმიკას აშეშებს და ადამიანის გამომეტყველებას არაბუნებრივს ხდის. ინიექციების შემდეგ ადამიანის სახე ემოციებს სრულყოფილად ვეღარ გამოხატავს.

ცხადია, არავის არასოდეს ეძლევა პირველი შთაბეჭდილების მოხდენის მეორე შანსი. ის დაღლილობა კი, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა თვალების ირგვლივ, შუბლსა და წარბებს შორის ნაოჭების სახით, გარკვეულწილად ამცირებს სასურველი ეფექტის მოხდენის შესაძლებლობას. მრავალრიცხოვანი სამედიცინო კვლევის თანახმად, ყველაზე პოპულარული კოსმეტოლოგიური პროცედურების კატეგორიის ლიდერი ბოტოქსისა და დისპორტის ინიექციებია. „სილამაზის ინიექციების“ პაციენტების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.





## ქალმა საკუთარ თავზე იქორწინა

**ბრიტანელი გრეის გედლერი ინტენსიურად არის დაკავებული მედიცინით და „შაკტი ტანტრით“, რომელიც გვასწავლის, რომ ნამდვილი სექსუალობა პირველ რიგში საკუთარ თავთან თანხმობაში ცხოვრებას ნიშნავს.** „მეგობრები ჩემს ნაბიჯს ცოტა ნარცისულად მიიჩნევენ, მაგრამ რას ვიზამთ, მე მართლა ძალიან მიყვარს საკუთარი თავი“, — ამბობს საკუთარ თავზე ახალდაქორწინებული გრეისი. გოგონას მშობლების თქმით, ამ უცნაური გადაწყვეტილების მიუხედავად, ისინი ყველაფერში მხარს უჭერენ საკუთარ შვილს.



## ყველაზე გრძელი კიდული ხიდი

**ექსტრემალური გართობის მოყვარულთათვის სულ ცოტა ხნის წინათ საინტერესო ატრაქციონი გაიხსნა სოჭში, ადლერის რაიონში. მას სახელად AJ Hackett Sochi უწოდეს. სიმაღლეების მოყვარულების პარკმა პირველ დამთვალიერებლებს 2014 წლის ივნისში უმასპინძლა.**

სკაიპარკის AJ Hackett Sochi კომპლექსის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს დაკიდებული ხიდი, რომელსაც დასათვალიერებელი მოედნები აქვს. მოედნებიდან კარგად ჩანს ზღვა და მთები. ეს არის მსოფლიოში ყველაზე გრძელი კიდული ხიდი ფეხით მოსიარულეებისთვის. ის აღჭურვილია როუპ-ჯამპინგის უნივერსალური სისტემით. ზომებისა და არქიტექტურული ფორმების უნიკალურობის გამო ხიდი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ხიდი მდებარეობს კრასნაია პოლიანას ხეობის გასწვრივ. ხიდის დასაწყისში განლაგებულია ბანჯი-ჯამპინგის ცენტრი. აქედან შეიძლება გადახტომა 67-მეტრიანი ბაგირით.

გაიხსნა ახალი ბანჯი-ჯამპინგის მოედანიც, საიდანაც შესაძლებელია 207 მეტრი სიგრძის ბაგირით გადახტომა. ასეთი ატრაქციონები მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმეა.

ხიდს იჭერს 8 ლითონის ტროსი, ხოლოს მისი სიგრძე 520 მეტრია. პროექტი რუსეთისა და ახალი ზელანდიის ერთობლივი ნამუშევარია.



## SkyTran — მომავლის ტრანსპორტი



**ძალიან მალე, შესაძლოა, გამოჩნდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სახეობა, რომელიც, მიწაზე კი არა, ცაში იმოძრავებს. იგეგმება შეიქმნას სატესტო ვერსია, ამის შემდეგ კი დაიწყება ამ მფრინავი ტრანსპორტის გზის მშენებლობა.** მომავლის ტრანსპორტის შექმნა ითავა Sky Tran-მა, რომელიც ნასას შვილობილი კომპანიაა. მან ასევე შეიმუშავა ავტომობილის პროექტი, რომელსაც მიწასთან არავითარი კონტაქტი არ ექნება, ანუ ჰაერში ივლის. პროექტის მიხედვით, ავტომობილის მოძრაობას კომპიუტერი აკონტროლებს, მასში ჩაჯდომა 2 ადამიანს შეუძლია. ავტომობილი ივლის მიწიდან 6 მეტრის სიმაღლეზე.









ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მკვლელობა „Poke“-ს გამო

**27 წლის ინგლისელი სკოტ ჰამფრი ციხეში მეგობრის მკვლელობის გამო მოხვდა. მკვლელობა კი იმიტომ ჩაიდინა, რომ მისმა მეგობარმა მის შეყვარებულს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ეგრეთ წოდებული „Poke“ გაუგზავნა.** ჰამფრიმ მისი მეგობარი რიკარდო როვეტო სასტიკად სცემა და შემდეგ ჰკითხა: „თუ ასეთი კარგი მეობარი ხარ, ჩემს შეყვარებულს რატომ გაუგზავნე პოკე?“ როვეტომ თავი ბორდიურს დაარტყა და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. ჰამფრი დანაშაულის ადგილიდან გაიქცა, მაგრამ მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა. რიკარდო როვეტოს ერთი შვილი დარჩა. ჰამფრი განზრახ მკვლელობისთვის დააკავეს და, როგორც ამბობენ, განიცდის და ნანობს ჩადენილს, რის გამოც მოსამართლემ მხოლოდ ოთხი წელი და ოთხი თვე მიუსაჯა. ვერდიქტი ძალიან მსუბუქია, რადგან მოსამართლემ რეალურად დაიჯერა ბრალდებულის მონანიება და გამიზნულ მკვლელობაში არ ჩაუთვალა დანაშაული.



## გვირაბი საძინებლიდან ლუდის ბარამდე

**ირლანდიელი სანტექნიკოსი საკუთარი საძინებელი ოთახიდან ლუდის ბარამდე 15 წლის განმავლობაში თხრიდა გვირაბს, რომლის მეშვეობითაც ყოველ ღამეს საყვარელ ბარში ატარებდა ისე, რომ მისმა მეუღლემ ამის შესახებ არაფერი იცოდა.**

ყველაფერი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც საკანალიზაციო მილები ჩამოინგრა. პეტსი კეპი იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ გვირაბი გათხარა. პეტსის თქმით, ეს იდეა მაშინ მოუვიდა თავში, როცა პოპულარული ფილმი „გაქცევა შოუშენკიდან“ ნახა.

2009 წელს, ანუ გათხრის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ, მან საწადელს მიაღწია. იგი ყოველ ღამე სტუმრობდა საყვარელ ადგილს და დილით სახლში ბრუნდებოდა. მეუღლემ ქმრის გართობის შესახებ არაფერი იცოდა. მას შემდეგ, რაც ყველაფერს ნათელი მოეფინა, ქალაქის საკუთრების დაზიანებისთვის პეტსის ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

## იაპონელი ფრანგ ქალად იქცა




**თანამედროვე ქირურგია სასწაულებს ახდენს. ექიმებს, რომლებსაც აზიელი ქალის ევროპელად გადაქცევა დაევალათ, 30 ოპერაცია დასჭირდათ.**

იაპონელი მოდელი ვანილა შამიუ საკმაოდ მიმზიდველი გოგონა იყო. გარეგნული მონაცემების წყალობით, ვანილამ არაერთ სამოდელო სააგენტოსთანაც ითანამშრომლა, ის მსოფლიო პოდიუმის დაპყრობაზე ოცნებობდა, მაგრამ აზიელი ქალები გრძელი ფეხებით და 180 სმ-იანი სიმაღლით ვერ დაიკვეხნიან, რაც საერთაშორისო აღიარების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია.

ამიტომ ვანილამ ქირურგების დახმარებით ევროპული გარეგნობის „მორგება“ გადაწყვიტა. ვანილამ 30 ოპერაცია გაიკეთა და ამისთვის 130 000 დოლარი გადაიხადა. ახლა, როცა ოცნებას თითქმის მიაღწია, გოგონა ასაკს მალავს. პირველი ოპერაცია მან 19 წლის ასაკში გაიკეთა. ვანილას გაუთეთრეს კანი, შეუცვალეს თვალის ჭრილი, მკერდისა და შუბლის ფორმა.

მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც არაა კმაყოფილი გარეგნობით: მას წინ ყველაზე რთული ცვლილება — ფეხების დაგრძელება ელის.

**„მზად ვარ, კიდევ უამრავი ოპერაცია გავიკეთო, ოღონდ ჩემი გარეგნობა ისეთი გახდეს, როგორიც მე მაქვს წარმოდგენილი“,** — განაცხადა ვანილამ.

## 90 პლასტიკური ოპერაცია

**32 წლის ნიუ-იორკელმა ჯასტინ ჯედლიკამ დაახლოებით 100 000 დოლარი დახარჯა 90 პლასტიკურ ოპერაციაზე, რათა იდეალური გარეგნობა ჰქონოდა.** მისი „ნავარჯიშები“ კუნთები პლასტმასისა და სილიკონისგან არის შექმნილი. მკერდში იმპლანტანები აქვს ჩადგმული, ხოლო მუცლის პრესი პოლიმირებული გისოსების დამსახურებაა. კუნთების ზედმეტი დაძაბვა და დაჭიმვა მისთვის რეკომენდირებული არ არის, ვინაიდან შეიძლება მოდელირებული კუნთები დასკდეს და მათგან სქელი, უფერო სითხე გადმოიღვაროს. სამაგიეროდ, ახლა მას თოჯინა “ბარბის” მეუღლეს, კენს ადარებენ.



## გიგანტურმა ანაკონდამ ძაღლი გადაყლაპა

**სამხრეთ ამერიკის ზღვისპირა რეგიონში გიგანტური ანაკონდა დაიჭირეს. ქვეწარმავალი მას შემდეგ შეიპყრეს, რაც მან ძაღლი გადაყლაპა. ფოტოკადრში ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი, გიგანტური ქვეწარმავლით ხელში მოსჩანს. ძაღლი სწორედ მის მეგობარს ეკუთვნოდა. 39 წლის ბასკულესი უზარმაზარ მტაცებელს მდინარეში შეჰყვა და რამდენიმე საათში თავისი მაისურით თავშეხვეულ გველს სახლისკენ მიათრევდა. მტაცებელი მან ცოცხლად შეიპყრო.**



ბასკულესმა თავის სამ შვილს მტაცებელთან მიახლოების უფლებაც მისცა. „10 წლიდან გატაცებული ვარ რეპტილიებით, მაგრამ ეს ყველაზე დიდი გველია, რომელიც ოდესმე მინახავს ან დამიჭერია. გველი შეჭმულ ძაღლს ინელებდა და ძალიან მშვიდი იყო“, — აცხადებს ბასკულესი. მისი თქმით, საკმაოდ გვიანი დაბრუნდა შინ გველით ხელში და მისი სახლისგან გარიდების დრო აღარ იყო, ამიტომ ნადავლი აბაზანაში მოათავსეს. სებასტიანის მეუღლეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ეშინოდა, რომ გველი აბაზანიდან გამოღწევას შეძლებდა. როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ თავშეხვეული ანაკონდა, რომელიც ველარაფერს ხედავს, მატლივით უვნებელია. მეორე დღეს სებასტიანმა გველი სახლიდან 10 კილომეტრის მოშორებით მდინარეში გაუშვა.

## მომსახურების ყველაზე უჩვეულო სერვისები

**კაპიტალიზმის ყველაზე დიდი ხიბლი ისაა, რომ იგი მომსახურებისა და პროდუქციის საკმაოდ დიდ ასორტიმენტს გვთავაზობს, მაგრამ ზოგიერთის ფანტაზიამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.**



### პატიების თხოვნის სააგენტო

პატიების თხოვნა ყოველთვის რთულია. რამდენიმე იაპონურმა კომპანიამ ჩათვალა, რომ ბაზარზე ისეთი ადამიანების ნაკლებობაა, რომლებიც თქვენს ნაცვლად ითხოვენ პატიებას. მომსახურების საფასური, ტელეფონით დარეკვის შემთხვევაში, 96 დოლარია, ხოლო ადგილზე მისვლისას — 240 დოლარი.



### მეგობარი ქირით

2009 წლიდან საიტი RentAFriend მსოფლიოში ყველა ადამიანს სთავაზობს მეგობრის დაქირავებას, რომელიც თქვენთან ერთად შეასრულებს რაიმე აქტივობებს. ქირის ღირებულება საათში 10 დოლარია.




### რიგის დამკავებელი

რიგები ქალაქ ნიუ იორკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია. მხოლოდ 25 დოლარად, ხოლო შემდეგ ნახევარ საათში 30 დოლარად, ნიუიორკელებს შეუძლიათ იქირაონ ადამიანი, რომელიც ამ დამღლელ საქმიანობას მათ ნაცვლად შეასრულებს.



### პაპარაცის მომსახურება

ოდესმე გქონიათ სურვილი, თავი ნამდვილ ჰლივუდის ვარსკვლავად გეგრძნოთ? ახლა შეგიძლიათ ეს ოცნება 500 დოლარად აიხდინოთ. კომპანია „Celeb 4 a Day“ გთავაზობთ პაპარაცებისა და ფანების სერვისს. დაქირავებული ადამიანები კვალდაკვალ გამოგყვებიან და კივილით თქვენი თაყვანისმცემლების როლს შეასრულებენ, ხოლო პაპარაცები შეეცდებიან, თქვენი ყოველი ნაბიჯი დააფიქსირონ. მომსახურება ჯერჯერობით მხოლოდ ნიუ იორკში, ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოშია ხელმისაწვდომი.



### ბებია ქირით

ავსტრალიური კომპანია „ბებიები ქირით“ გთავაზობთ ბებიებს, რომელთა დაქირავებაც საჭიროებისმებრ შეგიძლიათ. გადახდა საათობრივია.



### ბარის შემრჩევი

ალბათ, ხშირად გქონია შემთხვევა, როდესაც ბარში წასვლა გსურთ, მაგრამ არ იცით, რა სიტუაცია დაგხვდებათ იქ. ახლა ყველაფრის წინასწარ გათვლა Crowdmug iPhone სერვისით შეგიძლიათ. თუკი მოგინდებათ რომელიმე ბარში შესვლა, ადამიანი, რომელსაც აქვს ეს აპლიკაცია და იმყოფება სასურველ ადგილას, მოგაწვდით ინფორმაციას არსებული სიტუაციის შესახებ.



## ყველაზე კალორიული საუზმე

**ჩრდილოეთ ინგლისში მდებარე კაფე Bear Grill მსოფლიოში ყველაზე მსუყე საუზმით არის ცნობილი. ამ საუზმის ენერგეტიკული ღირებულება რვა ათას კალორიას უდრის. საუზმე, სახელწოდებით Hibernator, ტრადიციული ინგლისური საუზმის გიგანტურ პორციას წარმოადგენს.** შემკვეთი მიიღებს: ოთხ შემწვარ კვერცხს, ბეკონის რვა ნაჭერს, 7 სოსისს, რვა კარტოფილის კოტლეტს, 4 შემწვარ პურს, შავი პუდინგის 4 ნაჭერს. ასევე საუზმეში შედის: ბარდა, სოკო და კარტოფილი ფრი. ადამიანებმა, რომლებიც ამ გიგანტური საუზმის მირთმევას გადაწყვეტენ, ხელი უნდა მოაწერონ საბუთს, რომლის მიხედვითაც, ისინი არ წაუყენებენ არავითარ პრეტენზიებს სასადილოს მფლობელებს, თუკი რომელიმე მათგანს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნება. საუზმის ფასი 32 დოლარია. დაწესებულების მფლობელის თქმით, საუზმე უკვე 20 ადამიანმა გასინჯა, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა მისი ბოლომდე შეჭმა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერებმა უცხო ცივილიზაციების არსებობის მტკიცებულება აღმოაჩინეს



**ბრიტანელმა მეცნიერებმა დედამიწის სტრატოსფეროში აღმოაჩინეს 27 კილომეტრ სიმაღლეზე არსებული ორგანიზმი, რომელიც წყალბადისა და ნახშირბადის მოლეკულებისგან შედგება.**

შეფილდის უნივერსიტეტის ბუკინგემის ცენტრის ასტრობიოლოგიის მეცნიერებმა წარმოადგინეს დედამიწის სტრატოსფეროში აღმოჩენილი სხეულის ფოტო, რომელზეც ფიქრობენ, რომ შესაძლოა, იყოს უცხო ცივილიზაციების არსებობის მტკიცებულება. როგორც ნაშრომის ავტორები ვარაუდობენ, მათი აღმოჩენა, შესაძლოა, გახდეს პასუხი კითხვაზე კაცობრიობის წარმომავლობასთან დაკავშირებით და იმის მაჩვენებელი, რომ დედამიწაზე ყველაფერი ცოცხალი კოსმოსიდან მოვიდა.

პროფესორმა მილტონ უეინრაიტმა და მისმა ჯგუფმა ეს აღმოჩენა სტრატოსფეროში 27 კილომეტრ სიმაღლეზე გაშვებული ბურთის საშუალებით შარშან გააკეთეს, როდესაც მეტეორების წვიმა მოდიოდა. მეცნიერებისთვის უცნობი ორგანიზმის ზომა დაახლოებით ათ მიკრონს შეადგენს. **სტრუქტურა, რომელსაც უკვე „დრაკონის ნაწილი" უწოდეს, შედგება წყალბადისა და ნახშირბადისგან. ის არც ვულკანური და არც კოსმოსური მტვრის ნაწილი არაა.** მეცნიერების თქმით, გაურკვეველია, „დრაკონი" ერთი ორგანიზმია თუ გაცილებით პატარა მიკრობებისგან შედგება. ის არ წააგავს დედამიწაზე აღმოჩენილ არც ერთ სხეულს. მეცნიერები თვლიან, რომ შესაძლოა, არამიწიერ ობიექტთან აქვთ შეხება.

# მკვლელი მედდა

**იტალიის პოლიცია მედდას 38 ადამიანის მკვლელობაში სდებს ბრალს. სამართალდამცავთა აზრით, 42 წლის დანიელა პოჯიალის პაციენტები აღიზიანებდა, რის გამოც იგი კალიუმ ქლორიდის ნემსებს უკეთებდა მათ. ამ ნივთიერებას გულის გაჩერება შეუძლია. სასიკვდილო ინიექციის შემდეგ სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი მსხვერპლთან სურათს იღებდა.**

გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც უეცრად 78 წლის პაციენტი როზა კალდერონი გარდაიცვალა. ის საავადმყოფოში ისეთი დაავადე-





ბით მოხვდა, რომელიც მის სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნიდა.

პოლიციელებმა საავადმყოფოს არქივის შესწავლის შემდეგ დაასკვნეს, რომ 2014 წლის პირველ ნახევარში საავადმყოფოში მკვეთრად გაიზარდა სიკვდილიანობა. აღმოჩნდა, რომ საერთო ჯამში საავადმყოფოში 83 პაციენტი გარდაიცვალა, აქედან 26 იმ განყოფილებაში იწვა, რომელშიც დანიელა მუშაობდა. პოჯიალის ერთ-ერთი კოლეგის თქმით, კალდერონის სიკვდილის შემდეგ მედდამ მას მიცვალებულთან ერთად სურათის გადაღება სთხოვა, ექვმიტანილი ეიფორიაში იმყოფებოდა.

# ან — ფული, ან — სული

**რიგაში გაჩნდა უჩვეულო საფინანსო დაწესებულება, რომელიც ლატვიის ნებისმიერი მოქალაქისთვის, სურვილის შემთხვევაში, კრედიტს გასცემს. როგორც წესი, ასეთი ოპერაციების დროს კონტრაქტი იდება. სწორედ აქ იწყება ყველაზე საინტერესო — ფულის სანაცვლოდ საფინანსო დაწესებულება, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის სულს იბარებს.**

იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი გარკვეული დროის შემდეგ არ დაფარავს კრედიტს, საფინანსო დაწესებულება მისი სულის მფლობელი გახდება.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ფირმის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ სულების შესყიდვაში ცუდს ვერაფერს ხედავს — „ბიზნესი ბიზნესია. ჩვენ ადამიანებს მატერიალურ და ხელშესახებ ფულად თანხას ვაძლევთ. თუკი, რომელიმე მათგანი საკუთარ სულს უფრთხილდება, მაშინ აუცილებლად დააბრუნებს მიღებულ თანხას. მე მგონია, რომ ყველაფერი სამართლიანად არის მოწყობილი. ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი".



# გოგონა, რომელსაც ამობრუნებული ფეხები აქვს

**ჩინელი გოგონა, რომელიც ფეხის ძვლისა და ტერფის ანომალიით დაიბადა, ნორმალური ცხოვრების წესით ცხოვრობს.**

ვან ფან ჩუნცინის დაბადებისას მშობლებს შეატყობინეს, რომ მათ შვილს ნორმალური ცხოვრება არ შეეძლო და ვერც დამოუკიდებლად გადაადგილებას შეძლებდა, თუმცა, ექიმების პროგნოზის მიუხედავად, გოგონამ სიარული ისწავლა.

მან მკაცრად განაცხადა უარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი პენსია აეღო — ვანს არ სურდა, რომ სიბრალულით მოპყრობოდნენ. ყველასთვის რომ დაემტკიცებინა საკუთარი შეუზღუდავი შესაძლებლობები, გოგონამ რესტორანში მიმტანად დაიწყო მუშაობა.



წარმოუდგენელია, მაგრამ ტერფების დეფორმაცია საერთოდ არ უშლის გოგონას მუშაობაში ხელს. პირიქით, ვანი ყველაზე სწრაფ თანამშრომლად ითვლება სამსახურში. 30 წლის ვანი გათხოვილია და შვილიც ჰყავს. საბედნიეროდ, ბიჭუნა სრულიად ჯანმრთელი დაიბადა.

# ნიდერლანდებში «მზის გზა» დააგეს

**მზის ენერგიის მიმღები პანელებისგან ნიდერლანდების ქალაქ კრომენში საველოსიპედო ბილიკი დააგეს.** მსოფლიოში პირველად, პროექტ SolaRoad-ის ფარგლებში, შეიქმნა საერთო მოხმარების 70-მეტრიანი ენერგოეფექტური „მზის გზა". 2016 წლისთვის ბილიკის სიგრძე კიდევ 100 მეტრით გაიზრდება. სამომავლოდ დაგეგმილია გზების ამ ტექნოლოგიით დაგება მთელ ქალაქში. მზის მოდულები ველობილიკის ბეტონის ფილებშია ჩამონტაჟებული. ბილიკი დაფარულია მინით, რომელიც სატვირთო მანქანის სიმძიმესაც უძლებს. ენერგოეფექტური გზის საფარიდან მიღებული ელექტროენერგია გამოიყენება სახლებისთვის, ელექტრომანქანებისთვის, გარე განათებისა და შუქნიშნებისთვის.



# ყველაზე უჩვეულო აკრძალვები




**კონექტიკუტში** იკრძალება გამოყენებული საპარსი მოწყობილობის გადაგდება. ამავე შტატში, უსინათლოების გარდა, არავის აქვს უფლება, იაროს თეთრი ხელჯოხით.

**კოლორადოს** შტატის ქალაქ ლოგან ქაუნთში აკრძალულია მძინარე ქალის კოცნა.

ქალაქ ბარლინგჰეიმში აკრძალულია გადაფურთხება. ამის უფლება მხოლოდ ბეისბოლის მოედანზე, მატჩის დროს აქვთ ადამიანებს.

**კალიფორნიის** შტატის ქალაქ ბლიტში ქოვბოის ჩექმის ჩაცმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუკი არანაკლებ ორი ძროხა გყავთ.

**მონტანაში** არ შეიძლება დანაშაულის სცენების შემცველი ფილმების ჩვენება.

**არკანზასის** შტატის ქალაქ ფაიეტვილში დანაშაულად ითვლება „ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლა".

**არიზონას** შტატის ქალაქ თომბსოუნში 18 წელს გადაცილებულ ადამიანებს ეკრძალებათ გაღიმება, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წინა კბილი არ აქვთ.

**ჩრდილოეთ დაკოტაში** დანაშაულად ითვლება ფეხსაცმლით დაძინება.

**ომაჰაში** მამაკაცებს ეკრძალებათ გულ-მკერდზე თმის გაპარსვა.

**ნიუ-ჰემპშირში** ცოდვად და დანაშაულად ითვლება, კვირას საპირფარეშოში მოსაქმების დროს ზემოთ (ანუ ზეცაში) ყურება.

**ბალტიმორში**, დიდი სურვილის მიუხედავად, აკრძალულია თეატრში ლომებთან ერთად შესვლა.



# გერმანელი გულშემატკივრებისა და ისლამისტების შეტაკება კიოლნში

გერმანიის ქალაქ კიოლნში სალაფიტების (ისლამის უკიდურესად კონსერვატიული მომხრეები) საწინააღმდეგო მშვიდობიან დემონსტრაციაზე სხვადასხვა საფეხბურთო კლუბის 4000 ფანი გამოვიდა, მოგვიანებით მათ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტებიც შეუერთდნენ. ამ მომენტში ქალაქში სალაფიტებმაც გამართეს საპასუხო დემონსტრაცია, რომელშიც 500-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

ადგილობრივი პოლიციელები — ათას კაცზე მეტი — შეეცადნენ, დემონსტრანტთა ორი ჯგუფის შეტაკება არ დაეშვათ, მაგრამ ერთ მომენტში სიტუაციაზე კონტროლი დაკარგეს და თვითონ აღმოჩნდნენ ფანატებისა და სალაფიტების დაპირისპირების ეპიცენტრში.

პოლიციელები იძულებული შეიქნენ, გამოეყენებინათ ცრემლმდენი გაზი, ხელკეტები და წყალსატყორცნები ხულიგნების დასაშოშმინებლად, რომლებიც ამსხვრევდნენ ავტომობილებს და ცდილობდნენ, შტურმით აეღოთ სარკინიგზო სადგური. მასობრივი არეულობების შედეგად დაშავდა 13 პოლიციელი. დაკავებულია 6 ადამიანი.

# მღვდლებს, რომლებმაც უარი განაცხადეს ერთსქესიანთა ჯვრისწერაზე, დაპატიმრებით ემუქრებიან, ანუ როგორ მოქმედებს ანტიდისკრიმინაციული კანონი




**ორ ქრისტიან მღვდელს — დონალდსა და ეველნ კნაპს, რომლებსაც აიდაჰოს შტატის ქალაქ კერ დ'ალენში სამლოცველო აქვთ, ორი წლით პატიმრობა ან ათასი დოლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა ემუქრებათ ერთსქესიანთათვის ჯვრისწერაზე უარის თქმის გამო.**

სამლოცველო რეგისტრირებულია, როგორც „რელიგიური საზოგადოება“, რომელიც ჯვარს წერს „მხოლოდ მამაკაცსა და ქალს, როგორც განსაზღვრულია ბიბლიით“.

**ამის მიუხედავად, ქალაქის მაღალჩინოსნები ამბობენ, რომ სამლოცველო კომერციული ორგანიზაციაა და ადგილობრივ კანონებს უნდა დაემორჩილოს. 2013 წელს გამოცემული დადგენილებით კი აკრძალულია დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება საბინაო საკითხებზე, დასაქმებასა და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებზე.** ოჯახის საკითხების კვლევითი საბჭოს პრეზიდენტის — ტონი პერკინსის განცხადებით, იმ ამერიკელებზე, რომლებიც უარს ამბობენ მთავრობის ახალი დადგენილების მიღებაზე, რომელიც ქორწინებას განსაზღვრავს, ნადირობა გამოცხადდა. პერკინსის თქმით, ლაპარაკია არა მხოლოდ ჯვრისწერაზე, არამედ აშშ-ის მოქალაქეთა დაახლოებით 90 პროცენტის უფლებების შეზღუდვაზე, რადგან მთავრობაში მოკალათებული მაღალჩინოსნები თავიანთ ძალაუფლებას ჰომოსექსუალთა მოწინააღმდეგეების დასასჯელად იყენებენ.

# «საპატიო თბილისელის» წოდება 10 ადამიანს მიენიჭა



**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „თბილისობის“ დღესასწაულის ფარგლებში საპატიო თბილისელები დააჯილდოვა. „საპატიო თბილისელის“ წოდება 10 ადამიანს მიენიჭა. მათ შორის არიან მეტროსადგურის პროექტების ავტორი ლამარა აბაშმაძე, ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი, მსახიობი კახი კავსაძე, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მივიდა დღევანდელ ღონისძიებაზე და მისი ჯილდო მსახიობ გივი ბერიკაშვილს გადასცეს.**

„საპატიო თბილისელის“ წოდება ასევე გადაეცათ: მწერალ ბაჩანა ბრეგვაძეს, პროფესორს, მეცნიერებათა დოქტორს ივა ბერაძეს, „ქართული ხმების“ სოლისტ გია ჭირაქაძეს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში — რიჩარდ ნორლანდს, ისრაელის ელჩს საქართველოში — იუვალ ფუქსს და მეცნიერ გივი ღამბაშიძეს.

# შსს-მ დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა

**შსს-ს ცნობით, 2014 წლის სექტემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2426 დანაშაული, მათგან გაიხსნა 1619. დანაშაულის გახსნის პროცენტი – 66,74-ს შეადგენს.**

წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლება 12,45 %-ით.

შსს-ს ცნობით, 2014 წლის იანვარ-სექტემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, რეგისტრირებულია 19787 დანაშაული, აქედან 12529 გაიხსნა.

## გახდომა უმადობით

მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ნაგროვები უნიკალური რეცეპტების დიდი ნაწილი დაკარგულია, ერთეულებმა მაინც მოახერხეს გადარჩენილი ინფორმაციის აღდგენა-გამდიდრება. სწორედ ამ ერთეულებს მიეკუთვნება ქ-ნი ნუნუ, რომლის მიერ გამოცემულ წიგნში „მედეადან დღემდე“ უამრავ სასარგებლო ხალხურ რეცეპტს შეხვდებით. ორიოდე თვის წინათ კი ერთ-ერთ არხზე მოვუსმინე მას, რომელმაც ყურადღება გაამახვილა გასახდომ კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებულ ნაყენზე, რომლის ყოვლისშემძლეობა და უნიკალურობა თავად გამოვცადე. სანამ ნაყენის დალევას დავიწყებდი, გავესაუბრე მის მიერ დამშვენებულ-გალამაზებულ რამდენიმე მადლიერ პაციენტსაც, რომლებიც, წლებია, ინარჩუნებენ წონას. დიდი წონის გამო ხშირად მიწევდა „მშრალი შიმშილობა“, გამომეფიტა ორგანიზმი, დამიზიანდა ნერვული სისტემა. ნაყენის მიღებიდან რამდენიმე დღეში დამიქვეითდა მადა, გაქრა შეშუპებები, გულის უკმარისობა, შევძელი სიარული ქოშინის გარეშე, თანდათან მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავისა და ქალური პრობლემები, დავმშვიდდი, მცირე ულუფაც მაკმაყოფილებდა. სწორედ ეს ნაყენი აღმოჩნდა ჩემი გალამაზებისა და გაჯანსაღების საშუალება. დავიკელი ორგანიზმისთვის ბუნებრივი პროცესებით ყოველგვარი გვერდითი ჩვენებების გარეშე, გავლამაზდი და თითქოს ხელახლა დავიბადე. ხალხური მედიცინის საოცრებებში უკვე მერამდენედ დავრწმუნდი, მადლობა ქ-ონ ნუნუს!

მაჩუქეს ძალიან საინტერესო წიგნი „მედეადან დღემდე“; დავინტერესდი და მივაკითხე ავტორს — ქ-ნ ნუნუს (პროფესიით მხატვარი) ჩემი ჭარბი წონის და მასთან დართული პრობლემების გამო მივიღე რჩევა და დავიწყე კენკრა-მარცვლოვანზე დამზადებული ნაყენის სმა, რომლის მაღალეფექტურობამ გამაოცა. დამიქვეითდა მადა, აღვიდგინე ენერგია, გაქრა შეშუპება, დაიშალა მკერდში კვანძები, განიწოვა მიომა (გადავურჩი ოპერაციას), მოწესრიგდა კლიმაქტერიული პერიოდი, დარეგულირდა ციკლი, გაქრა კანზე გამონაყარი. წონაში დავიკელი (შემდეგ არ ხდება მატება), რადგან ორგანიზმში მიდის ბიოაქტიური წმენდა, იდევნება ტოქსინი, მარილი, ნალექი, ქოლესტერინი, მოდის ენერგია, ახალგაზრდული იერი. ვარ ბედნიერი და კმაყოფილი. მადლობას ვუხდი ქალბატონ ნუნუს.

**ქალბატონ ნუნუს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: 2-93-47-51; 599 251 158**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-913-765; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894